

ՀԱՅԿԱԿԱՆ
ԼՈՒՆԱԿԱՆ

ԺՅՂՄԱՌ

ՁԵՂՄԱՆ ԵՎ ԵՂՄԱՆ ԶՈՂՆԵՐ



• ԵՂՄԱՆ ԵՎ ԵՂՄԱՆ ԶՈՂՆԵՐ

1969

A
891.999,1—1 + 892,1—1
თ 288

7—4—4

შუმერულიდან და აქადურიდან

თარგმნა

ზურაბ კიკნაძემ

ჯერ კიდევ უცნობია შემერელთა წარმომავლობა. მათი ეროვნული ეპითეტი „შეთაეიანნი“, როგორადაც ისინი მათსავე ტექსტებში იხსენიებიან, მთელს შუამდინარეთში კაცთა მოდგმის ზოგად სახელად იქცა. მათი ენა, რასაც ისინი პარმონიულს — ემეხამენს — უწოდებდნენ, და რომელიც ჯერ კიდევ განცალკევებულად დგას სხვა უძველეს ენათა შორის, ეს ენა მრავალი საუკუნის წიაღ, თვით ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნამდეც კი, უკვე მკედარი, საკრალურ ენად შეირაცხებოდა. შემერელთა უძველესი ქანდაკებები ფართოდ გახელილი თვალებით გამოიყურებიან: „თვალგახელილი“ — იგივალ — ნათელმხედველის სინონიმად იქცა.

მათი პირვანდელი სამშობლო რომელიდაც მთიანეთი უნდა ყოფილიყო, საიდანაც ოდესღაც ჩამოსახლებულან ბარად, ტიგროსისა და ეფრატის ნაყოფიერ ველებზე. მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათს ყოფასა და რელიგიაში მთას: შემერის ეროვნული ერთიანობის განსახიერება, ღმერთი ეწილილი, „დიდ მთად“ (ქურგალ) იგალობებოდა ძველ ჰიმნებსა და ეპოსში. წინა სამშობლოში ნანახი მთები არ წაშლილა შემერელთა ცნობიერებიდან: თვალუწედნელ ველებზე აღმართული ზიქურათები („მთის მწვერვალი“) მშობლიური მთების ცხოველ სიმბოლოდ ევლინებოდა მათ მზერას.

მსგავსად ძველბერძნული პოლისებისა, ისინიც მცირე დაბეზად მოსახლეობდნენ და დიდხანს არ უტედიათ ერთ იმპერიად გაერთი-

ანება. თუმცა დამოუკიდებელ ქალაქებად დანაწილებული შუმერო-კულტურულად მუდამ ერთიანი იყო.

ერიდუ, შურუფაქი, სიპური, ური, ურუქი... ამ ეროვნული-კულტურის კერებიდან მთელს შუამდინარეთს ეფინებოდა შუმერული განათლება. აქ შემოკრებილიყვნენ და მოღვაწეობდნენ ძველთაძველი ტრადიციებით დამძიმებული შუმერული სწავლულნი.

ძველი ბერძნების მსგავსადვე ამ მცირერიცხოვანი ხალხის წვლილი კაცობრიობის ისტორიაში უპირატესად კულტურული ხასიათისა იყო. მათ შექმნეს ძველი ეგვიპტის თანადროული ორიგინალური ცივილიზაცია, რომლის ტრადიცია დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში, ვიდრე ირანელებმა და ბერძნებმა ახალ კულტურულ ნაქადებს არ გაუხსნეს გზა.

შუმერის ისტორიის არქაული ხანიდან (XXIX—XXVI სს.) ლურსმელმა დამწერლობამ მცირე რამ შემოინახა ჩვენს დრომდე, თუმცა ძირითადად ამ ხანაში იქმნებოდა სიტყვიერი შენოქმედების მნიშვნელოვანი ფასეულობანი, რაც ცალკეულ პირთა მგხსიერებას იყო მინდობილი და თაობიდან თაობას ზეპირ გადაეცემოდა. მხოლოდ გვიან, შუმერული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის რენესანსისას (XXI—XX სს.), აღიბეჭდა თიხის დაფებზე მთელი კლასიკური მემკვიდრეობა. ური იყო ის ქალაქი, რომელმაც უკანასკნელად წემოიკრიბა გარს შუმერული ერი. მაშინ უქაგალითო ძალით აღორძინდა ძველი პოეზია, იქმნებოდა ახალიც. ურის III დინასტიის მეფეები — ურნამმუ, შულგი, შუზუენა — ძველი კულტურის დიდი მოტრფილენი იყვნენ. მათ აღადგინეს ერთ დროს გაწყვეტილი კავშირი ძველშუმერულ ეპოქასთან და გილგამეში, პრეისტორიული მეფე-ქურუმის, თავიანთ ღვიძლ ძმად გამოაცხადეს. თითქოს შეიკრა შუმერის ისტორიის რკალი. აღმოსავლეთიდან მოვარდნილმა მომთაბარე ტომებმა დაანგრიეს ური და ბოლო მოუღეს ამ უკანასკნელ დინასტიას. შუმერული ურის დაღუპვის „მეორე დღეს“ უცნობმა გენიალურმა მგოსანმა იშვიათი შთაგონებით ვამოიტრა თავისი ერის აღსასრული. „გოდება ურის დაცემის გამო“ მართლაც უკანასკნელი გამოსათხოვარი იყო. ურის III დინასტიის (2064—1955 წწ. ძვ. წ.) დაცემის შემდეგ შუმერის შემოქმედებითი ძალი გამოიშრიტა. ჯერი აქადელ სემიტებზე მიდგა.

მაგრამ მათი კულტურული აქტივობა დიდი ხნით ადრე დაიწყო. აქადელი სემიტები პირველი უცხო ხალხი იყო, რომელიც ოდითგანვე შუმერის მეზობლად მკვიდრობდა, ეზიარა მის ცივილიზაციას და საკუთარი წვლილიც შეიტანა მის შემდგომ ქმნადობაში. მშვიდობიანი და ნაყოფიერი იყო მათი თანამოღვაწეობა. სემიტური კულტურის დაწინაურებას შუამდინარეთში სათავე დაუდო აქადელ-დინასტიამ (XXIV ს.-დან), რომელმაც ამ მიწაზე პირველად გამოა-

ჩინა აქადური ენა და შუმერულის გვერდით სახელმწიფო და სამწერლო ენად აქცია. ეს ხალხი იყო მაღალნიჭიერ შუმერელთა უმცროსი ძმები და შემკვიდრენი, მათი პოეზიის პირველი მთარგმნელები და მიმბაძველები. მათვე საბოლოოდ შეირიეს შუმერის დაღლილი სისხლი.

• •

მიუხედავად ორი განსხვავებული ნაკადისა, შუამდინარული პოეზია ერთი დასრულებული ცივილიზაციის ნაყოფია. უპირატესად ეპოსში ცხადდება იგი. ეპიური მითოსი ინახავდა სამყაროს დასაბამისა და ორთავე სენელის იღუმალებათა ცოდნას. ღმერთები, სილული სამყაროს შემოქმედნი, გვევლინებიან აქ პერსონაჟებად, მაგრამ გულისყური ადამიანისკენა მიმართული. მისი უცნაური მოვლინება ამ ქვეყნად, მისი ყოფის მიზანი, სიკვდილ-სიციოცხლის გამოცანა — ძველთაძველი პრობლემებია.

შესაქმის მითმა ადამიანის გაჩენა ორგანულად დაუკავშირა მოწესრიგებული სამყაროს შექმნას: ძველი ელინების მსგავსად მშვენიერ ფენომენად წარმოედგინათ კოსმოსი შუამდინარეთის მითოლოგოსებს. მარდუქში, პირველ კოსმეტორში, შეზავებულია სიბრძნე, ძალა და მშვენიერება; მხოლოდ ამგვარი სრულყოფილი არსება უნდა ყოფილიყო მრავალფერი სამყაროს შემოქმედი. მარდუქი სხივოსანი საწყისია, იგი აკეთილშობილებს ქვედაზიდულ მატერიას, რომელსაც მითოლოგიური ოცნება ურჩხულ თიამათის სახით გამოხატავდა. მღერიე ნივთიერება გასხივოსნდება მარდუქის ნათელით, რომლის სახელში მზის ნიშანი — უდ — ამოიკითხებოდა შუმერულ წარღვნის მითში. წარღვნის მიქცევისას აღმობრწყინებული სახიერი უთუ, მზის ღმერთი, იმეორებს თავის პირველ გამოჩენას, ოდეს მარდუქის (ამარ-უდუქ „მზის ხბო“) აღით მოველინა ქაოსს და ძლევაშოსილი სხივებით გაანათა იგი. ეს მოხდა აპრილის თვეში, როდესაც დაუვალი მზე კუროს ზოდიაქალურ ნიშანს მიითვალავდა. იგივე შემოქმედებითი აზრი, რომელმაც ხილული სამყარო ქაოსიდან წარმოშვა, წარმოშობს ადამიანსაც — შესაქმის გვირგვინს. თუმცა იგი მშვენიერ და მოწესრიგებულ სამყაროში შეიქმნა, მაგრამ მისი წილხედომილი ქვეყანა დაუცადებელ განმშვენებას საჭიროებს. ღმერთების შემოქმედებითი ძალი ადამიანში გადადის, რათა შესრულდეს „შავი სამუშაო“. რათა მიწისპირმა ღმერთთა შესაფერის სახე მიიღოს. „შავი სამუშაო ღმერთებისთვის ისევე შეუძლებელია, როგორც ადამიანისათვის იდეალურ სფეროებში შეღწევა. ამ აზრით ადამიანი — „მიწისპირს ჩაბლაუქებული ლერწამი“ — უზენაესის თანამდგომია და მისი ტვირთის შემამსუბუქებელი. რა იქნებოდა ღმერთი ადამიანის გარეშე? რა იქნებოდა საწყალობლად მოტირალი ინანა გილგამეშის გარე-

წე? გილგამეშის მარჯვენით განთავისუფლდება წმიდა კედარის ტყერი ბორბოტი არსებისაგან და დამყარდება იქ უთუს ღვთაებრთ-ვი სახელი („გილგამეში და ხუვაა“).

კაცთა მოდგმის ხედურია მიწისპირის განაყოფიერება და აყვავე-ბა, ხმელეთის ზურგის გადასერვა არხებით (ადამიანი იმეორებს ღმერთების მიერ მდინარეთა გაჩენის საქმეს), „მორწყვა ქვეყნის ოთხივე მხარისა“ (აქ ადამიანი აღარ არის ლოკალური არსება, არა-მედ უნივერსალური, რომელსაც მთელი ხმელეთის მოვლა აკისრია)... ამ პათოსითაა გამსჭვალული მეფე შულგის ჰიმნი თვისდა მი-მართ.

ამრიგად, ადამიანი ამყარებს მეორე კოსმოსს, კაცობრიულ საზო-გადოებას, რომელიც იმ პირველი კოსმოსის ხატია. „ამ ქვეყნად მე-ფობა ციდან ჩამოვიდა“ — ასე სწამდათ შუმერელებს. ამქვეყნიური მეფე — მწყემსი თვისი ხალხისა ღვთის ანარეკლად არის შობილი და დადგინებული: „მეფეს შამაშის მსგავსად სიკეთე უყვარს, ბორო-ტებას შეიძულებს“. წესრიგი უნდა სუფევდეს მეორედქმნილ კოს-მოსში, ადამიანთა სამკვიდრებელში:

„რა არის ხალხი თვინიერ მეფისა? — ოდენ ცხვრის ფარა.
თვინიერ მწყემსისა.

ხალხი თვინიერ წინამძღოლისა? — წყალი თვინიერ
მერწყულისა.

მუშაკნი თვინიერ მოძღვრისა? — უანა თვინიერ გუთნისდღვისა.
სახლი თვინიერ პატრონისა? — დიაცი, რომელს ქმარი არ
უვის“.

ღმერთებს ცოცხალი და ქმედითი არსება ესაქიროებათ. ეს იცის კაცმა: „ნუ დაიღუპება შენი მონა, შენ ხელთა ქმნილება! რაღა სა-ქონელია თიხად ქცეული არსი? მხოლოდ ცოცხალი მონაა მოშიში თავის უფლისა. მკედარი დახსნილია შრომათაგან და რაღა ღვთისა-თვის იგი?“

რაღა აზრი აქვს ღმერთებისთვის თიხაქმნილ კაცობრიობას? ამის გამო შემოსწყრნენ ღმერთები ენლილს, რომელმაც კაცთა მოდგმის ერთიანად წარბოცვა განიზრახა. საგულისხმო სცენა გაიმართა იმ უდაბურ ნიციურს ნაპირზე, სადაც წარღვნას გადარჩენილი ხომალდი მიაღდა: სურნელოვანი საკმევლის სუნმა (ამ ქვეყნად ადამიანის არ-სებობის ნიშანმა) მიიზიდა მსხვერპლს დანატრებული ღმერთები, რომლებიც „მწერებივით“ შემოეხვიენენ მზორველს. მხოლოდ კაცთ-მოძულე ენლილს არ უშვებდნენ საკურთხეველთან, ვიდრე არ გა-ნაუკვდავა წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი კაცი ზიუსუდრა, „ზიუსუდრა შემნახველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა“, რო-გორც ნათქვამია შუმერული წარღვნის მითის ეპილოგში. ძვირფა-სია ღმერთებისათვის კაცთა მოდგმის თესლი.

მაგრამ თესლი იგი შემტკიცებულია ცოდვილი ღმერთის სისხლი-

საგან: ადამიანში ჩაბუდებულია მარდუქის მიერ დათრგუნვილი, თუმცა საბოლოოდ არგამქრალი ქინგუს დერიტა, ქაორტური ძალების წინამძღოლის. ამის გამო ცოდვილია ადამიანი.

ცოდვა, მისი მარადი თანამდევი, ტრაგიული პოეზიის იმპულსია. ცოდვა საცნაური, ცოდვა უნებური, წინაპართა შეცოდებანი და, ბოლოს, დასაბამიერი ცოდვა — დაცემული ღმერთის სისხლი — მაჭლაჭუნად აწევს ადამიანს. ასურულ-ბაბილონურ ფსალმუნებში მათურად გაისმის „შეუწყალი სინიდისის“ ძახილი: „რა შეეცოდე, ღმერთო ჩემო, ქალბატონო ჩემო?... შენ გვედრები დამხსენ განკიცხვას, დამხსენ ცოდვას, დანაშაულს და შეცოდებას!“

ტრაგიულია ღმერთისაგან უკუგდებული ადამიანის ყოფა. „უბრალოდ ტანჯულის აღსარება“ მართალი იობის დრამას გაგვახსენებს: როგორც კი ღმერთები დაადებენ ადამიანს, მის სხეულში ამოძრავდებიან ქაორტური, დამარღვეველი ძალები; ყველა სნეულება შეიდი ბორბტი დემონის ძალით ეკვეთება მას, მიტოვებულს ოდენ ნივთიერი და მტკივანი სხეულის ამარა. ადამიანის მგლოვიარე სული ამ ყოფაში ემსგავსება ლეთაებისაგან დაცილ და ძაძითმოსილ ბუნებას, როგორც ნათქვამია „ადაპას მითში“: „...ადაპა, ვის გამო შემოსილხარ ძაძით? — ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა, მათ გამო შეეძოსილვარ ძაძით. ვინ ორი ღმერთი დაიკარგა ქვეყნიდან? — თამუზი და გიშვიდა“.

თამუზი (დუმუზი) ყველაზე ტრაგიული არსებაა შუამდინარულ მითოლოგიაში, ქვეყნის მარილია იგი, მაგრამ საბედისწეროდ განქარებული, უბრალოდ დაღუპული თავისივე სატრფოს, ინანას მიერ, ოუნცა ზომავალში თავდახსნილი ქალღმერთის შემწეობით, რათა კვლავ მისივე ხელით დაიდუპოს. „უბრალოდ ტანჯულის“ დრამა დუმუზის მარადიული დრამის კერძო გამოვლენაა: მასაც დუმუზის მსგავსად კვლავ მოხედავს პირშექცეული ღმერთი და აღადგენს. მარდუქი, რომლისადმი პიზნით მთავრდება ტანჯულის მონოლოგი, ერთხელ კიდევ გაიმარჯვებს ქაოსზე, ამჯერად უკვე ადამიანის არსებაში.

ადამიანის ძარღვებში ჩქეფს დასჯილი ღმერთის სისხლი, ამავე დროს ქვეყნის საფუძველშიც კვლავ იძვრის დასაბამიერი ქაოსის წყლები. Под ними хаос шевелится... ბეწვზე ჰკიდია კაცის არსებობა: „კაცთა მოდგმა და საქმენი მისნი ერთიანად გაქრება“. ამ სიტყვების მოქმელს არ გაუკვირდებოდა, დღეს რომ ეხილა მიწის ზრქელი ფენით დაფარული ქალაქები და ტაძრები, რომლებსაც მისი ხალხი სამაგალითო შურით აშენებდა. მათი დანახვისას უთუოდ ენიშნებოდა ამ ნაღვლიანი გამონათქვამის კეშმარტება, რადგან მის შეგნებაში მუდამ ბუდობდა შიში, რომ ერთხელაც იქნება სამყაროს ფუძე — თიამათი — შეირხვეა და კვლავ წარღვნის ქვეყანას, ხოლო კაცთა მოდგმა ერთიანად წარიხოცება ხმელეთის პირისაგან.

უკუღმართი შეტრიალება მღვრიე ქაოსისაკენ წინასახეა ადამიან-

თა საზოგადოებაში ჩამოვარდნილი შფოთისა და უცხოთესლთა შემოტევების. „ერას ეპოსის“ ავტორი მითოსურად განიცდის შუამდინარეთის ქალაქებზე დატეხილ უბედურებებს. ქირისა და სიკვდილის ღმერთის, ერას სახით თავს იჩენენ დამანგრეველი და წარმხოცი ძალები, რომელნიც ერთ დროს კოსმოსის შექმნას ეწინააღმდეგებოდნენ და შემდეგ წარღვნით დაემუქრნენ მას. „ვאי შენდა, ბაბილონი! ვითარცა დაფა ბედისწერათა ხელთგიპყარ, გარნა ველარაგის ჩაგაბარე“. ქაოსის ძალებმა დროებით გამოსტაცეს მარდუქს ბედისწერის დაფები და ინგრეოდა მიწიერი ბაბილონი, კოსმიური ბაბილის („ღმერთების კარი“) ხატი...

იგივე ძალები ანგრევენ ურს: „ქარიშხალმა, ქვეყნად ნათლის წარმხოცელმა, ქვეყანა წარღვნა.“ ეს ის ქარიშხალია, წარღვნის დღეებში რომ ბობოქრობდა, აწ მტრულ ურდოებად მოვარდნილი. მითოსური სულითაა გამსჭვალული სამიჯნურო პოეზია. ინანადუმუზის მითია მისი საფუძველი, მიწისპირის ნაყოფიერების მითი, რაშიც ამ ღვთაებრივი ქალ-ვაჟის ტრაგიული სიყვარული ცხადდება. დუმუზი, მწყემსი, გაზაფხულის ღვთაება, „იწვის“ ინანას სიყვარულით, „რამეთუ ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული, ფრთე მისი ფრთე ცეცხლისა“; მასთან ერთად იწვის მცენარეული საფარველი, დუმუზის ჯოგების საზრდო, და ამავე სიყვარულის ძალით კვლავ აღდგება გაზაფხულთან ერთად.

ძველ ბერძნებს სახელგანთქმული საბფო მიწაზე ჩამოსულ ქალღმერთად მიაჩნდათ და ამკობდნენ მას ღვთიური დედოფლის ეპითეტით. ასეთი მგოსანი — დედოფალი შემერისა იყო ქალღმერთი ინანა, ელეგიებისა და სამიჯნურო ლექსების მღერალი, ხოლო დუმუზი — მისი შთამაგონებელი, ალბათ ლერწმის სტვირის აღმომჩენი, მსგავსად ატისისა, მისი ფრიგიელი ორეულის. ამ სიმღერებში დუმუზი „მეუფედ“ იხსენიება, ფინიკიელებთან იგი აღონისია (აღონ — „უფალი“), აშორეთის (იგივე იშთარ) შეყვარებული. ელადში აფროდიტეა აღონისის სატრფო. მათი ხანმოკლე და მწველი სიყვარულითაა შთაგონებული საბფოს სამიჯნურო სიმღერები და ეპითალამები.

დუმუზი და ინანა, ეს უძველესი წყვილი — ღვთაებრივი ნეფედედოფალი, შუამდინარეთში იქცა შეყვარებულთა კლასიკურ მაგალითად. ინანა-იშთარია სიყვარულის ინსპირატორი, ქალში სიყვარული მისი ნებით ვლინდება.

ორი ჰანგი მოისმის ინანას სიმღერებში: სასოწარკვეთილი მოთქმა დუმუზის დაღუპვის გამო და მისი პირისხილვით აღძრული სიხარული.

ეს მითია საფუძველი საღმრთო ქორწინების რიტუალისა, სადაც მწყემს დუმუზის ქვეყნის მეფე განასახიერებდა, ხოლო ინანას — რჩეული ღვთისმშვეალი, რომელშიც იბუდებდა ინანა, სიყვარულის ძალი. ამ რიტუალის გამომახილი ჩანს აქადურ „გილგამეშში“; ურის

III დინასტიის ხანაში კვლავ აღდგა ეს ჩვეულება. ჩვენს კრებულში წარმოდგენილი ორი ჰიმნი მეფე შუზუენასადმი უძველესი საყარალური ეპითალამებია. ღვთისმხვეალი, ვითარცა მეტრფე მეფისა, თავის მეფისათვის მღერის ამ ჰიმნებს. ამიტომაც ისინი შეთხზულია შუმერული ენის განსაკუთრებულ კილოკაზე, რომელიც ძველთაგანვე დამკვიდრდა ამ ქანრის პოეზიისათვის. ესაა ემესალ ანუ „ქალთა ენა“, მოთქმისა და სიყვარულის კილო. ამ ენაზეა დაწერილი მეტი წილი „გოდებისა ურის დაქცევის გამო“ — ქალღმერთ ნინგალის მოთქმა. და ყველგან, სადაც ქალღმერთი მეტყველებს, ძირითად დიალექტში იკრება ეს თითქოს ენამოხლექილი, ქალივით მოაღერს კილო.

მითოსი მთლიანად არ ავსებს შუამდინარულ პოეზიას: მოგვიანო ხანს მწერლობაში შემოდის ახალი ნაკადი — კერძო კაცის ყოფითი ცხოვრება. „ბედუქუღმართისა და ბრძენკაცის დიალოგში“ ჩვენ უკვე ვხედავთ არა მითოსური ყალიბის აღამიანს, არამედ მექველ პიროვნებას, რომელიც ღრმად ჩაჰფიქრებია ემპირიულ ყოფას, წვალობს, ეკვდება თვით ღმერთების სამართლიანობაში. კოსმიურ განცდას პირადი გამოცდილება უპირისპირდება. ხოლო „ბატონისა და მონის დიალოგი“ ალბათ პირველი ნიჰილისტური ნაწარმოებია მსოფლიო მწერლობაში. შესაძლებელია აქ ჩანდეს შუამდინარული ცივილიზაციის დაღუპვის სიმპტომი.

იქვი, როგორც ყოველთვის, აქაც ინდივიდუალური შემეცნებისა და შემოქმედების იმპულსი იყო, რაც თუმცა ამ ცივილიზაციის წიაღში მთელი სისავსით ვერ ამოქმედდა. მას სრულიად სხვა ხალხში და სხვა ეპოქაში უნდა გამოეღო ნაყოფი.


• •

თითქმის ოც საუკუნეს ითვლის შუამდინარული პოეზიის ქმედითობის ხანა. დროის იგივე მანძილი გვაშორებს მისი ჩაქრობიდან. ეს სიშორე უჩვეულოს ხდის მასში წარმოსახულ სამყაროს. ბევრი რამ არის აქ ბუნდოვანი და ჩაუწვდომელი. განსაკუთრებით უცხოა ჩვენი დროისათვის შორეული შუმერული ენა. სიტყვა ამ ტექსტებში მაგიური ფენომენია, რადგან პირველი მგოსნები ქურუმები იყვნენ და სიტყვაში, მსგავსად მითოსისა, დაფარულის გამოცხადება ეგულებოდათ. სხვაგვარი იყო მგოსნური შთაგონების ბუნება: სიზმარულ ხილებიდან იღებდა იგი დასაბამს. მგოსანი — რჩეული ჭური — ზეგარდმო შთაგონებით უნდა აღესილყო, როგორც ამბობს „ერას ეპოსის“ ავტორი პოემისავე ტექსტში: „ამ ქებათა შემკრებს, ქაბთი-ილანი-მარდუქს, დაბიბის ძეს, ესე ყოველი სიზმრად გამოეცხადა და ოდეს განთიად განიმეორა, არაფერი გამოუკლია, არც ზედმეტი სიტყვა მიუმატებია“. ამგვარ გამოცხადებას არაჩვეულებრივი შთაბეჭდავობა ახლდა, განუზომელად დიდი იყო მსმენელთათვის სიზმრად შთაგონებულ სიტყვის ძალა.

თანამედროვე მთარგმნელი ვერ გამოეთიშება თავის ეპოქას, ვერ დადგება იმ ძველისძველი, გარდასული დროის თვალსაზრისზე. ამის გამო ახალ ენებზე შესრულებულ მთარგმანებში ვერ მიიღწევა ის ეფექტი, რაც ორიგინალს უნდა მოეხდინა პირველ მსმენელებზე. ჩვენ ვერ განვიცდით მათი გულით, ვერ მივხედებით იმ უმნიშვნელოვანესს, რასაც ისინი ორიგინალში ამოიკითხავდნენ. მაგრამ თუ დღემდე ინარჩუნებს ეს პოეზია მხატვრული ზემოქმედების ძალას, მხოლოდ იმის წყალობით, რომ კაცობრიობის დერიტა ზედროულია და უცვლელი. წარმავალია მისი გამოვლენის ფორმები. თუ მარადიული მშობლიურია ყველა დროისათვის, წარმავალშიც — განუმეორებელ უცხოთა და ძველში — არის რაღაც მიმზიდველი, რაც დამოუკიდებელ ესთეტიურ ღირებულებას ქმნის.

თუმცა ბევრს კარგავს მთარგმნელი სიტყვა, მაგრამ მე მაინც „ერას“ ავტორის კვალზე ვიტყვი, რომ შეძლებისამებრ ზუსტად გადმოვიღე დედანი: არაფერი გამომიკლია, არც ზედმეტი რამ მიმიმატებია.

ზ უ რ ა ბ კ ი კ ნ ა ძ ე



ს ა მ ო თ ხ ი ს მ ი თ ი

(ეპოსიდან „ენშერქარი და არათას ბატონი“)

უბა მუშ ნუგალამ გირ ნუგალამ
ქა ნუგალამ ურმახ ნუგალამ.

ოდეს გველი არ იყო, შორიელი არ იყო,
აფთარი არ იყო, ღოში არ იყო,
ძალდი არ იყო, მგელი არ იყო,
შიში არ იყო, ძრწოლა არ იყო,
კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა, —
მაშინ შუბურის მთები, ხამაზის ქვეყანა,
შუმერის მხარე ტკბილმეტყველი,
ღიადი ქვეყანა დიდებულ წესთა,
ურის ქვეყანა მქონებელი უოველთა სახმართა,
ამურუ სვებედნიერად დავანებული,
მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი,
ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა.

(ნაწყვეტი პოემიდან)

დიღმუნ ქი ქუგამ დიღმუნ სიქილამ
დიღმუნ სიქილამ დიღმუნ ზალაგ-ზალაგამ

დიღმუნის მიწა წმიდა იყო, დიღმუნი უბიწო იყო.
დიღმუნი უბიწო იყო, დიღმუნი ბრწყინვალე იყო.
ვიღრე დიღმუნში მარტოდმარტო განისვენებდა,
ვიღრე ენქი თავის ცალთან განისვენებდა,
ადგილი იგი უბიწო იყო, ადგილი იგი ბრწყინვალე იყო.
ვიღრე დიღმუნში მარტოდმარტო განისვენებდა,
ვიღრე ენქი ნინსიქილასთან განისვენებდა,
ადგილი იგი უბიწო იყო, ადგილი იგი ბრწყინვალე იყო.
დიღმუნში ყორანი არ ყრანტალებდა,
დიღმუნში ყვავი არ ჩხაოდა,
ლომი არავის მოაკვდინებდა,
მგელი ბატკანს არ გაიტაცებდა,
ძალი თიენის გამგლეჯი არ უწყოდნენ,
ტახი ხორბლის მკამელი არ უწყოდნენ,
დიღმუნში ქვრივ-ობოლი არ იპოვებოდა,
ძერა ცარგვალზე არ დაბრუნავდა,
გუნდს მტრედებისას არ დაეცემოდა.
ავი თვალი „ავი თვალი ვარ“, არ იტყოდა,
ავი თავი „ავი თავი ვარ“, არ იტყოდა,
ბერიკაცი „ბერიკაცი ვარ“, არ იტყოდა,
მგალობელი არ შეიცხადებდა,
ქალაქის წიად არ გოდებდა.

თუხულ-თუხულ ნიგურ-გურგალ
დუაბი ურბი ისუგეშ

ქარიშხალნი ძლევამოსილნი
ყველანი ერთიანად მოვარდნენ.
წარღვნა მძვინვარებდა ხმელეთის პირზე.
შემდგომად შეიღი დღისა და შეიღი ღამისა,
რა წარღვნა მიწის პირს წარღვნიდა,
ხომალდს ზვირთებში მიმოიტაცებდა, —
აღმობრწყინდა მზის ღმერთი, უთუ,
ცად და ხმელად ნათლის მომფენელი.
ზიუსუდრამ გააღო სარკმელი ხომალდისა,
ზიუსუდრა, მეფე, განერთხა უთუს წინაშე,
მეფემ დახოცა ზროხა და ცხოვარი.

ზიუსუდრა, მეფე, განერთხა ანისა და ენლილის წინაშე.
სიცოცხლე ღმრთებბრივი მიანიჭეს მას,
მარადი სუნთქვა ღმრთებბრივი შთაბერეს მას.

მათ დღეთა შინა ზიუსუდრა, მეფე,
დამმარხველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა,
შორეთულ ქვეყნად, დილმუნის ქვეყნად,
ადგილზე მზის აღმოსავლისა,
ანმა და ენლილმა დაასახლეს.

უბია გიშ დიშამ ხალუბ დიშამ გიშ დიშამ
გუ ბურანუნა ქუგაქა დუაბი

მას უამს ხე ერთი, ტირიფი ერთი, ხე ერთი,
წმიდა ბურანუნას პირას დარგულიყო,
ბურანუნას წყალი არწყულებდა...

ხამხრეთის ქარმა ფესვითურთ აღმოფხვრა,
ბურანუნამ წყალი მიუღვარა.

ქალმა, ანის სიტყვათა მოშიშმა, მოარულმა,
ენლილის სიტყვათა მოშიშმა, მოარულმა,
ხე იგი ხელთიპყრა, ურუქს მიიტანა,
„ინანას წმიდა მტილში შევიტანო“.

ქალი უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო,
ინანა უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო.
„როდის მექნება წმიდა ტახტი დასაქლომად?“ — იტყოდა.

„როდის მექნება წმიდა საწოლი დასაწოლად?“ — იტყოდა.
გამოხდა წელი ხუთი, გამოხდა წელი ათი.

ხე იგი აღორძინდა, გარნა ქერქი ვერ მოეცალა.
მის ძირში გველმა მოუნუსხავმა ბუდე გაიკეთა,
მის რტოებში იმდუგულმა ბარტყები დასხა,
მის შუაგულში ქალწულმა ლილითმა სახლი აიშენა.

ქალწული მხმობელი, გულმხიარული,
წმიდა ინანა ცრემლოოდა.

გარიჟრაჟისას, ცის კიდეთა გაბრწყინვებისას,
დილის ფრინველთა ჟრიაშულის ჟამს,

ქალი იგი მოტირალი გილგამეშს უხმობს,
წმიდა ინანა თავის ძმას, გილგამეშს, უხმობს:

„მას უამს ხე ერთი, ტირიფი ერთი, ხე ერთი,
წმიდა ბურანუნას პირას დარგულიყო,

ბურანუნას წყალი არწყულდება...

სამხრეთის ქარმა ფესვითურთ აღმოფხვრა,

ბურანუნამ წყალი მიუღვარა.

ქალმა, ანის სიტყვათა მოშიშმა, მოარულმა,

ენლილის სიტყვათა მოშიშმა, მოარულმა,

ხე იგი ხელთიპყრა, ურურქს მიიტანა,

„წმიდა ინანას მტილში შევიტანო“.

ქალი უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო,

ინანა უვლიდა ხეს მას, თვისთა ფერხთა წინაშე დარგო.

„როდის მექნება წმიდა ტახტი დასაჯდომად?“ — იტყოდა-

„როდის მექნება წმიდა საწოლი დასაწოლად?“ — იტყოდა.

გამოხდა წელი ხუთი, გამოხდა წელი ათი.

ხე იგი აღორძინდა, გარნა ქერქი არ მოეცადა.

მის ძირში გველმა მოუნუსხავმა ბუდე გაიკეთა,

მის რტოებში იმღუგუდმა ბარტყები დასხა,

მის შუაგულში ქალწულმა ლილითმა სახლი აიშენა..

ქალწული მხმობელი, გულმხიარული,

წმიდა ინანა ცრემლოდა“.

დამ მისმა ამბავი ესე რა მიუთხრო,

გმირმა გილგამეშმა სიტყვა მისი შეიწყნარა,

სარტყელი შეიხსნა, ერგასი მინა წელიდას განიგლო,

ერგასი მინა ოცდაათ სიკილად აქცია.

ბრინჯაოს ცული თვისი, სალაშქრო საქურველი, —

შვიდი გუ და შვიდი მინა წონისა, ხელთიპყრა.

ნის ფესვებში გველი მოუნუსხავი მოკლა,

ნის რტოებში იმღუგუდი ბარტყებითურთ შეიპყრო,

იმღუგუდი ბარტყებითურთ მთიანეთს წაახსა,

ნის შუაგულში ქალწულ ლილითს სახლი დაურღვია,

ქალწული ლილითი უდაბნოსკენ გააქცია.

ხე იგი ფესვებითურთ აღმოფხვრა,

რტონი მისი განკაფა.

წმიდა ინანას ტახტისათვის უბოძა,

საწოლისათვის უბოძა.

თავად ფესვისაგან ფუქუ გააკეთა,

რტოსაგან მიქუ გააკეთა.

ე ნ ე ი ღ უ მ ვ ე ს ტ ნ ე ლ შ ი

ქალწულთა მუდარა შეესმათ ღმერთებს:

ფუქუ და მიქუ ქვესკნელს ჩაუცვივდა.

ხელი გაიწვდინა გილგამეშმა, ვერ მიწვდა..

ფეხი გაიწვდინა გილგამეშმა, ვერ მიწვდა.

მაშინ ხინართა კარიბჭესთან დაქდა,

ცრემლს ღვრის გილგამეში სახეგამკრთალი:
 „ვაი, ჩემი ფუქუ საკვირველი ძალისა
 ვაი ჩემი მიქუ საროკველ ხმათა გამომცემის
 ვაი დღე იგი, როს ფუქუ თან მქონდა საღურგლოში!
 როს ღურგლის ცოლი დედად მიმანდა,
 ღურგლის ასული უმცროს დად მიმანდა
 ჩემს ფუქუს ქვესკნელიდან ვინ ამომიხმობს?
 ჩემს მიქუს ქვესკნელიდან ვინ ამომიხმობს?“
 მონა მისი, ენდიქუ, ამგვარად იტყვის:
 „რად მოსთქვამ, ბატონო, გული რად გიწუხს?
 ფუქუს მე ამოგიხმობ ქვესკნელიდან,
 მიქუს ქვესკნელიდან მე ამოგიხმობ“.
 ასე ეუბნება გილგამეში ენქიდუს:
 „თუ დააპირო ქვესკნელში ჩასვლა,
 ჩემი გაფრთხილება უურად იღე:
 სუფთა სამოსელი არ შეიმოსო, —
 ქვესკნელის მკვიდრნი უცხოდ მიგიჩნევენ.
 სურნელი ზეთი ტანს არ იცხო, —
 ზეთის სურნელზე გარს შემოგეკრბიან.
 ქვესკნელში შუბი არ გადისროლო —
 შუბმობვედრილნი გარს შემოგეტყშიან.
 კომბალი ხელში არ დაიჭირო, —
 ქვესკნელის სულნი დაგიფრთხებიან.
 ხამლებით ფერხნი არ შეიმოსო, —
 ქვესკნელში ხმაურით არ ჩახდე.
 საყვარელი ცოლი შენი არ გადაკოცნო,
 საძულველი ცოლი შენი არ გალახო.
 საყვარელი შვილი შენი არ გადაკოცნო,
 საძულველი შვილი შენი არ გალახო.
 ქვესკნელის მკვიდრთა ჩივილი გეწევა.
 ვინც განისვენებს, ვინც განისვენებს,
 ნინაწუს დედა, ვინც განისვენებს,
 წმიდა მხრები მისი შეუმოსავია,
 მკერდი მისი, მსვაესი თასისა, დაუფარავია“.
 უურად არ იღო ენქიდუმ გაფრთხილება:
 სუფთა სამოსელი შეიმოსა, —
 ქვესკნელის მკვიდრთა უცხოდ მიიჩნიეს.
 სურნელი ზეთი ტანს იცხო, —
 ზეთის სურნელზე გარს შემოეკრბენ.
 ქვესკნელში შუბი გადისროლა, —
 შუბმობვედრილნი გარს შემოეტყნენ.
 კომბალი ხელში დაიჭირა, —
 სულნი ქვესკნელისა დაუფრთხნენ.

ხამლებით ფერხნი შეიმოსა, —
ქვესკნელში ხმაურით ჩახდა.
საყვარელი ცოლი გადაკოცნა,
საძულველი ცოლი გალახა.
საყვარელი შვილი გადაკოცნა,
საძულველი შვილი გალახა.
ქვესკნელის მკვიდრთა ჩივილმა შეიპყრო.

ვინც განისვენებს, ვინც განისვენებს,
ნინაზუს დედა, ვინც განისვენებს,
წმიდა მხრები მისი შეუმოსავია,
მკერდი მისი, მსგავსი თახისა, დაუფარავია.

ოდეს ენქიდუმ დააპირა ქვესკნელით ამოსვლა,
ნამთარმა იგი არ შეიპყრო,
აზაგმა იგი არ შეიპყრო,
ქვესკნელმა შეიპყრო.

უწყალო ნერგალის ღემონმა არ შეიპყრო,
ქვესკნელმა შეიპყრო.

ბრძოლის ველზე არ დაცემულა,
ქვესკნელმა შეიპყრო.

მაშინ ატირდა ძე ნინსუნისა
თვისი მონა ენქიდუს გამო.

ექურს, ენლილის ტაძრად, გაემართა მარტო.

„მამა ენლილ, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ენქიდუ გავგზავნე მათ ამოსატანად.

ნამთარმა იგი არ შეიპყრო,
აზაგმა იგი არ შეიპყრო.

ქვესკნელმა შეიპყრო.

უწყალო ნერგალის ღემონმა არ შეიპყრო,
ქვესკნელმა შეიპყრო.

მამა ენლილმა არ შეიწყნარა,
ზუენასაკენ გაემართა მარტო.

„მამა ზუენა, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,
ენქიდუ ჩავგზავნე მათ ამოსატანად.

ნამთარმა იგი არ შეიპყრო,
აზაგმა იგი არ შეიპყრო,

ქვესკნელმა შეიპყრო.

უწყალო ნერგალის ღემონმა არ შეიპყრო,
ქვესკნელმა შეიპყრო.

ბრძოლის ველზე არ დაცემულა,

ქვესკნელმა შეიპყრო“.

მამა ზუენამ არ შეიწყენარა,

ენქისაკენ გაემართა მარტო.

„მამა ენქი, ოდეს ფუქუ ქვესკნელს ჩამივარდა,

ოდეს მიქუ ქვესკნელს ჩამივარდა,

ენქილუ ჩავგზავნე მათ ამოსატანად.

ნამთარმა იგი არ შეიპყრო,

აზაგმა იგი არ შეიპყრო,

ქვესკნელმა შეიპყრო.

უნუალო ნერგალის დემონმა არ შეიპყრო,

ქვესკნელმა შეიპყრო.

ბრძოლის ველზე არ დაცემულა,

ქვესკნელმა შეიპყრო“.

ენქიმ შეიწყენარა ვედრება მისი,

ასე ეტყვის გულად გმირს ნერგალს:

„მომისმინე, გულადო ნერგალი

გახსენი ხერელი ქვესკნელისა,

ამოხდეს ქვესკნელით ენქილუს სული,

მიუთხროს ძმობილს ქვესკნელის ამბავი“.

გულადმა ნერგალმა ენქის მოუსმინა,

და გახსნა ხერელი ქვესკნელისა.

ენქილუს სული ქვესკნელით ამოხდა,

ერთურთს გადაეკდნენ და დახსდნენ ერთად,

იწყეს საუბარი და ოხრავდნენ.

„მაუწყე, ძმობილო მაუწყე, ძმობილო

ზენი ქვესკნელისა, რაც ნახე, მაუწყე!“

„ვერ გაუწყებ, ძმობილო, ვერ გაუწყებ!

უკეთო გაუწყე ზენი ქვესკნელისა, რაც ვნახე,

დაქდები ტირილად!“

„დაი, დავქდე ტირილად!“

„ჩემს სხეულს, შეხება რისიც გახარებდა,

კიები ჰამენ, ვითარ ძველ ხამოხელს.

სხეული, შეხება რისიც გახარებდა,

დაღრღნილი და მტვერით აღვსილი“.

„ვაჰმე!“ — შეიცხადა, მიწად დაემხო.

„ვაჰმე!“ — შეიცხადა გილგამეშმა, მიწად დაემხო.

„ვინც ერთი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.

ქვესკნელში ხმელა პურს შეექცევა“.

„ვინც სამი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.

ქვესკნელში მხოლოდ წუალსა სვამს იგი“.

„ვინც ოთხი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.

სასმელ-საქმელით გულს იხარებს“.

„ვინც ხუთი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.

ქარგი მწერალივით შიშველი მკლავი აქვს,
დიდი პატივით შედის სასახლეში“.
„ვინც ექვსი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.
გუთნისდღედასავით უხარის გული“.
„ვინც შვიდი ძე შვა, თუ ნახე?“ „ვნახე.
დმერთებთან სიახლით ნეტარებს“.
„ვინც ბოძმა მოკლა, თუ ნახე?“ „ვნახე.
ქვესკნელში ჩასვლისას ხიწვებს იცილებდა“.
„ვინც უცებ მოკვდა, თუ ნახე?“ „ვნახე.
ღამის სარეცელზე განისვენებს,
ანკარა წყაროს ეწაფება“.
„ვინც ომში მოკვდა, თუ ნახე?“ „ვნახე.
დიდ-მამა თავს უწევს, ცოლი თავს დასტირის“.
„ვისი ცხედარიც ველზე გდია, თუ ნახე?“ „ვნახე.
შეება არა აქვს მის სულს ქვესკნელში“.
„ვის სულსაც მზრუნველი არ აუაჯს, თუ ნახე?“ „ვნახე.
ჭამს კერძის ნარჩენებს ქუჩაში გადაურილთ“.

გაშანმენ ნინ უნუგამენ
გაშანმენ ნინ ზაბალამამენ

განა დედოფალი არა ვარ, ურუქის ქალბატონი?
დედოფალი, ქალბატონი ზაბალამისა?
განა დედოფალი არ ვარ ხურსანქალამისი?
დედოფალი, დიდი ქალბატონი ყველა მზარეთა,
დედოფალი, ქალბატონი ბაბილონისა?
განა მალალი დედოფალი არ ვარ, — არურუ,
ქალბატონი ნანა?
ქალბატონი „სახლისა“, ღმერთთა ქალბატონი?
განა ასული მულილისა არ ვარ,
ქალბატონი, გმირქალი?
ცის დედოფალი, მულილის გმირი წული?
მულილის პირმშო ასული ვარ,
ენლილისა ვარ, ნინლილისა ვარ!
წყალს ავამღვრე, — არ დაიწმინდება,
ცეცხლს აღვაგზნებ, — არ დაიშრიტება.
ენა, სახლი ხმელეთისა, მე მომანდეს.
ქალაქი, რომელს თავს დაეცხში,
თავს ცად ვერ აღმართავს.
უცხო ქვეყანათა კებს შლამით ავავსებ.
დიღმუნის წყაროში თავს განვიბან,
ძვირფასი თვლებით მოვიკაჭმები.

ოდეს მე, ქალღმერთი, ბრძოლაში ვიუივლებ,
ოდეს მე მთიანეთში ვიუივლებ,

შეძრწუნდებიან მთიანეთის ღმერთები,
ჩემთან მოვლიან მთიანეთის გზებით.
იცახცახებენ ბელადები ჩემს წინაშე,
ჩემს კვალს მოჰყვებიან ბელადები.
მეტყველს ჩემს მომართ „ცრუ არსო იგი“,
სახლში, მე ქალღმერთი, სიცრუეს ვუშკვიდრებ.

ოდეს მე, ქალღმერთი, ხელთ განვაპყრობ,
ცათამდე სწვდება ხელი ჩემი.
ჩემს ხელს, დედოფლისას, ვერვინ ესწორება.
ოდეს ფეხს გადავდგამ, მთელ ხმელეთს ვზომავ,
ჩემს ნაბიჯს, დედოფლისას, ვერვინ ესწორება.
ვინ დამედევნება, ვინ გამისწრებს?
ვინ გამექცევა, ოდეს მჭერას ჩემსას მივადევნებ?
ვინ გამიფრინდება, ოდეს ფართედ გადავაბიჯებ?

ძლევამოსილი ასული ვარ მულილისა,
ძლევამოსილი ასული ვარ ზუენასი, მამაჩემისა,
დედოფალი, — ნუღიმუღის ნებიერი ვარ.
ქურუმს და მეფეს მე განვაწესებ,
მეფეს გვირგვინს მე დავარქვამ,
მწყემსს სამწყუსო კომბალს მე ვაძლევ.

წინდაგებული მახე ვარ, უკანდაგებული მახე ვარ,
ქალბატონი, ტრამალეზე ვრცელი ბადის მსროლელი,
ვიწრო ბადით მინდვრის დამფარავი.

მოგიზგიზე ცეცხლი, მთიანეთის გულში დანთებული,
ცეცხლი და ნაცარი მტრის მხარეს ნაწვიმები.

მკვეხარა მოყმის პირის დამხშობი,
ცადასკლად მოწადინის ხმელეთზე დამბმელი.

მარჯვენის მარცხენად შემცვალებელი,
მარცხენის მარჯვენად შემცვალებელი.

მამაკაცის დიაცთან მიმყვანი,
დიაცის მამაკაცთან მიმყვანი.
მამრის დიაცისთვის დამამშვენებელი,
დიაცის მამრისთვის დამამშვენებელი.

გაღებული სახლის ჩამკეტი,
დაკეტილი სახლის გამღები.

უძლურის სახლში შემყვანი,
ძლიერის სახლიდან გამომყვანი.

შავის თეთრად შემცვალბეელი,
თეთრის შავად შემცვალბეელი.

ვინაც ხიხარულით ბრწყინავს, მასთან მივდივარ,
ვისაც გლოვის საშოსელი მოსავს, მასთან მივდივარ.

გუთნეულის ხარებს მე ვასვენებ,
დასვენებულ ხარებს გზად წავიყვან.

სახნისი, მხვნელი მიწის მკერდისა,
მახვილი სახნისი, წინმავალი ვარ,
გუთანი ვარ ხარებში შებმული.

ნინ ნინგალე ულე ხილიშე სიგა
უშუშგალაჲ ხენსუ შამურანგალ

დედოფალო, ნინგალს შეებად შეუქმნიხარ,
ძალი უშუშგალის მოუნიკებია.
ინანა, ნინგალს შეებად შეუქმნიხარ,
ძალი უშუშგალის მოუნიკებია.

გრიგალზე ამხედრებულს აბზუდან ნიკი მოგიხვეკავს,
მეუფე დაგალ-უშუშგალანა შენს წმიდა საყდარზე დაგისევამს,
ინანა, გრიგალზე ამხედრებულს აბზუდან ნიკი მოგიხვეკავს,
მეუფე დაგალ-უშუშგალანა შენს წმიდა საყდარზე დაგისევამს.

ქალღმერთო, ნიკი შენი ცათამღი განგივრცია,
დედის საშოდან კვერთხი, საკურველა, წამოგიღია.
ინანა, ნიკი შენი ცათამღი განგივრცია,
დედის საშოდან კვერთხი, საკურველი, წამოგიღია.

მეუფეს, შუმერში ღამით გამოჩენილს, მზეებრ შექხარიან,
რა მთად აღხდების, მთა იშვებს მის გამო.
დაგალ-უშუშგალანას, შუმერში ღამით გამოჩენილს, მზეებრ
შექხარიან,
რა მთად აღხდების, მთა იშვებს მის გამო.

დედოფალო ჩემო, დაგალ-უშუშგალანა სიძედ მოუცია, გიხაროდის
ენლილს შენთვის მოუცია, მთა შენს ხელთ მოუცია.

ინანა, დაგალ-უშუმგალანა სიძედ მოუცდია, გიხაროდეს|
ენლილს შენტვის მოუცია, მთა შენს ხელთ მოუცია.

ცის დედოფალო, ძალი შენი მეუფისთვის შეგიწირავს,
დაგალ-უშუმგალანა ბრწყინვალე ნათელს მოგინათებს.
ინანა, ძალი შენი მეუფისთვის შეგიწირავს,
დაგალ-უშუმგალანა ბრწყინვალე ნათელს მოგინათებს.

უცხო ქვეყანად, შორეულ მთად, რა აღმოხდების,
ბრძოლის ურიაშულში დღეს ატარებს.
დაგალ-უშუმგალანა უცხო ქვეყანად რა აღმოხდების,
ბრძოლის ურიაშულში დღეს ატარებს.

მზესავით კედარის მთიდან რა აღმოხდების,
ტკბილ ზეთს შუმერში უხვად აღინებს,
დაგალ-უშუმგალანა მზესავით კედარის მთიდან რა აღმოხდების,
ტკბილ ზეთს შუმერში უხვად აღინებს.

დედოფალო, ვინ უწყის ნება შენი ცათა წიაღში და ხმელთა ზედა?
სიტყვა შენი ორკეცი საბელივით გაუწყვეტელი ზესკნელს
საფუძვლითურთ აზანზარებს,

მამამ, ენლილმა, ყოველივე ესე მოგანიჭა,
დაგალ-უშუმგალანა, ბრძოლაში მტრების დამხვევებელი,
შენტვის იბრძვის ვითარცა გმირი.

ინანა, დედოფალო, ვინ უწყის ნება შენი ცათა წიაღში და ხმელთა
ზედა?

სიტყვა შენი ორკეცი საბელივით გაუწყვეტელი ზესკნელს
საფუძვლითურთ აზანზარებს.

მამამ, ენლილმა, ყოველივე ესე მოგანიჭა.
დაგალ-უშუმგალანა, ბრძოლაში მტრების დამხვევებელი,
შენტვის იბრძვის ვითარცა გმირი.

დედოფალო ჩემო, დაგალ-უშუმგალანა გმირია შენი თანაარსი,
საღვთო სამოსელი შენივე მსგავსი შეუმოსავს.
თვითთვე, ახალი მთვარისას, ანი მთვარესავით დაგიბადებს,
მეუფეს, დაგალ-უშუმგალანას, საყვარელს შენი გულისას,
ამომავალ მზესავით შესხმით აღიდებენ.

ინანა, დედოფალო ჩემო, დაგალ-უშუმგალანა გმირია შენი თანაარსი,
საღვთო სამოსელი შენივე მსგავსი შეუმოსავს.
თვითთვე, ახალი მთვარისას, ანი მთვარესავით დაგიბადებს,
მეუფეს, დაგალ-უშუმგალანას, საყვარელს შენი გულისას,
ამომავალ მზესავით შესხმით აღიდებენ.

(დასაწყისი)

ინგალანა სილიმა განაბიენ
ნუსიგიგ ანთეარა სილიმა განაბიენ

ზესკნელის დედუფალს მშვიდობას ვეტყვი!
ღვთაებრივ მხევალს, ცად აღმომხდარს, მშვიდობას ვეტყვი!
ზესკნელის დედუფალს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი
ბრწყინვალე ხანთელს, ზეცის აღმავსებელს,
ინანას, შორეთში მზეებრ მანათობელს,
ზესკნელის დედუფალს. ინანას, მშვიდობას ვეტყვი
ღვთაებრივ მხევალს. ძლევაშოსილს ანუნაქთა ზედა,
ზესკნელის გმირქალს, ნათლის გაღმომღვრელს,
ზუნენას დიდ ასულს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი
ოდეს მიმწუხრისას ცად ამოენთება,
ბრწყინვალე ნათლით ზესკნელს რა აღავსებს,
მსგავსად მთვარისა და მზისა ცად დაადვრების, —
ქვემო და ზემო ქვეყანანი უჭკრეტენ.
ზესკნელის ღვთაებრივ მხევალს, ცის სიქადულს,
ინანას გალობით ვუგალობ!

ცად დაადვრების, — ცის სათნო ფური,
ხმელეთზე იბრძვის, — ქვეყნის დედუფალი.
ერიდუს აბზუში ნიჭი მოუხვეჭავს,
მამამისს, ენქის, ძღვნად უბოძებია.
ანთან ერთად უზენაეს საუღარზე დამქდარა,
ენლილთან ერთად ქვეყნის ბედს გადაწყვეტს.
ქვეყნის ღმერთები გარს ეკრიბებთან,
ანუნაქები ქედს უხრიან,
მსხვერპლით და ლოცვით მასთან მიდიან,

ქვეყანათა ხათხოვარს მიუთხრობენ.
შავთავიანნი ვლენან წინაშე მისა.

აღგარს, წმიდა ხაკრავს, მისთვის უკრავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ზესკენელის დედუფალს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი
წმიდა დაფსა და წმიდა ებანს მისთვის უკრავენ,
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ზესკენელის დედუფალს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი
წმიდა ხანთურსა და წმიდა ებანს მისთვის უკრავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ზუნას დიდ ასულს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი

გმირი მოუმენი ბრწყინვალედ შეამკობენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

თმას პატროსანი თვლებით შეუშკობენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ტანს ღვთაებრივად შეუშოსავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ბრძოლის საჭურველით შეჭურვავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

მარჯვენა მხარს მამაცებრ უშოსავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

მარცხენა მხარს დიაცებრ უშოსავენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ზუნას დიდ ასულს, ინანას, მშვიდობას ვეტყვი

მოწიფულნი ყრმანი უმღერიან, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ქალწულნი თავებს ყვავილებით იშკობენ, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

რომელნი მახვილს სისხლში ამოსვრიან,
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ზესკენელის მხევალი ცად ობლად დავალს.

შავთავიანთ მოდგმას, ცხვრის ქოგზე უმრავლესს,
ჩემი დედუფალი ცის გულიდან მხიარულად აღმოუბრწყინდება.

მწუხრის დედუფალო, მაღალო ინანა,

ქალწულო ინანა, შენ გადიდები

მწუხრის დედუფალი ცის კიდემდე უზეშთაეს არსი

მიმწუხრისას მტრული ვარსკვლავია,

ასპიროზი, დიდი სხივი წმიდა ზეცისა.

მწუხრის ვარსკვლავს, გმირქალს, ცად აღმომხდარს,

ხალხი ყოველთა ქვეყანათა უჭკრეტს.

მაშაკაცი განიწმიდებიან, დიაცი შეიშკობიან,
ულლის ხარები თავებს ზე აწივენ,
ცხვრები ფარებში შეგროვდებიან.
შაქანის პირუტყვი, მინდვრის არსებანი,
ვრცელი ცისქვეშეთის ყოველი სულდგმული,
სამოთხენი, ნერგები ამწვანებულ ლერწმისა,
თევზნი წყლისანი, მფრინველნი ცისანი,
ელიან ჩემს დედუფალს თავიანთ ბინებში.
დედუფალი ჩემი ყველას ამშვიდებს თავის საუფლოში.
მოყმე გაიხარებს ცალთან ერთად.
დედუფალი ჩემი ცის გულიდან მხიარულად აღმოხდების, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.

ინანა, სამკაული ვრცელი ზესკნელისა,
ლამით მთვარესავით შუქს გამოანათებს,
შუადღის მზესავით ნათელს მოაფენს.
ოდეს ქვეყნად ტკბილი ძილი სუფევს,
უცხო ერი და შავთავიანნი ერთად შეყრილან,
საწოლში წვანან, ვითარცა მკვდარნი, —
ყოველთა ზრახვანი მასთან აღწევენ,
ყველა სატკივარი მას მოეხსენება,
მაშინ მან უწყის ყოველი ბოროტი,
ბოროტმოქმედს ბოროტს მიაგებს,
ავისმქნელს დალუპავს.
მართალს სიყვარულით მოჰხედავს,
კეთილ ბედისწერას დაუსაზღვრავს.

ჩემი დედუფალი ცის გულიდან მხიარულად აღმოხდების, —
წმიდა ინანას წინაშე ვლენან.
დილის დედუფალი, მაღალო ინანა,
ქალწულო ინანა, შენ გადიდები
დილის დედუფალი ცის კიდემდე უზეშთაეს არსი

ინანას ნიშნობა

უთუ ნინრა მი ნამუე
ინინ გუსარა ხილი გურუ

უთუ დას თვისას აღერხით ეტყვის:

„დაო ჩემო, სელი მინდვრად უხვად იზრდება,
ინანა, სელი მინდვრად უხვად იზრდება.

დაო ჩემო, სელს მოგიტან,
ინანა, სელს მოგიტანი!“

„ძმაო ჩემო, სელს რომ მომიტან,
ვინ დამიქსელავს, ვინ დამიქსელავს?
იმ სელს ვინ დამიქსელავს?“

„დაო ჩემო, დამქსელავს მოგიყვან,
ინანა, დამქსელავს მოგიყვანი!“

„ძმაო ჩემო, დამქსელავს რომ მომიყვან,
ვინ დამისთავს, ვინ დამისთავს?
იმ სელს ვინ დამისთავს?“

„დაო ჩემო, დამსთველს მოგიყვან,
ინანა, დამსთველს მოგიყვანი!“

„ძმაო ჩემო, დამსთველს რომ მომიყვან,
ვინ დამიგრებს, ვინ დამიგრებს?
იმ სელს ვინ დამიგრებს?“

„დაო ჩემო, დამგრებელს მოგიყვან,
ინანა, დამგრებელს მოგიყვანი!“

„ძმაო ჩემო, დამგრებელს რომ მომიყვან,
ვინ გამიმართავს, ვინ გამიმართავს?
იმ სელს ვინ გამიმართავს?“

„დაო ჩემო, გამმართველს მოგიყვან,
ინანა, გამმართველს მოგიყვან!“

„ძმაო ჩემო, გამმართველს რომ მომიყვან,
ვინ მომიქსოვს, ვინ მომიქსოვს?
იმ სელს ვინ მომიქსოვს?“

„დაო ჩემო, მქსოველს მოგიყვან,
ინანა, მქსოველს მოგიყვან!“

„ძმაო ჩემო, მქსოველს რომ მომიყვან,
ვინ შემიკერავს, ვინ შემიკერავს,
იმ სელს ვინ შემიკერავს?“

„დაო ჩემო, მკერვალს მოგიყვან,
ინანა, მკერვალს მოგიყვან!“

„ძმაო ჩემო, მკერვალს რომ მომიყვან,
გვერდს ვინ მომიწვება, ვინ მომიწვება?“

„იგი მოგიწვება, იგი მოგიწვება,
სასიძო შენი მოგიწვება,
დაგალ-უშუშგალანა მოგიწვება,
ქული-ენლილი მოგიწვება,
წმიდა საშოს დანაბადი მოგიწვება,
მეფის ნაშვიერი მოგიწვება!“

„რალა ქნას კაცმა გულისა ჩემის სანებელმა,
კაცმა გულითა ჩემით მოხმობილმა,
რომელი ბელლებს ხორბლით აღავსებს,
მიწისმოქმედმა, ხორბლის მენვაემ?
მწყემსმა რა იცის თვინიერ ფარეხისა?“

ძმა მისი, ქველი მეომარა უთუ,

უბიწო ინანას კვლავ ეტყვის:

„დაო ჩემო, მწყემსმა წაგიყვანოს!
ქალწულო ინანა, რად არ ინებებ?
ტკბილია ერბო მისი, ტკბილია რძე მისი.
ინანა, დუმუწიმ წაგიყვანოს!
ჰოი, შემკულო ძვირფასი თვლებით, რად არ ინებებ?“

ტკბილ ნაღებს მიხას ერთად შეიქცით!
ბოო, მეუფეთა მფარველო, რად არ იწებებ?"

„მე მწყემსი იგი ვერ წამიყვანს,
თვისი ახალი სამოსელით ვერ შემშოსავს.
მე, ქალწულს, მიწის მოქმედი წამიყვანს,
მიწისმოქმედი, ხილის მომყვანი,
მიწისმოქმედი, ხორბლის მეხვადე“.

მწყემსი ღუმუზი თავის ქალბატონს ასე ეტყვის:
„მიწისმოქმედი ნუთუ მე მჭობს?
მიწისმოქმედი მე რითი მჭობს?
ენქიმდუ, კაცი არხებისა და გუთონისა,
მიწისმოქმედი მე რითი მჭობს?
უკეთუ მომცემს თავის შავ ხორბალს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს შავ ცხვარს მივცემ.
უკეთუ მომცემს თავის თეთრ ხორბალს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს თეთრ ცხვარს მივცემ.
უკეთუ დამისხამს თავის ლუღს უკეთესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ყვითელ რძეს დავუხსხამ.
უკეთუ დამისხამს თავის ლუღს უტკბილესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს ნაღებს დავუხსხამ.
უკეთუ დამისხამს თავის ლუღს მათრობელს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს მანონს დავუხსხამ.
უკეთუ დამისხამს უკეთეს თაფლუჭს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ადღვებილ რძეს დავუხსხამ.
უკეთუ მომცემს თავის ხილს უტკბილესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს კარაქს მივცემ.
უკეთუ მომცემს თავის პურს უკეთესს,
სანაცვლოდ მიწისმოქმედს ჩემს ტკბილ ყველს მივცემ.
ხოლო შემდგომად კამისა და სმისა
ნაღებს უხვად დავუტოვებ,
რძენაც უხვად დავუტოვებ.
მიწისმოქმედი რით მაჭობებს?“

რს ჰყვავის, ის ჰყვავის,
ჰყვავის მორწყული მკერდი მიწისა.
მორწყულ მიწაზე მწყემსი მიმოდის,
მწყემსი მორწყულ მიწაზე ცხვარს აძოვებს.
მწყემსს, მორწყულ მიწაზე ცხვარის მამოვებელს,
მწყემსს მიწისმოქმედი მიეახლა,
მიწის მოქმედი ენქიმდუ მიეახლა,
მეუფე არხებისა ღუმუზის მიეახლა.
მის ველზე მწყემსმა, მის ველზე, დავა გაუპართა,

მწყემსმა ღუმუშიმ მის ველზე დავა გაუშართა.
„მე შენთან, მწყემსო, შენთან, მწყემსო,
მე შენთან რად უნდა ვდავობდი?
ძოვდეს ცხვარი შენი ჩემს შორწყულ მიწაზე,
ჩემს ყანებში ცხვარი შენი დაბალახობდეს,
ურუქის ბრწყინვალე ველებზე თავთავს ჰამდეს,
კრავი და თიკანი შენი არხის წყალს სვამდეს!“

„მაშინ ჩემს ქორწილზე, მე. მწყემსი, ჩემს ქორწილზე.
მიწისმოქმედო, მაყრად წაგიყვანი
მიწისმოქმედო, ენქიმედო, მაყრად წაგიყვანი!“

„ხოლო მე პურებს მოგიტან. ცერცვს მოგიტან,
ხორბალს მოგიტან, თაფლუქს მოგიტან,
ქალწულო ინანა, ყოველივე უკეთესს მოგიტანი!“

დავაში მწყემსისა და მიწისმოქმედისა
ქალწულო ინანა, კეთილ არს ქება შენი!

გაშანმენ შაგაბათა უზალამუდე
გაშანანამენ შაგაბათა უზალამუდე

წინა ღამით, ოდეს მე, გაშანი, ვბრწყინავდი,
წინა ღამით, ოდეს ცის გაშანი ვბრწყინავდი,
ოდეს ვბრწყინავდი და ვროკავდი,
ოდეს შივიმღეროდი, ხოლო ღამეს ნათელი ძლივდა,
შემომხვდა მე იგი, შემომხვდა მე იგი,
მეუფე ქულიანა შემომხვდა მე,
მეუფემ თვისი ხელი ჩემს ხელს ჩასჭიდა,
უშუმგალანა გადამეხვია.

„გამიშვი აწ, მეუფეო ჩემო, შინ წავიდე!
ქულიენლილ, გამიშვი, შინ წავიდე!
რა ვუთხრა დედაჩემს, როგორ ვეცრუო?
რა ვუთხრა დედაჩემს ნინგალს, როგორ ვეცრუო?“

„მე გასწავლი, მე გასწავლი!
ინანა, მშვენიერო ასულთა შორის, მე გასწავლი!
არქვი: ჩემს ღობილს უბან-უბან დავუავდი,
მემუსიკე როკვით შემოგვეყარა,
თავის სიმღერას ტკბილს და ამოს გვიმღეროდა,
ტკბილ განსაცხრომელში უამი გავატარეთ.
ამგვარად ეცრუე დედაშენს, რა შეხვდები.
რა მთვარის შუქზე სიყვარულის სავსებას ავიღებთ,
წმიდა სარეცელს აღერდით მოგიფენ,
ტკბილი დღე მხიარულ აღსასრულს მოგიტანს“.

შე დედაჩემის კარიბჭისკენ მივდივარ,
შხიარულად მივემართები.
შე ნინგალის კარიბჭისკენ მივდივარ,
შხიარულად მივემართები.
დედაჩემს დუმუზი სიტყვას ეტყვის,
კვიპაროსის ზეთს ზღურბლზე მოასხურებს.
დედაჩემს ნინგალს დუმუზი სიტყვას ეტყვის,
კვიპაროსის ზეთს ზღურბლზე მოასხურებს.
ვისი სადგომი სურნელით ფშვენენ,
ვის სიტყვებსაც შვება მოაქვთ,
მეუფევ ჩემო, წმიდა და უბიწო ნაკეთიანო,
დაგალ-უშუმგალანა, ზუენას სიძევ,
მეუფევ ჩემო, მშვენიერია ტანი შენი,
ტკბილია ნაყოფი შენი, ნედლი ბალახი.
დაგალ-უშუმგალანა, მშვენიერია ტანი შენი,
ტკბილია ნაყოფი შენი, ნედლი ბალახი“.

ანგალთა ქიგალშე გეშთუგანი ნანგუბ
დინგიჩ ანგალთა ქიგალშე გეშთუგანი ნანგუბ

დიდი ზესენელიდან დიდ ქვესენელად მიმართა ზრახვა,
ქალღმერთმა დიდი ზესენელიდან დიდ ქვესენელად მიმართა ზრახვა,
ინანამ დიდი ზესენელიდან დიდ ქვესენელად მიმართა ზრახვა.
ქალბატონმა ჩემმა ზეცა დაუტევა, მიწა დაუტევა, ქვესენელად
შთახდა,

ინანამ ზეცა დაუტევა, მიწა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
მამულობა დაუტევა, დედოფლობა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ურუქში ეანა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ბათლიბირაში ემუშქალამა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ზაბალამში გიგუნა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ურში ედილმუნა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
აღაბში ეშარა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ნიპურში ბართუშგარა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
ქიშში ხურსან-ქალამა დაუტევა, ქვესენელად შთახდა,
აქადში ეულმაში დაუტევა, ქვესენელად შთახდა.
შვიდი ღვთაებრივი ნიჭით შეიკაჴმა,
შეკრა ღვთაებრივი ნიჭი. ხელთ იპყრა,
შუგურა — ვილის გვირგვინი თავს დაიდგა,
ბრწყინვალე ბაკით სახე მოივანა,
ლილაქვის არგანი ხელთ იპყრა,
ლილაქვის თვლები ქედზე აისხა,
ტყუბი თვალი პატროსანი მკერდზე მიიმაგრა,
ოქროს გრკალი მკლავზე მოირტყა,

სამკერდული „ლუ განუ, განუ“¹ მკერდზე მიიკვება,
სადიდოფლო სამოსი შეიმოსა,
ნელსაცხებელი „ხემდუ, ხემდუ“² სახეზე იცხობ, —
ინანა ქვესკნელისკენ გაემართა.

მაცნე მისი ნინ-შუბური მის გვერდით გაემართა.

წმიდა ინანა ნინ-შუბურს ეტყვის:

„ბოი, მარად ერთგულო ჩემო!
მაცნეო ჩემო სახურველ ამბავთა
მოყმევ ჩემო წრფელ სიტყვათა
დღეიდან ქვესკნელად ჩავდივარ,
ოდეს მე ქვესკნელად ჩავალ,
ჩემს გამო გლოვას მოიღებდე,
საკრებულო სადგომში საკრავს დამიკრავდე,
ღმერთების საყდრებს ჩემთვის მოივლიდე,
დაითხრიდე თვალთა შენთა,
დაიხოკდე პირსა შენსა,

ვითარცა უპოვარი ერთადერთ სამოსს შეიმოსდე.

ეჭურად, მულილის ტაძრად, მარტოდმარტო წარემართე!

ეჭურად შე-რა-ხვალ, მულილის ტაძრად,

მულილის წინაშე ცრემლი დაღვარე:

„მამფალო მულილ, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,
ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიმარხოს,
ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხრას,
ბზისხე შენი ღურგლის დაზგაზე არ დაიჩეხოს,
ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას!“

უკეთუ მულილი არ შეგეწიოს, ურისკენ გაემართე.

ურში, ტაძრად ქვეყნის სიკეთეთა,

ეჭიშშირგალად შე-რა-ხვალ,

ნანარის წინაშე ცრემლი დაღვარე:

„მამფალო ნანარ, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,
ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიმარხოს,
ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
ბზისხე შენი ღურგლის დაზგაზე არ დაიჩეხოს,
ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას!“

უკეთუ ნანარ არ შეგეწიოს, ერიდუს გაემართე.

ერიდუში ამანქის ტაძრად შე-რა-ხვალ.

ამანქის წინაშე ცრემლი დაღვარე:

„მამფალო ამანქი, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,
ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიმარხოს,
ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,

1 შუმ. „კაცო, მოვედ, მოვედი!“

2 შუმ. „მოვა, მოვა!“

ბზისზე შენი ღურგლის დაზგაზე არ დაიჩეხოს,
ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას“.
მაშუალი აშანქი, სიბრძნის უფალი, —
რომელმან საზრდო ცხოველი უწყის,
რომელმან წუალი ცხოველი უწყის, —
ქეშპარიტად განმაცოცხლებს მე“.

ინანა ქვესკნელისკენ წამავალი
მაცნეს თვისას, ნინ-შუბურს, კვლავ ეტყვის:
„წარვედ. გაშან-შუბურა
სიტუვა, რაც ვითხარ, არ დააგდო“.
ინანა ლილაქვის სასახლეს ქვესკნელისას მიადგა,
ქვესკნელის კართან ავად მოიქცა,
ქვესკნელის კართან ავად იყვირა:
„გახსენ კარი, გუშაგო, გახსენ კარი,
გახსენ კარი, ნეთი. მარტო შემოვდივარ!“
ნეთი, დიდი გუშაგი ქვესკნელისა,
წმიდა ინანას ამგვარად მიუგებს:
„ვინა ხარ შენ?“
„გაშანა ვარ, მზის აღმოსაუღელი“.
„უკეთუ ინანა ხარ, მზის აღმოსაუღელი,
რად მოსულხარ უკანმოუქცეველ ქვეყნად?
გზად. სად შავალი უკან ვერ ბრუნდება,
გულმა შენმა ვით გაგიწია?“
წმიდა ინანა ამგვარად მიუგებს:
„ჩემს უფროს დასთან, გაშანქიგალთან, —
რადგან მეუღლე მისი, უფალი გუგალანა, მოიკლა,
დაკრძალვის წესთა სახილველად მივდივარ“.
ნეთი, დიდი გუშაგი ქვესკნელისა,
წმიდა ინანას ამგვარად მიუგებს:
„დადექ, ინანა, დედოფალს ჩემსას მოვახსენებ,
დედოფალს ჩემსას, ერეშქიგალს, მოვახსენებ“.
ნეთი, დიდი გუშაგი ქვესკნელისა,
თავის დედოფალს სასახლეში ეახლა,
თავის დედოფალს, ერეშქიგალს, მოახსენებს:
„დედოფალო ჩემო, ქალწული ერთი კარს უკან იცდის,
ქალღმერთის სამოსელი მოსავს,
შვიდი ღვთაებრივი ნიჭით შეჭურვილა,
შეუკრავს ღვთაებრივი ნიჭნი, ხელთ უპურია,
შუგურა — ველის გვირგვინი თავს დაუღვამს,
ბრწყინვალე ბაკით სახე მოუცავს,
ლილაქვის არგანი ხელთ უპურია,
ლილაქვის თვლები ქედზე აუსხამს,

ტყუბი თვალი პატიოსანი მკერდზე მიუმაგრებია,
 ოქროს გრკალი მკლავზე მოურტყამს,
 სამკერდული „ლუ განუ, განუ“ მკერდზე მიურქვამს,
 სადღეოფლო სამოსი შეუმოსავს,
 ნელსაცხებელი „ხემდუ, ხემდუ“ სახეზე სცხია“.
 მაშინ ერეშქიგალმა მკლავზე იკბინა,
 ნეთის, დიდ გუშაგს თვისას, ამგვარად ეტყვის:
 „წარვედ, ნეთი, დიდო გუშაგო ქვესკნელისა,
 სიტყვა, რაც გითხარ, არ დააგლო:
 განახვენ შვილნი კარიბჭენი ქვესკნელისა,
 ხოლო რა ინანა შემოვიდეს,
 თავი დახარე წინაშე მისა“.
 ნეთიმ, ქვესკნელის დიდმა გუშაგმა,
 თვისი დედოფლის სიტყვა შეიგონა,
 განახენა შვილნი კარიბჭენი ქვესკნელისა,
 წმიდა ინანას ამგვარად ეტყვის:
 „მოვედ, ინანა, შემოდი!“
 ხოლო ინანა რა შემოვიდა,
 მოხადეს შუგურა — გვირგვინი ველისა.
 „რისთვის?“
 „დუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
 ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
 მეორე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
 ლილაქვის არგანი ჩამოართვეს.
 „რისთვის?“
 „დუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
 ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
 მესამე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
 ლილაქვის თვლები ქედლიდან აართვეს.
 „რისთვის?“
 „დუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
 ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
 მეოთხე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
 ტყუბი თვალი პატიოსანი მკერდიდან აართვეს.
 „რისთვის?“
 „დუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
 ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
 მესხთე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
 ოქროს გრკალი მკლავიდან აართვეს.
 „რისთვის?“
 „დუმდე, ინანა, სრულდება წესი ქვესკნელისა,
 ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
 მენქვესე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,

სამკერდული მკერდიდან შემოაძარცვს.

„რისთვის?“

„დუმდე, ინანა, სრულდება, წესი ქვესკნელისა
ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.
მეშვიდე კარიბჭეში შე-რა-ვიდა,
დედოფლის სამოსელი შემოაძარცვს.

„რისთვის?“

„დუმდე, ინანა სრულდება, წესი ქვესკნელისა
ინანა, ქვესკნელის წესთა ნუ გამოიკითხავს პირი შენი“.

ბრწყინვალე ერეშქივალე ხაკარცხულზე იჭდა,
ანუნაქნი, შვიდნი მსაჭულნი, მის წინაშე სამართალს სჭიდნენ.
მან თვალი ჰკიდა, თვალი სიკვდილისა,
სიტყვა უთხრა, სიტყვა რისხვისა,
ბმა აღიმალა, ხმა ბრალდებისა.
სნეული დააცი ცხედრად გარდიცვალა,
ცხედარი სამსხვეალზე ჩამოჰკიდეს.

შედეგობად სამი დღელამისა

მაცნე მისი ნინ-შუბური,

მაცნე მისი სასურველ ამბავთა,

მოყმე მისი წრფელ სიტყვათა,

მის გამო გლოვას მოიღებს,

ხაკრებულო ხადგომში ხაკრავს დაუკრავს,

ღმერთების საყდრებს შემოივლის,

დაითხრის თვალთა თვისთა,

დაიხოკს პირსა თვისსა,

ვითარცა უბოვარი ერთადერთ სამოსელს შეიმოსავს,

ეჭურად, ენლილის ტაძრად, მარტოდმარტო წარემართება.

ეჭურად, ენლილის ტაძრად შერავიდა,

ენლილის წინაშე ცრემლი დაღვარა:

„მამფალო მულილ, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,

ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიმარხოს,

ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,

ბზისზე შენი ღურგლის დაზგაზე არ დაიჩხოს,

ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას“.

მამფალი ენლილი ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:

„ასულმა ჩემმა დიდი ზესკნელი მოითხოვა, დიდი ქვესკნელი მოითხოვა,

ინანამ დიდი ზესკნელი მოითხოვა, დიდი ქვესკნელი მოითხოვა,

შვიდი ღვთაებრივი ნიჭი თან წაიღო“.

მამფალი ენლილი არ შეეწია,

ნინ-შუბური ურისკენ გაემართა.

ურში, ტაძრად ქვეყნის სიკეთეთა,

ექიშშირგალად შერავიდა,
 ნანარის წინაშე ცრემლი დაღვარა:
 „მამფალო ნანარ, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,
 ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიშარხოს,
 ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
 ბზისხე შენი ღურგლის დაწვაზე არ დაიჩეხოს,
 ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას“.
 მამფალი ნანარ ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:
 „ასულმა ჩემმა დიდი ზესკნელი მოითხოვა,
 დიდი ქვესკნელი მოითხოვა,
 ინანამ დიდი ზესკნელი მოითხოვა, დიდი ქვესკნელი მოითხოვა,
 შეიდი ღვთაებრივი ნიქი თან წაიღო“.
 მამფალი ნანარ არ შეიწია,
 ნინ-შუბური ერიდუს გაემართა.
 ერიდუში, ენქის ტაძრად შერავიდა,
 ბრწყინვალე ენქის წინაშე ცრემლი დაღვარა:
 „მამფალო ამანქი, წული შენი ქვესკნელში არავინ მოკლას,
 ბრწყინვალე განძი შენი ქვესკნელის მტვერში არ დაიშარხოს,
 ძვირფასი ლილაქვა შენი ქვისმთლელის გრდემლზე არ დაიმსხვრას,
 ბზისხე შენი ღურგლის დაწვაზე არ დაიჩეხოს,
 ქალწული გაშანა ქვესკნელში არავინ მოკლას“.
 მამფალი ენქი ნინ-შუბურს ამგვარად მიუგებს:
 „რა ეშველება ჩემს ასულს! წუხს გული ჩემი!
 რა ეშველება ინანას! წუხს გული ჩემი!
 რა ეშველება ქვეყანათა დედოფალს, წუხს გული ჩემი“
 რა ეშველება ქვესკნელის მხევალს! წუხს გული ჩემი!“
 მოიღო მტვერი: შეჰქმნა ქურგარა,
 მოიღო მტვერი: შეჰქმნა გალათურა.
 ქურგარას მისცა საზრდო ცხოველი,
 გალათურას მისცა წყალი ცხოველი.
 მამფალი ენქი გალათურას და ქურგარას ამგვარად ეტყვის:
 „წადით, ქვესკნელისკენ იბრუნეთ პირი,
 ქვესკნელად თქვენი მისვლისას
 მოგართმევენ მდინარეს — წყლის საბოძვარს, არ მიიღოთ!
 მოგართმევენ უანობირს — ხორბლის საბოძვარს, არ მიიღოთ!
 მოგვეც ცხედარი სამსჭვალზე გარდამოკიდული — უთხარით.
 ერთმა მიაყაროს საზრდო ცხოველი,
 მეორემ მიახსუროს წყალი ცხოველი, —
 ჭეშმარიტად აღდგება ინანა“.

მთართვეს მდინარე — წყლის საბოძვარი, არ მიიღეს.
 მთართვეს უანობირი — ხორბლის საბოძვარი, არ მიიღეს.
 „მოგვეცით ცხედარი სამსჭვალზე გარდამოკიდული“ — უთხრეს.

ბრწყინვალე ერეშქიგალი ამგვარად მიუგებს:

„ცხედარი ესე თქვენი დედოფლის ცხედარია“.

„ცხედარი ესე იყოს ცხედარი ჩვენი დედოფლისა, მოგვეცი!“

მოსცეს ცხედარი სამსკვალზე გარდამოკიდული.

ერთმა მიაყარა საზრდო ცხოველი,

მეორემ მიაყარა წყალი ცხოველი, —

და ქეშმარიტად აღდგა ინანა.

დ უ მ უ ზ ი ს ს ი ზ მ ა რ ი

მან მიიძინა სამხრეთის ქარში,

მწყემსმა დუმუზიმ მიიძინა სამხრეთის ქარში,

მწყემსმა დუმუზიმ მიიძინა სამხრეთის ქარში.

სიზმარის სახილველად მიიძინა.

ადგა დუმუზი: სიზმარი ეოცა,

თვალნი მოიფშენიტა, გაშტერებულნი:

„აქ მომიყვანეთ დაჲ ჩემი, აქ მომიყვანეთ!

მომიყვანეთ ჩემი გეშინანა, მომიყვანეთ დაჲ ჩემი

მომიყვანეთ დაფათა მეცნავი, მომიყვანეთ დაჲ ჩემი!

მომიყვანეთ მესიმღერე. სიმღერათა მღერალი, მომიყვანეთ დაჲ ჩემი

მომიყვანეთ ბრძენი ჩემი, სიზმართა მხილავი, მომიყვანეთ დაჲ ჩემი

მომიყვანეთ მესიმღერე, სიმღერათა მღერალი, მომიყვანეთ დაჲ ჩემი

სიზმარი ჩემი მსურს ვაუწყო!

ჩემს სიზმარში, დაო ჩემო, რომელმა სიზმარები უწყო,

ლერწმოვანი ჩემს წინაშე აღმართულიყო,

ლერწმოვანი ჩემს წინაშე ამოზრდილიყო.

მარტოხელა ლერწამი ერთი თავს მიქნევდა,

ორთაგან ლერწამი ერთი სადღაც წაეღოთ,

ტყეში ხე მაღალი აღმოფხვრილიყო,

ჩემს წმიდა კერაზე წყალი დაღვრილიყო,

წმიდა ლაგვინი დგამიდან ქვედამხობილიყო,

წმიდა ლაგვინიდან რძე აღარ დიოდა.

წმიდა სასმისი სარზე დაკიდული

სარიდან გადმოვარდნილიყო,

დუმუზის დაცლა მისი ვერ მოესწრო.

კომბალი ჩემი სადღაც გამქრალიყო.

ჩემი თხები და თიკნები მტვერში ეყარნენ პირდალურჯებულნი,

ჩემი ვერძი ჩლიქებით მიწას მითხრიდა“.

გეშინანა დუმუზის ამგვარად მიუგებს:

„ძმაო ჩემო, ავია სიზმარი შენი, არ ეშველებია!

დუმუზი, ავია სიზმარი შენი, არ ეშველებია!

ლერწმოვანი შენს წინაშე რომ აღიმართა,

ლერწმევანი შენს წინაშე რომ ამოიწარდა, —
მეკობარნი შენს წინააღმდეგ აღდგებიან.
მარტოხელა ლერწამმა თავი დაგიქნია, —
დედა, მშობელი შენი, თავს დაგიქნევს.
რთავან ლერწამი ერთი სადღაც წაეღოთ, —
მე და შენ შორის ერთ-ერთს წაიყვანენ.
ტყეში მალალი ხე რომ აღმოიფხვრა, —
მავნე ვინმე შენს მიწას მოგწყვეტს.
წმიდა კერაზე წყალი დაღვრილიყო. —
მავნენი კერას დაგიშრეტენ.
წმიდა ლაგვინი დგამიდან ქვედამხობილიყო,
წმიდა ლაგვინიდან რძე აღარ დიოდა, —
მავნე ვინმე სიუბვეს დაგიშრეტს.
წმიდა სასმისი სარზე დაკიდული
სარიდან რომ გადმოვარდნილიყო, —
მშობელი დედის მუხლებიდან გადმოვარდები.
კომბალი შენი სადღაც გამქრალიყო, —
შემწის გარეშე მიტოვებულ იქნები.
თხები და თიკნები შენი მტვერში რომ ეყარნენ
პირდალურჭებულნი, —
მეკობარნი ჯოგს ამოგიწყვეტენ.
შენი ვერძი ჩლიქებით მიწას რომ ვითხრიდა, —
სამარეს შენსას მალე გათხრიან“.

ინანა ქვესკნელიდან ამომავალი

ანუნაქებმა დააკავეს:

„ვინ ამოსულა ქვესკნელიდან,

ქვესკნელიდან მრთელი ვინ ამოსულა?

უკეთუ ინანა ქვესკნელიდან ამოვა,

ნაცვალი ვინმე თვისდა ნაცვლად მოგვცეს!“

ინანა ქვესკნელიდან ამოდის.

მავნენი, დიდნი და მცირენი, ლერწმებივით მიჰყვებიან.

მის წინ მავალი არ არის მაცნე მისი,

თუმცა არგანი ხელში უჭირავს.

მის გვერდით მავალი არ არის მოუშე მისი,

თუმცა მახვილი წელზე შემოურტყამს.

რომელნი ახლავან მას,

რომელნი ახლავან ინანას,

საზრდელი არ უწყიან,

წყალი არ უწყიან.

არ ჰამენ ნასხურებ ფქვილს,

არ სვამენ დაღვრილ წყალს.

კაცის უბიდან ცოლს იტაცებენ,

ძიძის მკერდიდან ბავშვს იტაცებენ.

ინანა ქვესკნელიდან ამოდის.

ინანა ქვესკნელიდან რა ამოვიდა,

მაცნე მისი ნინ-შუბური მის ფერხთით დაემხო,

მტვერში დაქდა, ფლასით შემოსილი.

ასე ეტყვიან მავნენი წმიდა ინანას:

„ინანა, წადი შენს ქალაქში,

ამას ჩვენ წავიყვანთ!“

წმიდა ინანა მავნეთ ამგვარად მიუგებს:

„ჩემი მაცნე იგი კეთილ ამბავთა,

ჩემი მოყმეა იგი წრფელ სიტყვათა,

რჩევა ჩემი არ უგულვებელყო,

სიტყვა, ნათქვამი ჩემი, არ დაუგდია,

გლოვა მოიღო ჩემს გამო,

საყრებულო სადგომში საყრავი დამიკრა,

ღმერთების საუღარნი მიმოიარა,

დაითხარა თვალნი თვისნი,

დაიხოკა პირი თვისი,

ვითარცა უპოვარმა ერთადერთი სამოსელი შეიმოსა,

ექურად, მულილის ტაძრად, გაემართა,

ურში ნანარის ტაძრად გაემართა,

ერიდუში ამანქის ტაძრად გაემართა,

მან მოშიტანა მე სიცოცხლე“.

„წამოგყვებით უმაში, სიგ-ქურშავამდე წამოგყვებით!“

უმაში, სიგ-ქურშავადან

შარა მის ფერხთა წინაშე დაემხო.

მტვერში დაქდა, ფლასით შემოსილი.

ასე ეტყვიან მავნენი წმიდა ინანას:

„ინანა, წადი შენს ქალაქში,

ამას ჩვენ წავიყვანთ!“

წმიდა ინანა მავნეთ ამგვარად მიუგებს:

„შარა მგალობელია ჩემი,

შარა არ წაიყვანოთ!“

„წამოგყვებით ბათღიბირაში, ემუშქალამამდე წამოგყვებით!“

ბათღიბირაში ემუშქალამადან

ლათარაქი მის ფერხთა წინაშე დაემხო.

მტვერში დაქდა, ფლასით შემოსილი.

ასე ეტყვიან მავნენი ინანას:

„ინანა, წადი შენს ქალაქში,

ამას ჩვენ წავიყვანთ!“

წმიდა ინანა მავნეთ ამგვარად მიუგებს:

„ლათარაქი მხარში მიდგას მარჯვნივ და მარცხნივ.

ლათარაქს ნუ წაიყვანთ!“

ქულაბას ჭალისაკენ წამოგუვებითი“
ქულაბას ჭალისაკენ წაბყვენენ.
დუმუზის შეემოსა დიდებული სამოსი,
დიდებულ ტახტზე დამქდარიყო.
მავნებმა ბრჭყალები ჩააღლეს,
შვიდივე ეძგერა, ვითარცა ძალი სნეულებიხა.
მწყემსებმა სტვირი აღარ დაუკრეს.
ინანამ თვალი ჰკიდა, თვალი სიკვდილისა,
სიტყვა უთხრა, სიტყვა რისხვისა,
ხმა აღიმალლა, ხმა მსჯავრისა:
„აბა ესერა, ეს წაიყვანეთ!“
წმიდა ინანამ მწყემსი დუმუზი ხელთ ჩაუგდო.

რომელნი ახლავან მას,
რომელნი ახლავენ დუმუზის,
საზრდელი არ უწყიან,
წყალი არ უწყიან,
არ ჰკამენ ნახხურებ ფქვილს,
არ სვამენ დაღვრილ წყალს,
მეუღლის უბე არ აამებთ,
საყვარელ ბავშვებს არ კოცნიან,
ძეს კაცის მუხლიდან იტაცებენ,
პატარძალი მამამთილის სახლიდან მიჰყავთ.
ტირის დუმუზი, სახე გაუფითრდა,
უთუს შიმართ ცად ხელნი აღაპურო:
„უთუ, ცოლისდა ხარ, მე შენი სიძე!
მე, ვისაც ერბო მომაქვს დედაშენის სახლში,
მე, ვისაც რძე მომაქვს ნინგალის სახლში!
გარდააქციე ხელნი ჩემნი გველის ხელეზად,
გარდააქციე ფერხნი ჩემნი გველის ფეხეზად.
მავნეთ გავექციე, არ შემოიპყრან!“

.

გიერა შამუ ედენა ნამუნმალ
ნუგიგანა გაშან-ეანამენ

- სტვირი გლოვისა — გული ჩემი ედენს შესტირის.
ზეცის მხევალი ვარ, ეანას დედუფალი!
- ქვეყანათა დამქცევი ვარ, ეანას დედუფალი!
დედა შეუფეთა, ნინსუნა ვარი
დედა ზეციურ მოყმეთა, გეშთინანა ვარი!
- სტვირი გლოვისა — გული ჩემი ედენს შესტირის.
ადგილსა მოყმისასა შესტირის,
ადგილსა დუმუზისას შესტირის,
არალუს, მწყემსის სამყოფელს შესტირის,
სტვირი გლოვისა — გული ჩემი ედენს შესტირის.
ადგილს, სად მოყმე დაბმულა,
ადგილს, სად დუმუზი შებორკილა,
სტვირი გლოვისა — გული ჩემი ედენს შესტირის.
ადგილს, სად თხები თიკნებს მიშობდნენ,
ადგილს ღმერთისას, განშორებულისას,
ადგილს, სად დედამ სახელი უწოდა, —
სტვირი გლოვისა — გული ჩემი ედენს შესტირის.

ენე ქურ ლუთილაშე გეშთუგანი ნანგუბ
ენე გილგამეშე ქურ ლუთილაშე გეშთუგანი ნანგუბ

მეუფემ ცოცხალი კაცის ქვეყნისაკენ მიმართა ზრახვა,
მეუფემ, გილგამეშმა, ცოცხალი კაცის ქვეყნისაკენ მიმართა ზრახვა.
მონას თვისას, ენქიდუს, ამგვარად ეტყვის:
„იმქვეყნად შევალ, სახელს ჩემსას დავამკვიდრებ;
სადაც სახელი დამკვიდრებულა,
იქ ჩემს სახელსაც დავამკვიდრებ.
სადაც სახელი არ დამკვიდრებულა,
სახელს ღმერთებისას დავამკვიდრებ“.
მონა მისი, ენქიმდუ, ამგვარად მიუგებს:
„მეუფეო, უკეთუ იმქვეყნად შესვლა განგიზრახავს,
უთუმ, მზის ღმერთმა, უწყოდეს,
უთუმ, გმირმა უთუმ, უწყოდეს უოველი.
უთუ პატრონია იმაქვეყნისა,
უთუ პატრონია კედარის ქვეყნისა,
უთუმ, მზის ღმერთმა, უწყოდეს!“

გილგამეშმა თეთრ თიკანს ხელი შეავლო,
შავი თიკანი, სამსხვერპლო თიკანი, მკერდზე მიიხუტა.
თვისი კვერთხი ვერცხლისა ხელთ იპყრა,
ზეციურ უთუს ამგვარად ეტყვის:
„იმქვეყნად მივდივართ, მწე მყავს
კედარის ქვეყნად მივდივარ, მწე მყავს“
ზეციერი უთუ ამგვარად მიუგებს:

„ძლიერი ურმა ხარ, შენ, გილგამეში
გარნა რაი შენ და რაი ქვეყანა იგი?“
ხოლო გილგამეში ამგვარად ეტყვის:
„უთუ, სიტყვას გიტყვი, სიტყვა ჩემი უურადიდე,
ამბავს გიტყვი, ამბავი იგი გულისხმაჰყავს
ჩემს ქალაქში კაცი კვდება, გული მიეკუმშება,
კაცი იწყშიდება, გული ავად მიძგერს.
ჩემი ქალაქის გალავანზე აველ, გაღვიბიდე,
ვიხილე, მდინარეს გვამები მიჰქონდა.
შეც ასე მომივა, ქეშმარიტად ასე იქნება!
კაცი უმალღესი ცას ვერ შეხწვდება,
კაცი უმალღესი ხმელეთს ვერ დაფარავს!
იმქვეყნად შევალ, სახელს დავიმკვიდრებ,
ხადაც სახელი დამკვიდრებულა,
იქ ჩემს სახელსაც დავამკვიდრებ,
ხადაც სახელი არ დამკვიდრებულა,
სახელს ღმერთებისას დავამკვიდრებ.“
უთუშ ცრემლი მისი მსხვერპლად შეიწირა,
ვითარცა მოწყალე კაცმა შეიწყალა.
შვიდი გმირი, ძე ერთი დედისა,
ერთი, — ძმა მათი უფროსი,
მეორე, — ვეშაი ხახადაფჩინილი,
მესამე, — ურჩხული ეშვებლარქენილი,
მეოთხე, — ცეცხლი ყოვლის შემქმელი,
მეხუთე, — წარღვნა ხმელის წარმხოცველი,
მეექვსე, — გველი მომნუსხველი,
მეშვიდე, — მოგრიალე ავი ქარიშხალი,
შვიდნი ესე ანის მაცნენი,
დღის ნათლის წყვდიადალ გარდამქცევლნი,
მთათა მღვიმეებში შეგზავნა.

კედარის მკოდელი მხიარულად იყოფის,
ბატონი გილგამეში მხიარულად იყოფის.
თავის ქალაქს, ვითარცა ერთ კაცს მოუწოდებს:
„სახლის პატრონი თვისი სახლისაკენი
დედის პატრონი თვისი დედისაკენი
კაცი მარტოსული ჩემს მსგავსად მოქმედი,
კაცი ერგასი მხარში ამოშიდგეს!“
სახლის პატრონი თვისი სახლისაკენ წავიდა,
დედის პატრონი თვისი დედისაკენ წავიდა.
კაცი მარტოსული მის მსგავსად მოქმედი
კაცი ერგასი მხარში ამოუდგა.
მაშინ სამქედლოსკენ წარმართა ფერხნი თვისნი.

ცული — ძალი მისი გმირობისა — ჩამოუსხეს.

ელანას ტევრისკენ წარმართა ფერხნი თვისნი,

ტირიფი, ვაშლის ხე და ბზა მოქრა,

ღეთ თვისი ქალაქისა, რომელნი თანახლდნენ, ხელთ მისცა.

(მგზავრებმა გადალახეს შეიდი მთა. მოულოდნელად გილგამეშო
ღრმა ძილმა შეიპყრო)

ხელით ეხება, — იგი ვერ დგება,

უხმობს მას, — არ პასუხობს.

„რომელი წევხარ, რომელი წევხარ,

მიუფე გილგამეშ, ქულაბას ძეო,

ვიდრემდის წევხარ?

ქვეყანა ბნელდება, ჩრდილნი დაეფინენ,

სიბნელეს მიაქვს ქვეყნის ნათელი,

მზე დედის წიაღად თავალმართული შივალს.

ჰოი, გილგამეშ, ვიდრემდის წევხარ?

ძენი შენი ქალაქისა, რომელნი თან გახლავან,

მთის ძირას მორჩილად გელიან.

შენს მშობელ დედას ქალაქის მოედანთან ნუ მიიყვანენ!“

მან ყური მიუგდო, შეისმინა,

სიტყვა თვისი გმირობისა

ვითარცა სამოსელი შეიმოსა,

სამოსელი ოცდაათი სიკილა წონისა,

რაიც ხელთ ეპყრა, მკერდზე მიიფარა,

ვითარცა ხარი დიდ მიწას დაადგრა.

მიწას ემთხვია, ფიცი ესე დაიფიცა:

„მშობელ დედას ჩემსას, ნინსუნას, ვფიცავ,

მამას ჩემსას, ბრწყინვალე ლუგალბანდას, ვფიცავ,

ნინსუნას მუხლებთან, ჩემი მშობელი დედისა,

საკვირველად მჭდომი შევიქნებო!“

მეორეგზის წარმოთქვა ფიცი ესე:

„მშობელ დედას ჩემსას. ნინსუნას. ვფიცავ,

მამას ჩემსას, ბრწყინვალე ლუგალბანდას, ვფიცავ.

ვიდრე არ შევიცნობ კაცსა მას, უკეთუ კაცია,

ვიდრე არ შევიცნობ მას, უკეთუ ღმერთია,

ფერხთა ჩემთა იმქვეყნად წარვმართავ,

ქალაქისაკენ არ წარვმართავ“.

ერთგული მონა მისი, ევედრება, აფიცებს,

ბატონს თვისას სიტყვას ეტყვის:

„მეუფეო, კაცი იგი არ გიხილავს, — არ გეშინის“.

მე კაცი იგი მიხილავს, — მეშინის.

კბილები იმ გმირისა: ურჩხულის კბილები,

სახე მისი: სახე ლომისა,

ძალა მკერდისა მისი: მოვარდნილი წარღვნა,

შუბლს მისი: ხეთა მკამელი, არგამშვები,
მეუფეთ. შენ წადი იმკვეყნად,
ხოლო მე ქალაქად გავბრუნდები.
დედამწიფს ვაუწყო გვირობა შენი, დიდება გითხრას,
ვაუწყო სიკვდილი შენი, ცხარედ იტიროს!“
ახე მიუგებს მონას თვისას გილგამეში:
„ჩემს წილ სხვა კაცი არ მოკვდება,
დატვირთული ნავი არ ჩაიძირება,
სამმაგი საბელი არ გაწყდება,
სახლსა და ბულას ცეცხლი არ შექამს.
შენ მე დამიფარე, მე შენ დამიფარავ, რა შეგვემთხვევა?“
„წამო, წინ წავიდეთ, თვალი ვკიდოთ,
ოდეს წინ წავალთ, იქნება შიში,
იქნება შიში, უკუიქეც!
იქნება ძრწოლა, იქნება ძრწოლა, უკუიქეც!“

ხუვათა კედარის სამყოფლიდან იხედება,
ისერის მწერას, მწერას სიკვდილისას.
თავს უქნევს, ემუქრება.
სიტყვას ეტყვის, სიტყვას მუქარისას.

„მშობელ დედას ჩემსას ნინსუნას ვფიცავ,
მამას ჩემსას ბრწუინვალე ლუგალბანდას ვფიცავ,
ამკვეყნად შენს ბინას მივაგნებ,
ჩემს მცირე სახელს ძღვნად შემოგიტან,
შენს სამფლობელოში შემოვალ!“
მაშინ ხუვათამ პირველი საშიში ელვა მიაშუქა მათ,
ხოლო ძენი მისი ქალაქისა, რომელნი თანახლდნენ გილგამეშს,
რტოებს კაფავენ, ჰკრავენ და მთის ძირას ჰყრიან.
რა გაუსრულდა მეშვიდე საშიში ელვა ხუვათას,
თავის სადგომისკენ უკუიქცა,
უსურვაწივით დაეკლაკნა სხეული,
ხუვათამ კბილები დაადრჭიალა,
ვითარცა შეპყრობილ ხარს საბელი მოაბებს,
ვითარცა შეპყრობილ მოყმეს ხელები შეუტარეს.
აცრემლდა ხუვათა, სახე გაუყვითლდა.
„გილგამეშ, მისმინე, სიტყვას გეტყვი,
დედა, მშობელი ჩემი, არ ვუწყვი,
მამა, შემოქმედი ჩემი, არ ვუწყვი;
მთას ვუშობივარ, შენ შემქმენი“.

გილგამეშმა ზეცა დაიფიცა, ხმელი დაიფიცა, ქვესკნელი დაიფიცა,
ხელი ჩასკიდა, დაამშვიდა.
მაშინ გული გილგამეშისა, ნინსუნას ძისა, მოწყალე იქმნა,
მონას თვისას ენქიდუს ამგვარად ეტყვის:

„ენქილუ, განუტევეთ ეს გმირი.
ენქილუ, შეპყრობილი ჩიტი თვისი ბუღისაკენ გაფრინდეს,
შეპყრობილი მოყმე დედის წიაღს დაუბრუნდეს!“
ენქილუ გილგამეშს ამგვარად მიუგებს:
„უკეთუ შეპყრობილი ჩიტი თავის ბუღისაკენ გაფრინდა,
უკეთუ შეპყრობილი მოყმე დედის წიაღს დაუბრუნდა,
წიაღად შენი მშობელი დედისა ველარ მიიქცევი.
ვის უზილავს აქამომდე შეპყრობილი მოყმის განტევება?
ანუ შეპყრობილი ქურუმის გიპარად მიქცევა?
ანუ შეპყრობილი მხევლის შვებით დაბრუნება?
უკეთუ განუტევე, მთის ბილიკნი ჩაგეცეცება,
მთებში სავალი გზა გაგიძნელდება“.
და მან სიტყვები იგი შეიგონა...
„ხოლო ხუვაკა ენქილუს ამგვარად ეტყვის:
„ძვინად ჩემდა, ენქილუ, ავი სიტყვა შეაგონე მას,
კაცო ქირისავ, ავი სიტყვა რად შეაგონე?“
რა ამგვარად ეტყოდა ხუვაკა,
ენქილუს გული რისხვამ შეიპყრო,
თავი მოჰკვეთა, სულარაში გაახვია,
ენლილის წინაშე მიიტანეს,
წინაშე ენლილისა რა მიწას ემთხვივნენ,
ხუვაკას თავი გადმოაგორეს,
ენლილის წინაშე დადგნენ.
ენლილმა რა შეიცნო ხუვაკას თავი.
საქმემ გილგამეშისამ შეაწუბა:
„რად ჰქმენ საქმე ევე?
დაე, მჭდარიყო წინაშე თქვენსა!
პური, საზრდელი თქენი ექამა!
წყალი, სასმელი თქენი, ესვა!“...

გილგამეში და აგა

ლუქინგი აგა დუშუ ენმებარაგესიქე
ქიშითა გილგამეშრა უნუშე მუნშისუგეშ:

აგას მაცნენი, ენმებარაგესის ძისა,
ქიშიდან ურუქში გილგამეშს ეახლნენ.
გილგამეში ქალაქის უხუცესთა წინაშე
სიტყვას ამბობს, სიტყვას გამოარჩევს:
„ჰათა დასრულებად, ქვეყნის ჰათა დასრულებად,
ქვეყნის ჰათა და ჰურჰელთა დასრულებად,
ჰათა გარმავებად, საბელთა დასრულებად,
ქიშის სახლის წინაშე ქედს ლუ მოვიდრეკთ,
საჰურველით წინ აღვუდგეთი!“
ქალაქის უხუცესთა კრებული
გრღამეშს ამგვარად მიუგებს:
„ჰათა დასრულებად, ქვეყნის ჰათა დასრულებად,
ქვეყნის ჰათა და ჰურჰელთა დასრულებად,
ჰათა გარმავებად, საბელთა დასრულებად,
ქიშის სახლის წინაშე ქედი მოვიდრიკოთ,
საჰურველით წინ ლუ აღვუდგებითი!“
გილგამეშმა, ჰულაბას ჰურუმმა,
ინანასათვის სიქველეთა მოქმედმა,
ქალაქის უხუცესთა სიტყვა არ გულისხმა ჰყო.
მეორეგზის გილგამეში, ჰულაბას ჰურუმი,
ქალაქის მოყმეთა წინაშე
სიტყვას ამბობს, სიტყვას გამოარჩევს:
„ჰათა დასრულებად, ქვეყნის ჰათა დასრულებად,

ქვეყნის ჰათა და ჰურჰელთა დასრულებად,
ჰათა გარმავეებად, საბელთა დასრულებად,
ჰიშის სახლის წინაშე ჰედს ნუ მოვიდრეკთ,
საჰურველით წინ აღვუდგეთ!“

ჰალაჰის მოყმეთა კრებული

გილგამეშს ამგვარად მიუგებს:

„მოი, რომელნი დგახართ, რომელნი სხედხართ!
უფლისწულთან ერთად შემოხარნო,

სახედრებზე ამხედრებულნო,

ვისაც ძალი ამისა შეგწევთ,

ჰიშის სახლის წინაშე ჰედს ნუ მოვიდრეკთ!

საჰურველით წინ აღუდექით!

ურუჰი, ჰმნილება დიდი ღმერთებისა,

ენა, ტაძარი ცით ჩამოხიდული,

რომლის ნაწილნი ღმერთებმა შეჰქმნეს, —

დიდი კედელი ღრუბელთ მიბჰენილი,

მალალი სადგომი ანისაგან დაფუძნებული,

შენ დაიცევ, ბელადო და გმირო!

დამჰყრობელი, თავადი ანისაგან შეყვარებული,

აგას გამოსვლას ვით შეუშინდეს?

მცირეა მხედრობა მისი,

უჰანა რიგები განიბნევიან.

მათ ეგე ვერ გულისხმა ჰყვეს!“

მაშინ გილგამეშს, ჰულაბას ჰურუშს,

მოყმეთა სიტყვებმა გული გაუხარეს,

გახალისდა ღვიძლი მისი.

ასე ეტყვის ენჰიდუს, მონას თვისახ:

„აწ ბრძოლის ძალამ თოხი შესცვალოს,

საჰურველი შენს გვერდს დაუბრუნდეს,

დაე, ჰქმნას დიდების ბრწყინვალემა!

დაე, აგა ჩემმა ელვარებამ მოიცვას,

დაე, შეძრწუნდეს გონება მისი,

აირიოს განსჯა მისი!“

არ გასულა დღე ხუთი,

არ გასულა დღე ათი, —

აგა ენმებარაგისის ძე ურუჰს შემოადგა.

შედრწუნდა ურუჰის გონება.

გილგამეში, ჰულაბას ჰურუში,

ამგვარად ეტყვის თავის შემორებს:

„სახე მოღუშვიათ ჩემს შემორებს...

განემზადენით, აგასკენ მივდივარ!“

ბირხურთური, რჩეული მონა ბატონისა,

ბატონს თვისახ ჰებას ეტყვის:

„აგასკენ შე მივდივარ!
 დაე. შეძრწუნდეს გონება მისი,
 დაე. აირიოს განსჯა მისი!“
 და რა გავიდა ბირხურთური კარიბჭიდან,
 კარიბჭის პირას შეიპყრეს იგი.
 ბირხურთურის სხეული ჰგვიმებს,
 აგასთან მიიყვანეს,
 აგა სიტყვას ეუბნება.
 სიტყვა თვისი ვერ დაასრულა,
 ზაბარდიბუნუგი გალავანზე აღის.
 გალავნიდან გადმოიხედავს.
 აგა თვალს მოჰკრავს,
 ბირხურთურს ეუბნება:
 „მონავ, კაცი იგი ბატონია შენი?“
 „კაცი იგი არ არის ბატონი ჩემი.
 უკეთუ ყოფილიყო კაცი იგი ბატონი ჩემი,
 სახე მისი მრისხანე იქნებოდა,
 თვალი მისი ელვარე იქნებოდა,
 წვერი მისი ლილაქვა იქნებოდა,
 ხელი მისი მოწყალე იქნებოდა!“
 ბირხურთურს ლაშქარი არ დაუმხია,
 ლაშქარი არ აღუდგენია,
 ლაშქარი მიწასთან არ გაუსწორებია,
 უცხო ქვეყანანი არ დაუქცევია,
 ხომალდის ქიმი არ მოუწყვეტია,
 აგა, ქიშის ბატონი, არ დაუტყვევებია.
 სცემენ მას, აწამებენ მას,
 ბირხურთურის სხეულს ჰგვიმენ.
 შემდგომად ზაბარდიბუნუგისა
 გილგამეში აღის გალავანზე.
 შიშმა შეიპყრო ქულაბის მოხუცი და ყრმა,
 ურუქის მოყმით საჭურველი თემოებზე მიიხუტეს,
 კარიბჭისაკენ შუკით გაემართნენ.
 ენქილუ კარიბჭიდან გამოდის,
 გილგამეში გალავნიდან იხედება.
 აგამ თვალი მოჰკრა:
 „მონავ, კაცი იგი ბატონია შენი?“
 „კაცი იგი ჩემი ბატონია.
 ნათქვამისაებრ არს ესე!“
 გილგამეშმა ლაშქარი დაამხო,
 გილგამეშმა ლაშქარი აღადგინა,
 ლაშქარი მიწასთან გაასწორა,
 უცხო ქვეყანანი დააქცია,

ხალხის პირი მტვერით ამოავსო,
ხომალდის ქიმი მოწყვიტა,
აგა, ქიშის ბატონი, დაატყვევა.
გილგამეში, ქულაბას ქურუმი,
აგას ამგვარად ეტყვის:
„აგა — ნაცვალი ჩემი,
აგა — მოურავი ჩემი,
აგა — წინამძღოლი ჩემი ლაშქრისა!
აგა გაფრენილ ჩიტს საკენკით კვებავს,
აგამ სუნთქვა მომცა,
აგამ სიცოცხლე მომცა,
აგა გაქცეულს წიალისკენ უკუაქცევს!“

ურუქი, კმნილება დიდი ღმერთებისა,
დიდი კედელი, ღრუბელთ მიბჭენილი,
შალალი სადგომი ანისაგან დაფუძნებული,
შენ დაიცევ, ბელადო და გმირო!
დამპყრობელმა, თაეაღმა ანისაგან შეყვარებულმა,
აგავ, ქიშისათვის განგიტევა,
უთუს წინაშე ძველი ხელმწიფება დაგიბრუნა.
გილგამეშ, ქულაბას ქურუმო,
კეთილიმც არს ქება შენის!

ლე ქასე ლუგალა ხარანა გინა
ნიბრუშე საგაგიმ ინიპბი ლუგაბ

მეფის მოციქულო, გზას გაუდექ,
ნიპურს მიმიტანე ესე ამბავი!
შორეულ მგზავრობად განემზადე!
გინა ფხიჯლობდეს დედაჩემი, გინა ეძინოს,
შისი სავანისკენ წარემართე.
მაცნევ, მისალმებას ჩემსას ნუ გასინჯავ,
წიგნი ჩემი მისალმებისა ხელთ ჩააბარე.
მხიარულია დედაჩემი, მოკაზმული,
უკეთუ ვერ იცნო, ნიშნებს გაუწყებ:
შათ-იშთარ სახელი მისი, ამგვარად ეძებდე:
ტანადია და პირშვენიერი,
მოწყალე ქალღმერთმა მისი უბნისამ
ბედი განუსაზღვრა სიჩჩოებითვე.
ქმარეული საუდრისკენ მოწიწებით ვალს,
კდემით ჩერდება ქალღმერთის წინაშე, —
უწყის, სად ეძიოს ინანას ადგილი.
არგადამხვევი უფლის სიტყვათა,
ხელმტკიცე, საუნჯეთა მაუხვებელი,
მოყვარული, მღმობელი, მოცინარე,
კრავი, მწთოლვარე ამო ზეთით და ტყბილი ნაღებით.
მეორედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ცის წიაღში მოკაშკაშე სხივი,
ყელმოღერებული შველი მთებისა,

ლალი, იაგუნდი მარხაშის მხარისა,
სამეუფო განძი გრძნებით აღსავსე,
მარმარის ბეჭედი მზეებრ ელვარე,
კალის სამაჯური, ანთასურას ხალტი,
ოქრო რჩეული და ვერცხლი წმიდა,
მაგრამ ცხოველი, მსუნთქავი არსი.
აღბასტროს ქანდაკი ლილაქვის კვარცხლბეკზე შემდგარი,
ცოცხალი კერპი გრძნეულნაკეთიანი:
მესამედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ზეციური წვიმა,
წყალი ურჩეულეს თესლისა,
უხვი მოსავალი, ნაყოფის ორმაგად გამომღებო,
მტილი შვებისა სიხარულით აღსავსე,
მორწყული ნაძვი გირჩებით დახუნძლული,
ადრეული ხილი, გაზაფხულის პირველი ნაყოფი,
სარწყავი არხი, უხვი წყლის მომტანი,
ტკბილი ფინიკი დილმუნის მხარისა, პირველმოწეული,
მეოთხედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
ლოცვა-გალობებს სიწრფოებით აღავლენს დედაჩემი,
ახალწლის ზეიმზე მწერა უბრწყინავს,
სეფექალი, მღერალი სიუხვის გალობათა,
როკვის ადგილას აღტაცების მომტანი,
მოყვარული გული, ლხენაულევი,
სასო ტყვეკაცისა, დედისაკენ დაბრუნებულის.
მეხუთედ გაუწყებ დედაჩემის ნიშნებს:
დედაჩემი — ფინიკი ტკბილსურნელოვანი,
ეტლი ფიქვისა, ბზის ტახტრევანი,
კეთილი მცენარე, სურნელთ აღმომფშენი,
მტევანი — გვირგვინი უხვებით შეთხზული,
ნელსაცხებელით აღვსილი ჭურჭელი.
ნიშნები გაუწყე, რა წარდგები მისი ნათლის წინაშე
ეტყვი: „ლუ-დინგირა, ძვირფასი ძე შენი, მშვიდობით ბვიეს.“

ედუბას მოწაფის ნათამბრები

დუმე ედება უ ულამ მეზე ილუდენ
ედუბაზე ილუდენ

„ედუბას შეილო, სად ყოფილხარ?“
„ედუბაში ვიყავი“.

„ედუბაში რას აკეთებდი?“

„დაფა ჩემი წავიკითხე, მერე ვისაუზმე,
ახალი დაფა გავამზადე, დავწერი, განვასრული.
შემდეგ ნიშანი დამიწერეს,
ახალი დავალება მომცეს.“

ედუბას დახურვისას, სახლისკენ წამოველ.

სახლში შეველ, სახლში მამაჩემი იქდა;

მამაჩემს ჩემი დაფა ვაჩვენე,

დაფა ჩემი წავიკითხა, მოეწონა.

ახე ვიდრე მამის წინაშე:

ხასმელი თუ გაქვს, დამალევინეთ,

ხაკმელი თუ გაქვთ, მაჭამეთ,

ლოგინი გამიშალეთ, დამბანეთ, დავიძინებ.

დილით აღრიანად გამალვიძეთ,

თუ დამავიანდა, მოძღვარი გამლახავს“.

დილით აღრე რა გავიღვიძე,

დედაჩემი თავს დამდგომოდა.

„კერძი ჩემი მომიმზადე,

ედუბაში უნდა წავიდე“.

მის თვალწინ საკმელი შევკაპე,
სასმელი დავლიე.
დედამ ორი პური თონიდან ამომიღო,
ეღუბაში თან გამატანა.
ასე წავედი ეღუბაში.
ეღუბის დარაჯმა, „რად დაიგვიანეო“, მკითხა.
შემეშინდა, გული გამისკდა.
ჩემს მოძღვართან შევედი, ადგილზე დამსვა.
ეღუბას მამამ ჩემი დაფა წაიკითხა,
არ მოეწონა და ჯოხით მცემა“.

უღ იმინ უღ უამ ბაზალაბა

დღე შვიდი, დღე ათი რა გამოხდა,
მეუფეს ჩემსას შუმერის გოდება მისწვდა,
ურნამუს შუმერის გოდება მისწვდა;
„ზღუდე ურისა მან ვერღა განასრულა,
ახალი სახლი აღაშენა, გარნა ვერ აკურთხა,
მწყემსმა თვის სადგომზე ველარ იზრუნა,
მეუღლე გულში სიხარულით ველარ ჩაიკრა,
ძე თვისი მუხლებზე ველარ გამოწარდა“.

ქეშმარიტმა მწყემსმა გლოვა თავის თავზე მო-რა-ისმინა:
„მე საქმე ესე შემემთხვია, —
ღმერთებისთვის ვიდოქ, ფუძე აღვუჩინე,
ანუნაქებს სიუხვე გამოვუჩინე,
მათ სარეცელზე, ხახასა აღერდით მოფენილზე,
ძვირფასი ნივთები განვალაგე.
არა ღმერთი ჩემ გვერდით არ დამდგარა,
გული ჩემი არ დამცხარა.
მე, მეფეს, კეთილი ნიშები ცასავით განმეშორა.
დღედაღამ მდგარმა სჭულსა ჩემსა რა მოვიხვექე?
დღედაღამ უძილოდ მდგარსა დღენი განმესრულნეს.
აწ მოთქმა ჩემი ზეცად მიუქცევდელ წვიმასავით
ურის კედლებამდე ველარ ამოაღწევს.
მეუღლეს, მნახველს კეთილთა დღეთა,
:მწუხარე დღენი გაუთენდება“.

ჰიმნი მეფე შულგისა თვისდა მიმართ

ლუგალმენ სათა ურსაგქენ
შულგიმენ ბათუდენათა ნითა ქალგამენ

მეფე ვარ, დედის საშოითვე გმირი ვარ,
შულგი ვარ, შობითგანვე კაცი მძლავრი ვარ,
მზერასაშიში ლომი, უშუმგალის დანაბადი ვარ,
მეფე სამყაროს ოთხივე კიდისა ვარ,
შავთავიანთა მფარველი მწყემსი ვარ,
მოყმე — სამყაროთა ღმერთისა ვარ,
ძე — ნინსუნას მიერ შობილი ვარ,
ბრწყინვალე ანის გულით მოხმობილი ვარ,
კაცი, ენლილისგან ბედგარდაწყვეტილი ვარ,
შულგი, ნინლილისგან შეუვარებული ვარ,
დედა ნინთურის ნებიერი ვარ,
ენქისაგან შთაგონებული ვარ,
მეფე ძლიერი, ნანარის მორჩილი ვარ,
ხახადადებული ლომი მზის ღმერთისა ვარ,
შულგი, ინანასგან შვებად მოხმობილი ვარ,
ლადი კანჯარი, გზად გაჰყენებული ვარ,
ფენმარდი ცხენი, კუდმოფრიალე ვარ,
შაქანის კეიცი მკვირცხლად მიმზლდომი ვარ,
ზრძენი ნიდაბას დაფათა მპურობელი ვარ.
ვინ-მე არს ჩემებრ ქველი?

ვინ-მე არს ჩემებრ ძლიერი?
სიბრძნეში სრულყოფილი შევიქენი,
წრფელნი სიტყვანი მისნი შევიგონე.
სამართლიანობა შევიყვარე.
ბოროტება არ შევიყვარე.
მტრული სიტყვები შევიძულე.
შულგი ვარ, მეფე ძლიერი. წინამორბედი ვარ.
ფეხი გადავდგი, გზები ქვეყნისა მოვიარე,
მანძილის სვეტნი გავამაგრე, ქალაქნი დავაფუძნე,
შემოგარენში მტილნი გავაშენე, სავანედ ვაქციე,
ადგილსა მას კეთილმოსურნე ხალხი დავასახლე.
ხალხმა ქვემოთიდან ამომავალმა,
ხალხმა ზემოთიდან ჩამომავალმა,
დაე, განისვენოს მის ჩრდილოვანში.
მგზავრმა და მაცნემ ღამე გაათიოს,
შევიდეს ვით კეთილად ნაგებ ქალაქში.
სახელის ჩემის საუკუნოდ დამკვიდრებდად,
ხალხის ბაგეთაგან არგაქრობად,
დიდების ჩემის შუმერის ქვეყნად განცხადებდად,
უცხო მხარეთა მორჩილსაყოფად, —
მე მუხლმაგარმა, ფერხმოუქანცავმა,
ნიჰურიდან ვიდრე ურის აგურებამდე —
რეცა ყოფილიყო ერთი ბერე — გულმა სვლად
გამიწია.

მე ღომმა ძალამოუღლეღმა ვაჩინე ძალი ჩემი,
მოკლე არდაგით თეძონი შევიმოსე,
ვითარცა ტრედმა, ფრენად განშადილმა, მკლავები
გავშალე,
ვითარცა იმღუგულმა, მთისაკენ მწერააპურობილმა,
მუხლი გავშალე,

ქალაქნი ჩემგნით მყარნი ჩემკენ ვიღოღენე,
შავთავიანებს ცხვრებოვით მრავალთ კეთილად
მოვხედე, —

მთის ლერწმებივით მყარში დარგულიყვნენ.
ვითარცა მწემ, კაცთა მოდგმისათვის დღის გამჩენმა,
ზუნას ტაძარი უხვეერბოიანი სიმდიდრით ავავსე,
ზრობა დავკალი, ცხოვარი ურიცხვი,
დაფი და ებანი ავახმიანე.
შულგამ ყოვლის მაუხვებეღმა პური გამსხვერპდე.
ოდეს ღომგულმა სამეუფო საყდარში,
წინეგალას უზენაეს ტაძარში ძალი მოვიდე,
დავიჩოქე, მჩქეფარე წყალი შევსვი,

მუხლი მოვიყარე, პური ვჭამე.
ვითარცა ნინშარა, არწივი, ზე ავიწიე,
ნიპურად, ჩემს ქალაქად, შემოვიქეც.
იმ დღეს გრიგალი ახმაურდა,
ქარბორბალა დატრიალდა,
ბორეასმა და არაემა ერთად იღრიალეს,
ელვამ და შვილმა ქარმა ცაში ყველაფერი შთანთქმეს,
ქარმა ყოვლის გამაყრუებელმა ხმელეთი შეარყია,
ცის სივრცეზე იზახდა იშქური,
ციური წვიმა ხმელეთის წყალს შეერწყა,
სეტყვა მცირე და სეტყვა დიდრონი,
ბეჭებზე უხვად შეყრებოდა.
მე, მეფე, არ შევშინდი, არ შევეძრწუნდი,
ვითარცა ლომის ბოკერი წინ გავიქერ,
ვითარცა ველური ცხენი წინ გავვარდი,
ვითარცა კვიცი მართოდ მოარული, გავქენდი.
ჩემდა სიხარულად გაჩენილ თვეში
ვითარცა მზის ღმერთმა თვისი სადგომისკენ
მზერამიმართულმა

თხუთმეტი ბერუს მანძილი გადავლახე.
მამაცი ხალხი ჩემი შემომცქეროდა.
ერთ დღეს გადვიხადე ეშეშის ზეიმი ნიპურსა და ურში.
ჩემს ღვიძლ ძმასთან, მზის ღმერთთან ერთად,
ანის დაფუძნებულ სასახლეში სასმელი შევსვი,
მგალობელნი მიგალობდნენ დაფზე და ებანზე.
ჩემს სძალთან, ქალწულ ინანასთან ერთად,
ცისა და ხმელეთის შეებათა ქალბატონთან,
ჭამად და სმად დავქექე.
ჩემს საქმეთ ვერრა მსაჯული ვერ განსჯის.
საითკენაც თვალს მივაპურობ, იქით მივდივარ,
საითაც გამიწევს გული ჩემი, იქ მოვხვდები.
თვით ანმა მტკიცე გვირგვინი თავს დამადგა,
ბრწყინვალე ექურში კვერთხი ჩამაბარა.
სხივოსან სადგომში, მყარფუძიან საყდარში,
ამაყი თავი ზეცისაკენ აღვმართე,
ძალი მეუფებისა შემოვიმტკიცე,
უცხო ქვეყნები დავიმორჩილე,
ხალხი მყარად დავამკვიდრე.
ხალხმა სამყაროს ოთხივე კილისამ
სახელი ჩემი მარადიულად მოიხსენოს,
სიმღერებში ქება შემასხას,
სიღიადე ჩემი გამოაცხადოს!

უწესთაეს მეფურ ძალაში ნებიერად მოვლილი,
ვისაც ზუენამ ქიშნუგალის ტაძრიდან
ხიშტიციე და მორკმით ცხოვრება მიაგო,
ვისაც ნუნაშნირმა უწენაესი ძალა მიანიჭა, —
ეს მე ვარ შულგი, უცხო მხარეთა დამაქცეველი,
ხალხის მყარად დამამკვიდრებელი!
(ცისა და მიწის განჩინებას მეტოქე არ ჰუავს)
შულგი, ბავშვი, ცის გმირის, — ზუენას ნანდაური.
დიდება ნიდაბას!

სატრფიანო ჰიმნი
მეფე შუჟენასადმი I.

მუთინ, შაგა მულუ ქიგა
ხილიზუ ამზებამ, ლალამ ქუქულა!

სიძევ, გულისა ჩემის საყვარელო,
ტკბილია ნაყოფი შენი, უფროის თაფლისა
ლომო, გულისა ჩემის საყვარელო,
ტკბილია ნაყოფი შენი, უფროის თაფლისა
მიმიზიდე, ეჭა მოვალ წინაშე შენსა
სიძევ, შეგიყვან სანთიობოში
მიმიზიდე, ეჭა მოვალ წინაშე შენსა
ლომო, შეგიყვან სანთიობოში
სიძევ, იქ გიჩვენებ ალერსთა ჩემთა.
ალერსნი ჩემნი ტკბილ არიან უფროის თაფლისა.
სანთიობოში, სად თაფლი წოლავს,
ვილხენდეთ შენი ტკბილი ნაყოფითა
ლომო, იქ გიჩვენებ ალერსთა ჩემთა.
ალერსნი ჩემნი ტკბილ არიან უფროის თაფლისა.
სიძევ, წარიღე ნაყოფი ჩემი
დედაჩემს უთხარ, პატივს დაგდებს.
მამაჩემს უთხარ, ძღვენს გიბოძებს.
ადგილი სიამეთა ვუწყე მე:
სიძევ, დილაშდე იძინე ჩვენს სახლში
სად იხარებს გული შენი, ვუწყე მე!
ლომო, დილაშდე იძინე ჩვენს სახლში
რამეთუ ეგზომ შეგიტკბივარ,

ლომო, მიჩვენე ალერსნი შენნი

უფალო ღმერთო ჩემო, უფალო მფარველო ჩემო,
ჩემო შუ-ჭუნა, რომელი ატკობ გულს ენლილისას,
მიჩვენე ტკბილი ადგილი შენი

ადგილი შენი უტკბილეს თაფლისა, —

დასდებდე ხელთა შენთა.

მოიღე ხელნი შენნი, ვითარცა მოსასხამი

შემომხვიე ხელნი შენნი, ვითარცა მოსასხამი

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ჯ ი მ ნ ი
მ ე ფ ე შ უ ზ უ ე ნ ა ს ა დ მ ი II

ქუგამ ინთუდ ქუგამ ინთუდ
ნინე ქუგამ ინთუდ

წმიდა უშობიეს, წმიდა უშობიეს,
დედოფალს წმიდა უშობიეს,
აბისიმთის წმიდა უშობიეს,
დედოფალს წმიდა უშობიეს!

ხელნი და ფერხნი შენნი შევნიერ, აბისიმთი ჩემო,
თავი შენი ოქრო რჩეული, ქუბათუ, დედოფალო ჩემო,
თმები შენი ტურფად ნათხენი, შუზუნა, მეუფეო ჩემო,
ხიტყვა შენი გოლეული, ძეო შულგისაო ჩემო!

რამეთუ ვუგალობე, რამეთუ ვუგალობე,
მეუფემ ჩემმა ძღვენი მიბოძა.

რამეთუ აღარი ვუგალობე,
მეუფემ ჩემმა ძღვენი მიბოძა.

ოქროს საყურე, სმარაგდის ბეჭედი,

მეუფემ ჩემმა ძღვენად მიბოძა;

ოქროს სამაჭური, ვერცხლის სამაჭური,

მეუფემ ჩემმა ძღვენად მიბოძა.

ძღვენი შენი კეთილ, მეუფეო, მიჩვენე პირი შენი!
ძღვენი შენი კეთილ, შუზუნა, მიჩვენე პირი შენი!

ქალაქს შენსას საპყარივით ხელი განუპყრია,
შენდა მომართ შუზუნა, მეუფეო ჩემო
ვით ლომის ბოკვერი ქვე განრთხმულია
შენს ფერხთა ქვეშე, ძეო შულგისაო!

ღვთაებავ ჩემო! ტკბილია სასუმელი მეღვინე ქალისა!
ვითარცა სასუმელი მისი ტკბილია უბე მისი.

ტკბილია სასუმელი მისი
ვითარცა ბაგე მისი ტკბილია უბე მისი,
ტკბილია სასუმელი მისი
ვითარცა ზედაშე ტკბილია უბე მისი,
ტკბილია სასუმელი მისი!

ჩემო შუზუნა, რომელმა შემიტკბე,
რომელმა შემიტკბე, რომელმა შემივრდომე,
ჩემო შუზუნა, რომელმა შემიტკბე!
ენლილის რჩეულო, ჩემო შუზუნა,
მეუფეო ჩემო, ღმერთო შუმერისავ!

გოდება მეფე იბი ზუენაზე

უ შუბალ აქადე გიშხურ ხალამედე
უდე მარურუგიმ თეშბი იქუე

ჟამთა ცვალებად, სჭულთა დამხოზად
ბოროტმა ქარმა წარღვნასავით წალეკა ყოველი.
შუმერის სჭული რომ შეეცვალა,
კეთილი ღროება რომ წაეშალა,
ქალაქნი დაემხო, სახლნი დაექცია,
ბოსელნი მოეშალნა, ფარეხნი წარებოცნა,
ზროხა ბოსელში აღარ მდგარიყო,
ცხოვარს ფარეხში აღარ ემრავლა,
არხებში მწარე წყალს ედინა,
კეთილ უანობის ბალახი აღმოეცენა,
მდელოებს ღვარძლი აღმოეცენა,
ღედას შვილი თვისი აღარ მოეძებნა,
მამას ცოლისთვის აღარ მოეხმო,
თანამწოლს მის გვერდით აღარ გაეხარა,
ჩვილნი კალთებში აღარ დაზრდილიყვნენ,
ძიძას ძილისპირული აღარ ემღერა,
სამეფო საყდარი ალაგშეცვლილიყო,
ბრძნული განაჩენი დაბრკოლებულიყო,
მეფობა შუმერის ქვეყნიდან წაღებულიყო,
და უცხო ქვეყნად გამოჩენილიყო,
ანის და ენლილის ბრძანებით სჭული მოშლილიყო.

ოდეს ანმა სამყაროს გადახედა,
ოდეს ენლილმა თვალი უცხო ქვეყანას მიაპყრო,
ენქიმ ტიგროსსა და ევფრატს დინება შეუცვალა,
მაშინ ანმა და ენლილმა ასე გადაწყვიტეს:
ერს ძველ ადგილას აღარ ემკვიდრა,
უცხო მხარეში გარდახვეწილიყო,
სუთელთ და ელამელთ დაეპყროთ ქვეყანა,
მეფეს სასახლე და ქვეყანა დაეგდო,
მეფე იბი-ზუენა ელამის მხარეში წარტყვენილიყო,
ზაბუს მთიდან, მთათა მკერდიდან,
ანზანის კიდემდე წაეყვანათ,
მსგავსად ბუდემოშლილი ფრინველისა,
მსგავსად მწირისა თვისდა ქალაქად ვერ მოქცეულიყო.
მდინარეთ ნაპირებს ავი ბალახი აღმოეცენა,
გზებზე ფეხი აღარავის დაედგა,
მგზავრობას აღარავინ შედგომოდა,
ქალაქი ერმრავალი ნანგრევებად ქცეულიყო,
შავთავიანნი თავიანთ ბინებში ამომწყდარიყვნენ,
კეთილი ყანები არ გათოხნილიყო,
მწყემსს საძოვრიდან ფარისათვის აღარ მოეხმო,
ბოსელში ფურებს რძე და ერბო აღარ მოეცათ,
ველად საქონელი შემცირებულიყო,
ყოველი სულდგმული წარწყმედილიყო,
შაქანის ოთხფეხს სიმშვიდე ვერ ეპოვნა,
ლელიანს ბოროტი ღერწაში აღმოეცენა,
ჭებში წყალი ამოშრეტილიყო,
ხილნარი, სად ახალნერგები არ ჰყვავიან,
თავისთავად გამხმარიყო.

უკეთუ ანი და ენლილი, სამყაროს შეუფენი,
ქვეყანას ბედს გარდაუწყვეტენ,
ანის სიტყვას ვინ გარდაჰხდება,
ენლილის სიტყვას წინ ვინ აღუდგება?
ემინის შუმერის ქვეყანას, ძრწის ერი,
მეფე აღარ არის, გოდებს ხალხი მისი.

I

თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე

მან დაუტევა სადგომი თვისი, განქარდა ფარები მისი,
ხარმა დაუტევა სადგომი თვისი, განქარდა ფარები მისი,
სამყაროს მეუფემ დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ენლილმა ნიპურის ტაძარი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ცალმა მისმა, ნინლილმა, დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ნინლილმა სახლი მათი ქიური დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ქეშის ქალბატონმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ნინმახმა სახლი მათი ქეში დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ისინის ქალბატონმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ისინის ქალბატონმა ეგალმახის ტაძარი დაუტევა, განქარდა
ფარები მისი,

ურუქის ქალბატონმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ინანამ სახლი მათი ურუქი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ნანარმა ური დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ზუენამ ექიშნუგალი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ცალმა მისმა, ნინგალმა, დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ნინგალმა თვისი ენუნქუგი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ერიდუს ხარმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ენქიმ სახლი მათი ერიდუ დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ნინაშთემ სახლი მათი ლარაქი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
შარამ ემახი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
უსახარამ სახლი მათი უმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
ბაბამ ურუქუგი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
წმიდა ბაგარა, სამყოფელი თვისი, დაუტევა, განქარდა ფარები მისი,

წულმა მისმა აბაბამ დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 აბაბამ მაგუენა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ლამარმა წმიდა საუღარი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ლამარმა ეხილხირა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ლაგაშის დედამ დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 გათუმდუგმა სახლი მათი ლაგაში დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ნანშეს ქალბატონმა სადგომი თვისი დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ნინგულამ სახლი მათი სირარა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ქინირშაგის უფალმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 დუმუზი-აბზუმ სახლი მათი ქინირშაგი დაუტევა, განქარდა
 ფარები მისი,
 გუაბას დედოფალმა დაუტევა, განქარდა ფარები მისი,
 ნინმარმა გუაბას ტაძარი დაუტევა, განქარდა ფარები მისი.

მოძახილი: „ფარები მისი ქარს მიეცა,
 ძროხა ბოსელში აღარა დგას“.

II

ურუ ამერგივა ამერზუ გარა
 ამერზუ გივა ურუ ამერზუ გარა

„ჰოი, ქალაქო, გოდებითა მწარითა გოდებდე
 მწარეა გლოვა შენი, ჰოი ქალაქო, გოდებდე!“
 მტკიცე ქალაქი მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
 ური მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
 „მწარეა გლოვა შენი, ჰოი, ქალაქო, გოდებდე!“
 ური მისი დაქცეულ, მწარეა გლოვა!
 „მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი
 უფალი შენი?
 მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი ნანარ?
 ჰოი, აგურნო ურისანო, გოდებითა მწარითა გოდებდეთ!
 ჰოი, ექიმნუგალ, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, ტაძარო ენუნქუგ, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, ქიურ, დიადო ადგილო, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, ტაძარო ნიშურისავ, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, აგურნო ექურისანო, გოდებითა მწარითა გოდებდეთ!
 ჰოი, მაგოშუა, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, აგურნო ურუქუგისანო, გოდებითა მწარითა გოდებდეთ!
 ჰოი, ეხილხირა, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, მაგუენა, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, აგურნო ისინისანო, გოდებითა მწარითა გოდებდეთ!

ჰოი, ტაძარო ეგალმახისავ, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, აგურნო ურუქისანო, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 ჰოი, აგურნო ერიდუსანო, გოდებითა მწარითა გოდებდე!
 მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი უფალი შენი?
 მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი ნანარ?
 ჰოი, ქალაქო, ჰგიეს სახელი შენი, ხოლო შენ დაიქეც!
 ჰოი, ქალაქო, მაღლობს ზღუდე შენი, ხოლო ქვეყანა შენი შეიმუსრას!
 ჰოი, ქალაქო, ვითარცა უცოდველ ცხოვარს წარგეტაცა კრავი შენი!
 ჰოი, ურ, ვითარცა უცოდველ თხას წარგიწყმა თიქანი შენი!
 ჰოი, ქალაქო, სჭულდებანნი შენნი, შიში და ძრწოლა უცხო მხარეთა,
 წესნი შენნი უცხოთად შეიცვალნენ!
 მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი უფალი შენი?
 მწარეა გლოვა შენი, — ვიდრემდე წუხდეს მოტირალი ნანარ?

ური მისი დაქცეულ, — მწარეა გლოვა!“

მ ო ძ ა ხ ი ლ ი : „მტყიცე ქალაქი მისი დაქცეულ, — მწარეა გლოვა!“

III

ნინ ლუეხულათა ურუნი ირი ბანდინიზგარ
 ნანარ ლუ ქალამ ბანდათილა ურიმე ანირა ბარ ბაღანთამ

სახლშებილწული უფლისა გამო ქალაქი მისი ტირილს მიეცა,
 ქვეყანადადუპულ ნანარის გამო ურმა გაამრავლა მოთქმა თვისი.
 წრფელი ქალბატონი თვისი ქალაქისა გამო უფლის შეწუხებად,
 ნინგალი თვისი ქვეყნისა გამო უფლის არმოსვენებად, —
 მას მიეახლა თვისი ქალაქისა გამო საწყალობლად მტირალი,
 უფალს მიეახლა თვისი შებილწული სახლისა გამო,
 საწყალობლად მტირალი,
 თვისი შებილწული სახლისა გამო მიეახლა გამომღებო
 მწარე გლოვისა,

გლოვის გალობას მის წინაშე ზარით აღმოიტყვის:

„ამტყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამატეხა,
 ქარიშხლისაგან ვიქცეოდი მიდამოთ კერძო.
 მე, დედოფალს, ამტყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამატეხა.
 ამტყდარმა ქარიშხალმა გლოვა დამატეხა.
 დღისით ქარიშხალი თავს დამატყდა, —
 თუმცა შევძრწუნდი მას დღესა შინა,
 იმ დღისა გამო არ წავსულვარ.
 საღმობათა გამო ჩემს დიოფლობაში დღე კეთილი,
 ჩემს დიოფლობაში დღე კეთილი არ მიხილავს.
 დამით მწარე გლოვა თავს დამატყდა, —

თუმცა შევძრწუნდი მას ღამეს შინა,
 იმ ღამისა გამო არ წავსულვარ.
 ხალმობათა გამო ჩემს ღამის საწოლში განცხრომა,
 ჩემს ღამის საწოლში განცხრომა არ დავანებულა.
 ხალმობათა გამო ჩემს საწოლში განსვენება,
 ჩემს საწოლში განსვენება არ შესულა,
 რამეთუ ჩემს ქალაქში მწარე გლოვა დამკვიდრდა.
 დღემ, ქალაქივით დაქცეულმა, გლოვა დამატება,
 ჩემი ქვეყანა შიშისაგან ვეღარ მობრუნდა,
 რამეთუ ჩემს ქალაქში მწარე მოთქმა დამკვიდრდა.
 მაშინ ფრინველივით ფრთენი გავშალე
 და ჩემი ქალაქისკენ გავფრინდი:
 ქალაქი ჩემი მისაფუძვლამდე დაქცეულიყო,
 ჩემი ური საძირკველითურთ აღმოფხვრილიყო.
 რამეთუ ძალი ქარიშხლისა ცით აღმოტყდა,
 ვიკივლი: „ქარიშხლო, ველად მიიქცე!“ — შევძახოდი.
 გარნა მკერდი ქარიშხლისა არ აღდგა მიქცევად.
 მე, ქალბატონს, ენუნქუგში, სახლში ჩემი დიოფლობისა,
 სად უფლობა მომავალ დღეთა მიმართ არ მომეცა,
 მოთქმანი და გოდებანი მეწიენ მე.
 რამეთუ სახლმა, სად სული შავთავიანთა განცხრებოდა,
 დღესასწაულთა წილ კმუნვა და წუხილი განიმრავლა.
 რამეთუ ჩემს სახლში, კეთილ სამყოფელში,
 ჩემს მარჯულ სახლში, რომელს ვეღარასოდეს მივხედავ,
 მწარე გლოვა დაასადგურეს.
 სახლს ჩემსას, მარჯული კაცის მიერ ანაშენს,
 ვითარცა ხულას გვერდი მოერღვა.
 ექიმშირგალი, სახლი ჩემი დიოფლობისა,
 მარჯული სახლი სახლად საგოდებლად ქცეული ჩემი,
 მარცხად ანაშენი იგი, მარჯვედ ნაშალი,
 ჩემდა ბედისწერად რომ გადაწვეტილა, —
 მსგავხად კალოსი, საიდანაც მოსავალი გახვეტეს,
 მსგავხად ბელლისა, საიდანაც მოსავალი გამოხვეტეს, —
 ქარსა და წვიმას მიეცა.
 ური, ვრცელი სამყოფელი ჩემი,
 სახლი, ქალაქი ჩემი ნაგვემი და აღმოფხვრილი,
 მსგავხად მწყემსთა ფარეხისა აღმოიფხვრა.
 ხვათი ჩემი ქალაქისა მიდამოიფანტა“.

მ ო ძ ა ხ ლ ი: „ური ქალაქი ტირილს მიეცა“

უბა უღე ენ ბასიგსიგაბა
ნინდა ურუნი ბანდაგულაბა

მას უამს, რა გრიგალი უფალს დაატყდა,
დედოფლითურთ ქალაქი მისი დააქცია,
მას უამს, რა გრიგალმა უფალი დაძლია,
რა ქალაქი ჩემი დასაქცევად გაწირეს,
რა ური ჩემი დასაქცევად გაწირეს,
რა მისი ერის წარწყმედა ბრძანეს,
მას უამს ქალაქი ჩემი არ დამიგდია,
ქვეყანა ჩემი არ დამვიწყნია...
ანის წინაშე წყალი თვალთა ჩემთა დავღვარე,
ენლილის მიმართ ვედრება აღვაღვინე.
„ნუ დაიქცევა ქალაქი ჩემი!“ — შევლაღადე.
„ნუ დაიქცევა ური ჩემი!“ — შევლაღადე.
„ნუ აღიგვება ერი მისი!“ — შევლაღადე.
არ შეიწყნარა ანმა ღაღადისი ესე,
ენლილმა „კეთილი, — ხეამ!“* არ წარმოთქვა,
გული ჩემი არ დამიწყნარა.
კვლავ დავიჩოქე, ხელი აღვაპურე,
ანის წინაშე წყალი თვალთა ჩემთა დავღვარე.
ენლილის მიმართ ვედრება აღვაღვინე.
„ნუ დაიქცევა ქალაქი ჩემი!“ — შევლაღადე.
„ნუ დაიქცევა ური ჩემი!“ — შევლაღადე.
„ნუ აღიგვება ერი მისი!“ — შევლაღადე.
არ შეიწყნარა ანმა ღაღადისი ესე,
ენლილმა „კეთილი, — ხეამ!“ არ წარმოთქვა,
გული ჩემი არ დამიწყნარა.
ქალაქი ჩემი დასაქცევად გაწირეს,
ური ჩემი დასაქცევად გაწირეს,
ერი მისი წარწყმედად გაწირეს.
წუხილით ამავსეს ჩემი ქალაქისა გამო,
წუხილით აავსეს ური ჩემი ჩემ გამო.
ანი არ შეცვლის თავის ნათქვამს,
ენლილი არ გადათქვამს აღმოთქმულ სიტყვას.

მ ო ძ ა ხ ი ლ ი: „დაიქცა ქალაქი მისი,
სჯული მისი უცხოლ შეიცვალა“.

* შუმ. შეძახილი: „იყაენს“

ენლილე უდე გუბანდე უქუე შეაანშა
უ ხეგალა ქალამდა ბადანქარ უქუე შეაანშა

ენლილმა ქარიშხალს მოუხმო, მოთქვამს ერი.
სიუხვის ქარი მხარეს მოაშორა, მოთქვამს ერი.
ქარი კეთილი შუმერს მოაშორა, მოთქვამს ერი.
ქარი უკეთური ქვეყანას ეკვეთა, მოთქვამს ერი.
ქვეყნის დამაქცევარ ქარს მოუხმო, მოთქვამს ერი.
ყოველთა ქართა უკეთურთა მოუხმო, მოთქვამს ერი.
ცეცხლის ღმერთი მწედ შემოიყვანა, მოთქვამს ერი.
დიდი ქარიშხალი ციდან აღრიალდეს, მოთქვამს ერი.
ქარი ქვეყნის დამაქცევარი ხმელეთით ბანს აძლევს, მოთქვამს ერი.
ცის წიალი მიდამოიქცევა, მოთქვამს ერი.
დიდი ქარიშხალი ციდან აღრიალდა, მოთქვამს ერი.
ბრწყინვალე სხივი — დღის ნაყოფი — ქვე დაემხო,
ქვეყნად ბრწყინვალე ათინათი აღარ აღმოცისკრდა,
დღის მნათობი ღამის ვარსკვლავით ბუუტავს, მოთქვამს ერი.
სასწაულთა ღამე გრიგალმა დაამხო, მოთქვამს ერი.
მათი ვაშრაპები მტვერით ამოიფხო, მოთქვამს ერი.
შავთავიანებს ქარნი უბერავენ, მოთქვამს ერი.
ავი ქარიშხალი ცრემლმა ვერ მოაღბო, მოთქვამს ერი.
წარღვნასავით ქალაქებს წარხოცავს, მოთქვამს ერი.
ავი ქარიშხალი — ენლილის სიტყვა —
ურს სამოსელივით ემოსება, მოთქვამს ერი.
გრიგალი მოვალს ქმნად ბოროტისა.

მ ო ძ ა ხ ი ლ ი : „მძვინვარე ქარიშხალი უტევს, მოთქვამს ერი“.

VI

უბა უ ურუდა ბადაგარ
ურუბი დულდულუდა

ოდეს ავი ქარი ქალაქად დამკვიდრდა,
ქალაქი იგი ნანგრევებად იქცა.
მამფალო ნანარ, ქალაქი იგი ნანგრევებად იქცა, მოთქვამს ერი.
ოდეს ავი ქარი ქვეყნად დამკვიდრდა, მოთქვამს ერი,
ერი მისი ქალაქის ზღუდესთან განერთხა, მოთქვამს ერი.
მაღალ ბქეებთან, სად აღრე ვიდოდნენ, გვამები ყრია,
მის ვრცელ უბნებში, სად აღრე ზეიმობდნენ, დაცემულან,

ყველა ფოლორცზე, სად ადრე ვიღოდნენ, გვამები ყრია.
 ადგილას ქვეყნის ღღესასწაულთა ხალხი იგი უწყალოდ მოიხრა.
 სისხლი ქვეყნისა ტყვიასებრ შედედდა,
 მათი ცხედრები ცეცხლის ღმერთმა ცვილივით დააღწო.
 ერმა მისმა ცულებით მომწყდარმა ფარი ვერ იფარა.
 მახეში გაბმულ ქურციკებივით ქვე დაემხვნენ.
 ხალხმა ბოძალით განგმირულმა სამოსელი ვეღარ შეიმოხა.
 აჰა, სისხლში წვანან, სად დედა მათი მშობიარობდა
 ვითარცა ღვინომოძალეზულთ თავები ჩაუქინდრავთ.
 მახვილთან მდგარი, მახვილისგან მოიწყლა, მოთქვამს ერი.
 ვინც მას განერა, ქარიშხალმა დაამხო, მოთქვამს ერი.
 ურის სუსტი და ძალმოსილი სიუმილმა მოწყვიდა.
 ქალნი და მოხუცნი, სახლით ვერგასულნი, ცეცხლმა შთანთქა.
 ჩვილნი, დედის კალთაში მწოლარენი, წყალმა თევზებივით წაიღო.
 სამართალი ქვეყნისა წარწყმდა, მოთქვამს ერი.
 სიბრძნე ქვეყნისა წარხდა, მოთქვამს ერი.
 დედამ ასული თვისი დაუტევა, მოთქვამს ერი.
 მამამ ძეს თვისას პირი შეაქცია, მოთქვამს ერი.
 ქალაქში ცოლი დაუტევეს, შვილი დაუტევეს, ქონება მიდამოიფანტა.
 შეეთავიანნი, სადაც კი თავი მიაყუდნეს, წარტყვენილ იქნენ.
 მისმა ქალბატონმა, ვითარცა გაფრენილმა ჩიტმა, დააგდო ქალაქი თვისი.
 ნინგალმა, ვითარცა გაფრენილმა ჩიტმა, დააგდო ქალაქი თვისი.
 დახვევებული ქონება მისი წარყვენილმა ხელმა წარიტაცა,
 მის ურიცხვ ბედლებში ცეცხლი აგიზვიზდა,
 წყლები მისი ცეცხლის ღმერთმა ერთიანად დაშრიტა.
 მაღალი მთა, მიუწვდომელი ექიშვირგალი, —
 მტკიცე საყდარი მისი დიდი წერაქვებით დაინგრა,
 სუთელ-ელამელთა, უცხოთესლთა, ჩაღისფასად აქციეს.
 წმიდა ქალაქი წერაქვებით დაანგრის, მოთქვამს ერი.
 ქალაქი ნანგრევებად აქციეს, მოთქვამს ერი.
 მოთქვამს ქალბატონი მისი: „ვאי შენდა, ქალაქო ჩემო!“
 მოთქვამს: „ვאי შენდა, სახლო ჩემო!“
 მოთქვამს ნინგალი: „ვאי შენდა, ქალაქო ჩემო!“
 მოთქვამს: „ვאי შენდა, სახლო ჩემო!“
 მე, დედას, დამექცა ქალაქი ჩემი, დამექცა სახლი ჩემი
 ბოი ნანარ, ური დაიქცა, ერი მისი განიფანტა!

მ ო ძ ა ხ ი ლ ი: „თავის სადგომში, თავის ფარესში დედა მწარედ
 აღმოიტყვის:

„ქალაქი ქარიშხალმა დააქცია!“

ამა ნინგალ ურუნა ნუერიმგიმ ბართა ბადაგუბ
 ლუ მუნუსე ირეხულანა გალგალბი მინიბი

დღდა ნინგალი თავის ქალაქიდან მსხემივით განდევნილა:

ქალბატონი ხამაძლა ტირის თავის შეგინებულ სახლს,
 უფლისწული მწარედ მოთქვამს ურის შეგინებულ ტაძარზე:

„ანმა დაწუველა ქალაქი ჩემი, დააქცია ქალაქი ჩემი,
 ცნლილი მტრად ექცა ჩემს სახლს, წერაქვით ამოძირკვა.

დაბლიდან ამოსულს ცეცხლი წაუკიდა, ვაგლახ, დაინგრა ქალაქი ჩემი
 ცნლილმა მალლიდან ჩამოსულს ცეცხლი წაუკიდა.

ქალაქის კიდევან შემოგარენი ქალაქისა დაიქცენ,
 „ვთი შენდა, ქალაქო ჩემო!“ — აღმომხდების.

ქალაქის გულში შუაქალაქი დაიქცა,
 „ვთი შენდა, ქალაქო ჩემო!“ — აღმომხდების.

სახლნი ჩემნი შუაქალაქში დაიქცენ,
 „ვთი შენდა, ქალაქო ჩემო!“ — აღმომხდების.

ქალაქი ჩემი — უბიწო ცხოვარი — არ იმწყესება,
 წასულა მწყემსი მისი.

ხარს ჩემსას სადგომიდან აღარ დენიან,
 წასულა მეხრე მისი.

ცხვარს ჩემსას ფარეხიდან აღარ დენიან,
 წასულა მამოვარი მისი.

არხები ჩემი ქალაქისა ქვიშით ამოივსო,
 მათ კალაპოტში წყალი აღარ ჩქეფს,
 წასულა მეურნე მისი.

ყანებში ჩემი ქალაქისა ხორბალი განქარდა,
 წასულა მუშაკი მათი.

ყანები ჩემი, ვითარცა ყანა გაუთოხნელი, ძეძვს აღმოაცენებს.

ფინიკის ქალები, თაფლითა და ბადაგით უხვნი, ნარ-ეკალს ზრდიან.

მინდორი ჩემი, სად კაწალი და ხიკერა იხდებოდა,
 გამოსრა ვითარცა ლუმელი.

მონაგები ჩემი ვითარცა შემოსეულ კალიისგან წარტაცებული, —
 „ვთი მონაგებო ჩემო!“ — აღმომხდების.

მონაგები ჩემი მალლიდან ჩამოსულმა მალლა წაიღო.
 „ვთი მონაგებო ჩემო!“ — აღმომხდების.

მონაგები ჩემი დაბლიდან ამოსულმა დაბლა წაიღო,
 „ვთი მონაგებო ჩემო!“ — აღმომხდების.

განძი ჩემი მიდამოიბნია,
 „ვთი მონაგებო ჩემო!“ — აღმომხდების.

ვერცხლის უმეცარმა ჩემი ვერცხლით ხელი აივსო,
 ვერცხლი ჩემი და სპეკალი ჩემი განიფანტა,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

განძი ჩემი მიმოიფანტა,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

ვერცხლის უმეტარმა ჩემი ვერცხლით ხელი აივსო,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

ძვირფასი თვლების უმეტარმა ჩემი ძვირფასი თვალებით
ყელი დაიშვენა,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

ყოველი ფრთოსანი ჩემი და ჩიტი გაფრენილ,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

ასულნი ჩემნი და ძენი ჩემნი მიმოტაცებულ,

„ვთქვამთ ჩემო“ — აღმომხდების.

ვთქვამდა ქალწულნი და ჰაბუნი ჩემნი უცხო მხარეში

უცხო ღმერთებს შეუვრდებია.

ვთქვამდა ქალწულნი და ჰაბუნი ჩემნი შებორკილ არიან.

ვთქვამდა აღარ არის ქალაქი ჩემი, აღარა ვარ ქალბატონი მისი.

ვთქვამდა აღარ არის ური, აღარა ვარ ქალბატონი მისი.

სახლი ჩემი ნანგრევებად ქცეული, ქალაქი ჩემი დაქცეული, —

მე, წრფელი ქალბატონი, — ჩემი ქალაქის წილ უცხო ქალაქი
აშენდება!

ქალაქი ჩემი ნანგრევებად ქცეული, სახლი ჩემი დაქცეული!

მე, წინგალი, — ჩემი სახლის წილ უცხო სახლი აღიმართება!

ვთქვამდა ქალაქი დაიქცა, სახლი დაიქცა.

გმა ნანარი ტაძარი ურისა დაიქცა, ერი მისი აღიხოცა.

ვთქვამდა სად დავეუფლო ანუ სად დავადგრე?

ვთქვამდა ჩემი ქალაქის წილ უცხო ქალაქი აშენდება!

მე, წინგალი, — ჩემი სახლის წილ უცხო სახლი აღიმართება!

ადგილს მოშორებული, ველს მოშორებული „ვთქვამთ ჩემო“ —
აღმოვიტყვი.

ქალაქს ჩემსას, ურს, მოშორებული „ვთქვამთ ჩემო“ —

აღმოვიტყვი.

წმიდა მკერდი მისი შეღწეული, — „ვთქვამთ ჩემო“ —

აღმოვიტყვი.

თვალნი მისნი ცრემლთაგან წალეკილნი, — მწარეა

მოთქმა მისი.

„ვთქვამდა ჩემი ქალაქის წილ უცხო ქალაქი აშენდება.

მე, წინგალი, — ჩემი სახლის წილ უცხო სახლი აღიმართება.

ვთქვამდა, სახლი და ბოსელი ვისი მოირღვა, ზროხა

ვისი განიბნა!

მე, წინგალი, ვითარცა უღები მწყემსი, — მახვილმა მოსრა

ცხოვარი ჩემი!

ვთქვამდა, ქალაქიდან განდევნილს, საყუდელის ვერმპოვნელს!

ვთქვამდა, მე, წინგალს, სახლიდან განდევნილს, თავანის ვერმეძიებელს!

მიხილეთ მწირი ხელგანწყობით მჭდომარე უცხო ქალაქად
წყევლა და გინება ეწივნენ ასოთ ჩემთა.

იქ მივეახლე მისი ქალაქისა გამო მწარედ მოტირალი,
უფალს მივეახლე მისი დაქცეული სახლისა გამო

მწარედ მოტირალი,

მისი დაქცეული ქალაქისა გამო მივეახლე მწარედ მოტირალი.

„ვთა ჩემდა ამა ხვედრი ჩემი ქალაქისა!

მწარეა ხვედრი ჩემი ქალაქისა!“ — ვხადოდი.

„მე, დედოფალი, — ამა დაქცეული სახლი ჩემი!

მწარეა ხვედრი ჩემი სახლისა!“ — ვხადოდი.

ჰოი, აგურნი ჩემი ურისანი, ჩამოქცეულნი და დანგრეულნი!

ჰოი, მარჯული სახლი ჩემი, ქალაქი ნანგრევებად ქცეული ჩემი!

ნანგრევთა შორის მარჯული სახლისა ჩემის, დაქცეულის,

განრთხმულვარ წინაშე შენსა,

ვითარცა დაცემული ხარი ვედარ წამოვდგე შენი გალავნიდან.

ვთა ჩემდა აგება მისი ამაო, დაცემა სასტიკი!

ჰოი, ური ჩემი, ქალბატონისა, სად ტაძარში

მსხვერპლი წაშერთვა!

ჰოი, ენუნქუგი, ტაძარი ცეცხლისა ჩემი, სიუხვედაშრეტოლი!

ჰოი, ქალაქი ჩემი აგებულად აღარჩასათვლელი,

უბრალოდ დაღუპული!

დაქცეული და დაღუპული ჩემი, უბრალოდ დაღუპული!

მ ო ძ ა ხ ი ლ ი : „ვთა შენდა სახლო ჩემო!

ვთა შენდა ქალაქო ჩემო!“

VIII

ნინ შაზუ აგიმ დუმუ ზაე აგიმ ითილენ

ნინგალ შაზუ აგიმ დუმუ ზაე აგიმ ითილენ

ჰოი, დედოფალო, დასთხიე ვითარცა წყალი გული შენი,

აწ ვითლა ცოცხალ ხარ?

ჰოი, ნინგალ, დასთხიე ვითარცა წყალი გული შენი!

აწ ვითლა ცოცხალ ხარ?

ჰოი, წრფელო ქალბატონო, ვის ქალაქი დაგექცა,

აწ ვითლა ეგები?

ჰოი, ნინგალ, ვის ქვეყანა დაგედუბა, დასთხიე ვითარცა

წყალი გული შენი!

რალაი დაიქცა ქალაქი შენი, აწ ვითლა ეგები?

რალაი დაიქცა სახლი შენი, დასთხიე ვითარცა წყალი გული შენი!

ქალაქი შენი უცხო ქალაქად გარდაიქცა,

აწ ვითლა ეგები?

სახლი შენი სახლად საგოდებლად გარდაიქცა,
დასთხიე ვითარცა წყალი გული შენი
პოი, ქალაქი შენი ნანგრევებად ქცეული, —
აღარ სუფიე მუნ მისდა დედოფლად!
ვეღარ იმკვიდრებ მუნ მისდა მკვიდრად!

პოი, ერი შენი მოწყვედილი, —
ვეღარ შეხვალ მათდა ქალბატონად!
ცრემლი შენი უცხო ცრემლად გარდაიქცა, —
აღარ მოთქვამს ქვეყანა შენი!
გარეშე მუდარის ცრემლებიხა ხალხი შენი უცხო
მზარეს დაემკვიდრა!

პოი, ქალაქი შენი ნანგრევებად ქცეული, —
აწ ვითლა ეგები?

სახლი შენი საძოვრად ქცეული, —
დასთხიე ვითარცა წყალი გული შენი!
ური, ტაძარი, ქარს მიეცა, — აწ ვითლა ეგები?
მღღელი მისი მხიარულად აღარ ვალს, —

დასთხიე, ვითარცა წყალი გული შენი!
ქურუმი საყდარში აღარ იყოფის, — აწ ვითლა ეგები?
ღვთისმსახური, სხურებათა მოქმედი, აღარ ახსურებს.
პოი, მამფალო ნანარ, წესთა შენთა წმიდა საყდარში
აღარ გისრულებენ!

შენი მღღელთმთავარი შენს წმიდა გიგუნაში სელის სამოსელით
აღარ იმოსება!

წრფელი ქალქურუმი შენი, ექიშნუგალში ღებნით მოხმობილი,
საყდრიდან გიპარად მხიარულად აღარ ვალს.
ახუში, სახლში დღესასწაულთა, დღესასწაულთ აღარ მართავენ,
სანთურს და ებანს, გულის განსაცხრომელთ, აღარ გიხმინებენ,
შავთავიანნი დღესასწაულზე წყალს აღარ გიღვრიან,
დამცხრალა ხმები დიდებულთა სახიობათა.

ფური შენი ბოსელში აღარ შედენეს, ერბო მისი აღარ მოგიშაადეს,
ცხვარი შენი ფარეხში აღარ დგას, რძე მისი აღარ მოგიწველეს.

შენი ერბო ბოსლიდან შენთვის აღარ მოაქვთ, ვიდრემდე?

შენი რძე ფარეხიდან შენთვის აღარ მოაქვთ, ვიდრემდე?

შენს გზებზე, ეტლთა სარბიელზე, მთის ბალახი აღმოცენდა.

პოი, დედოფალო ჩემო, ქალაქი შენი, ვითარცა მგლოვიარე დედა,
მოსთქვამს შენ გამოს!

ური, ვითარცა გზაბნეული ბავშვი. შენს წიაღს ეძიებს,
სახლი შენი, ვითარცა კაცი ყოვლის დამკარგავი, ზღლებს გიწვდის,
აგურნი შენი მარჯული სახლისა კაცებრ გზადიან: „სად ხარ?“
პოი, დედოფალო, სახლიდან გასულხარ, ქალაქიდან გასულხარ!
ვიდრემდის იღებები, ვითარცა უცხო, კიდევან შენი ქალაქისა?

დედაო ნინგალ, ვიდრემდის მტერობ ვითარცა მტერი

შენს ქალაქში?

ჰოი, სანატრელო დედოფალო შენი ქალაქისა, ქალაქი

შენი დაგიგდია,

ჰოი, დედაო ნინგალ, სანატრელო შენი ერისა, ერი შენი დაგიგდია!

ჰოი, დედაო ნინგალ, შემოიქეც, ვითარცა ფური შენი ბოსლისაქენ,

ვითარცა ცხოვარი შენი ფარეხისაქენ!

შემოიქეც, ვითარცა ფური შენი უწინდელი ბოსლისაქენ,

ვითარცა ცხოვარი შენი ფარეხისაქენ!

ვითარცა ჩვილი ბავშვი შენი კალთისაქენ!

ჰოი, ქალწულო, შენი სახლისაქენ შემოიქეც!

დაე, ენლილმა, ღმერთების მეუფემ, გიბრძანოს „კმარასი“

დაე ენლილმა, ქვეყანათა მეუფემ, კეთილი ბედი შემოგიბრუნოს!

ქალაქი შენი თავის ადგილს დაუბრუნოს,

ადასრულო დედუფლობა მისი!

ური თავის ადგილს დაუბრუნოს,

ადასრულო დედუფლობა მისი!

მ ო ძ ა ხ ი ლ ი: „სჯულნი ჩემნი უცხოთად შეიცვალნენ“.

IX

ე უდეუდე ქალამ ურა მინიბრი

უგალანაქე უგუღუბღუბი

ვაგლახი ქარიშხლებმა ქვეყანა წარღვნეს, —

ცის დიდმა ქარიშხალმა, მიწყვი მოღრიალე ქარიშხალმა,

ქარიშხალმა ქალაქთა დამქცევმა, ქარიშხალმა ტაძართა დამქცევმა,

ქარიშხალმა ბოსელთა დამქცევმა, ქარიშხალმა ფარეხთა დამქცევმა,

წმიდა სჯულდებათა ხელმყოფელთა ქვეყანა წარღვნეს,

უწმიდურ ხელით წესების წარმყვნილთა ქვეყანა წარღვნეს,

ქვეყნისაგან ნათლის მომწყვეტელთა ქვეყანა წარღვნეს,

შავთავიანთათვის ნათლის ამკრძალველთა ქვეყანა წარღვნეს.

მ ო ძ ა ხ ი ლ ი: „ქარიშხლებმა ქვეყანა წარღვნეს“.

X

უ დამ ხუზუ უ შეშ ნუზუ

უღ ამა ნუზუ უღ აა ნუზუ

ქარიშხალმა დედის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა მამის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა ცოლის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა შვილის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა დის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა ძმის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,

ქარიშხალმა უძლურის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,
ქარიშხალმა მძლავრის უმეცარმა ქვეყანა წარღვნა,
ქარიშხალმა, რომლის გამო ცოლი მიატოვეს, ქვეყანა წარღვნა,
ქარიშხალმა, რომლის გამო შვილი მიატოვეს, ქვეყანა წარღვნა.
ქარიშხალმა ქვეყანად ნათლის წარმხოცელმა ქვეყანა წარღვნა,
ყოველთა ქარიშხალთა ქვეყანა წარღვნეს.
მაშფალო ნანარ, ქარიშხალი შენს ქალაქში დაშკვიდრდა.
შავთავიანი ხალხი შენი შენ შემოგყურებს, —
ცისა და ხმელის ყოველთა იძვრისთა, შავთავიანთა შაოხარი,
დაე ქარიშხალი იგი ერთბამად განადგურდეს!
კარი, ვითარცა ღამის კარიბჭისა, მიეხუროს!
დაე ქარიშხალი იგი რიცხვთა შორის არ შეირაცხოს!

მ ო ძ ა ხ ი ლ ი: „შორეულ დღეთა მიმართ,
სხვა დღეთა მიმართ...“

X I

უღ უღ ქალამ ქიგარათა
ნანარ ლუ გუნა გირზე მუნდიბა

“შორეულ დღეთაგან, ქვეყნის დასაბამით,
ნანარ, რომელი უხევენბლივ გჯას ადგიხარ,
ცრემლი მათი ნაგვემი სახლისა შენდა მოვალს,
გაფანტულნი შავთავიანნი განერთხმიან წინაშე შენსა!
დანგრეული ქალაქი შენი შენ შემოგტირის!
ჰოი, ნანარ, აღდგენილი ქალაქი შენი დიდებით ვიდოდეს
წინაშე შენსა!
ვითარცა ბრწყინვალე მთიები, ჩაუმქრალად ვიდოდეს,
წინაშე შენსა!

კაცი მლოცველი ლოცვას ადგივლენდეს!
მშორველს წრფელი თვალით გარდამოხედადეს!
ჰოი, ნანარ, ვისი გამქოლი მჭერა მიმოიხილავს ყოველთა გულთა,
გული ხალხისა აწ შეპირვებული ილხენდეს წინაშე შენსა!
გული შუმერის ქვეყანად მკვიდრთა სათნო იყოს წინაშე შენსა!
ჰოი, ნანარ, შენი ქალაქი თავის ადგილისკენ
მიქცეული გადიდებდეს!

გიბილ აბქალ ქურა ილა
ურსაგ დუმუ აბზუა ქურა ილა
(შ უ მ.)


გიბილ აბქალუმ შა ინა მათი შაკუ
კარრადუ მარ აპსი შა ინა მათი შაკუ.
(ა ქ ა დ.)

გიბილ, არმურო ქვეუნად ავარდნილო,
გმირო, აბზუს ძეო, ქვეუნად ავარდნილო,
გიბილ, ალი შენი წმიდა, ელვარე
ბნელეთის სახლში ნათელს ამკვიდრებს,
ყოველი არსი შენგნითვე მკვიდრობს.

ბრინჯაოს, თითბერს შენ გამოადნობ,
ოქროსა და ვერცხლს შენ გამოახურებ.
ღვთაება ნინქასის თანამდგომი ხარ,
ღამით მავნეთა უკუშქცევიელი ხარ.

განასპეტაკე ასონი კაციხა,
საკუთარი ღვთაების ძისა.

ცასავით განაბრწყინე,
მიწასავით განწმინდე,
ცის წიაღივით განაბრწყინე.
ბოროტი ენა არ მიეკაროს!



(ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი)

ენუმა ელიშ ლა ნაბუ შამამე
შაფლიშ ამმათუმ შუმა ლა ზაქრათ

როს ზემოთ ზეცა არ იყო ხმობილი,
დაბლა სამყაროს სახელი არ ერქვა,
ოდეს არც ერთი ღმერთი არ ჩანდა,
სახელი არ ერქვათ, ბედი არ ეწერათ,
არ იყო საყდარი, არც საკურთხეველი, —
აბაჟუ პირველი მათი ჩამთეხველი
და თიამათი მშობელი ყოველთა მათთა
თავ-თავიანთ წყლებს ერთად ურევდნენ, —
მას შემდგომ იშვნენ ღმერთნი მათ წიაღში:
ლახამუ და ლახამუ გამოჩნდნენ, სახელი ეწოდათ.
ხოლო ხანი რა მრავალი გამოხდა,
ანშარ და ქიშარ წარმოიშვნენ, მათ აღმატნენ.
დღეთ დღენი მიჰყვნენ, წლებს წლები:
შეიქმნა ანუ პირმშო მათი, მშობელთა ორანი,
რამეთუ ანშარმა თვისდა ხატად შექმნა.
ხოლო ანუმ ხატი თვისი შექმნა ნუდიმმულ,
ნუდიმმულ ბელადი თვისთა წინაპართა,
ვრცელაზროვანი, ბრძენთაბრძენი, ძლიერი,
უმძლავრე ვიდრე მშობელი ანშარ,
არ ჰყავდა მეტოქე ღმერთთა შორის.
მაშინ შემოკრბენ ძმები — ღმერთები,
და ანდურუნას წიაღში მიღამო სრბოლით
შეაშფოთეს თიამათის შიგანი.

აბზუმ ვერ ჩაახშო ხმაური მათი,
 და თიამათი დაუღუმდა მათ საქციელს.
 არ იყო კეთილ ზნე მათი, განლალდნენ.
 მაშინ აბზუ, შემოქმედი დიდი ღმერთებისა,
 მოუხმობს მუშმუს, თანამზრახველს, ეტყვის:
 „მუშმუ. მატკობელო ჩემი ღვიძლისა,
 წამო, თიამათთან წავიდეთ!“
 წავიდნენ, თიამათის წინაშე დასხდნენ,
 განსაჯეს ღმერთნი, მათი პირმშონი.
 აბზუმ ალალო პირი თვისი
 და თიამათს ხმამალა ეტყვის:
 „ვეღარ დავითმინე საქციელი მათი:
 დღისით ვერ ვისვენებ, არ მძინავს ღამით.
 მოვსპობ, აღმოვუხვრი მათ საქციელს,
 სიჩუმე დამკვიდრდეს, მაშინ ვიძინოთ!“
 რა ესმა თიამათს სიტყვები ესე,
 განჩინდა, შეჰყვირა ქმარს თვისას.
 იყვირა მწაჩედ გამძვინვებულმა,
 სიავით აღივსო შიგანი მისი:
 „რად მოვსპოთ ჩვენივე დანაბადნი
 ბოროტი ზნე მათი, მშვიდად დავითმინოთ!“
 აწ მუშმუ მიუგებს აბზუს და ურჩევს:
 „მოსპე, მამავ ჩემო, ზნე უკეთური!
 დღისით მოისვენებ, ღამით დაიძინებ“.

რა ესმა აბზუს, სახე გაუნათდა,
 ავი რომ იზრახეს შვილების მიმართ.
 და რაც განიზრახეს თავიანთ კრებულში,
 ღმერთებს, წათ პირმშოთ, ეუწყათ ყოველი.
 ისმინეს ღმერთებმა და შეშფოთდნენ,
 ხმა შეიკავეს, მდუმარედ დასხდნენ.
 ვრცელაზროვანი და ბრძენთაბრძენი,
 ყოვლისმცოდნე ეა ზრახვებს მიუხვდა,
 შეუთხზა ყოვლადმძლავრი წმიდა შელოცვა,
 შეულოცა, ძალი გაუქარწყლა,
 ძილი მიუღვარა, ღრმად დააძინა,
 რა დააძინა აბზუ ძილმიღვრილი,
 შეუხსნა სარტყელი, გვირგვინი აჰხადა,
 ნათელი წაართვა, თვით შეიმოსა,
 შემდგომ შებორკა აბზუ და მოკლა.
 აბზუს დააშყარა თვისი სადგომი.
 მუშმუც შეიპყრო, ლაგამი ამოსდო.
 რა ემ შებორკა, დათრგუნა ბოროტნი,
 რა გაიმარჯვა მოსისხარ მტრებზე,

თავის სამყოფელში მშვიდად მოისვენა,
უწოდა „აბზუ“, ტაძრად განსაზღვრა,
მის ადგილს თვისი გიპარუ დააფუძნა,
დამქინასთან, მის ცალთან, დიდებით დაივანა.
ბედისწერის ბინაში, განგების სადგურში,
ღმერთთა უბრძნესი ღმერთი ჩაისახა,
აბზუს წიაღში იშვა მარდუქი,
წმიდა აბზუს წიაღში იშვა მარდუქი,
შექქმნა იგი ეამ, მამამ მისმა,
დაბადა დამქინამ, დედამ მისმა,
აწოვებინა ქალღმერთთა ძუძუ,
ძიძამ საშინელი ელვით შემოსა.
გრძნეულია ანაგები მისი,
მოკაშკაშეა თვალნი მისნი.
რა მამამ მისმა, ეამ, იხილა,
გაბრწყინდა, გული სიხარულით აევსო,
სრულაქყო, ორმაგი ღვთაებობა მიანიჭა,
რათა ყველა ღმერთს აღმატებულიყო.
არანახულად გამშვენდნენ მისნი ასონი,
შეცნობად შეუძლო, ხედვად დია ძნელი:
ოთხი თვალნი მისნი, ოთხი ყურნი მისნი,
ცეცხლისმფრქვეველი ბაგენი მისნი.
განივრცნენ ოთხნი ყურნი მისნი,
მსგავსადე თვალნიც ყოველთა საქვრეტად.
ამაღლდა ღმერთთა ზედა ვრცელი სხეულით.
„მარი დაუთუ, მარი დაუთუ!
მარ შამში, შამშუ შა შამი!“
(ძე ჩემი, ძე ჩემი!
ძე მზისა, მზე ცისა!)

ანუმ ოთხი ქარი გამოუშვა,
ასწია ტალღები, აამღვრია თიამათი,
აიმღვრა თიამათი, შფოთავდა ღლითა და ღამით,
გამწარდნენ ღმერთნი, ქარივით მიმოქროდნენ.
მაშინ განიჭრაბა ბოროტი მათმა შიგანმა,
თიამათს, მშობელს, სიტყვა უთხრეს:
„ოდეს აბზუს, ქმარს შენსას, კლავდნენ,
თან არ ხლებიხარ, მღუმარედ იქექ.
აწ შფოთავს შიგანი შენი, ვერ ვისვენებთ.
დაე, გახსოვდეს აბზუ, ქმარი შენი,
და მუმმუ, რომელი შებორკილი ზის!“

სათნო ეყო თიამათს სიტყვები ესე.

შემოკრბენ, თიამათის მხარეს ამხედრდნენ,
მრისხანე შეთქმულნი, დღითა და ღამით მოუსვენარნი.
დედა ხუბურმა, ყოვლის წარმომქმნელმა,
განაჩინა უბადლო იარაღი, შვა ურჩხულები,
მახვილი კბილნი, უწყალო ეშვები,
შხამით აღავსო, ვითარცა სისხლით,
მძვინვარე უშუმგალო შიში შემოსა,
ელვით შეკურვა, ღმერთებს დაამსგავსა,
რათა შეძრწუნდნენ მკვრეტელნი მისნი.
დასხა გველეშაპი, ურჩხული ლახამუ,
მყუფარე ძაღლი, ლომი, მორიელ-კაცი,
ქარაშოტები, თევზკაცა, ქუსარიკუ.
უწყალო იარაღის მტვირთველნი, ბრძოლის უშიშნი.
ღმერთთა შორის, საკრებულოში,
ქინგუ აღამაღლა, მათზე აღაწევა,
ძლოლა ლაშქრისა, კრებულის წარმართვა,
მის ხელს მიანდო, საკრებულოს დასვა.
„შეგილოცე, აღაწევე ღმერთთა კრებულში,
ღმერთებზე უფლებით ხელი აგვიხე.
იღიდე, მეუღლეო ჩემო ერთადერთო!
იღიდოს სახელი შენი ანუნაქთა შორის!“
მისცა ბედისწერის დაფები, მკერდს მიუმაგრა.
„არ შეიცვალოს ბრძანება შენი,
მტკიცე იყოს სიტყვა შენი!“

სრულქმნა თიამათმა თვისი დანახაზი,
საკუთარ მოდგმასთან ბრძოლად შეეშადა,
აბზუს შურისგებად გაბოროტდა.
ეუწყა ეას ბრძოლის სამზადისი,
რა შეესმა ეას ამბავი ესე,
შიშმა გააშეშა, მღუმარედ დაქდა.
ხოლო რა განსაჯა, რა დაცხრა რისხვა მისი,
ანშარისაკენ, თვისი მამისა, გაემართა.
ანშარის წინაშე, მშობელი მამისა, მი-რა-ვიდა,
ყოველი განწრახვა თიამათისა აუწყა:
„მამავ ჩემო, დამბადლებელმა შეგვიძულა,
კრებული შექყარა, ავად მძვინვარებს.
ყოველი ღმერთი გარსშემოკრებიან,
თვით შენგან შექმნილნი მის მხარეს ვლენან,
შეიკრიბნენ და თიამათს შეუდგნენ“.

რა ესმა ანშარს თიამათის ამღვრევა,
თქმოებზე ხელნი შემოირტყა, ბაგენი დაიკბინა,

განძვინდა გული მისი, აღშფოთდა შიგანი მისი.
„წარვედ, სასტიკებად შეემზადე,
იარალი, რომელი შეგიქმნია, თან ატარე
მოგიკლავს აბზუ, მუშმუ შეგიბორკავს,
აწ მოქალ ქინგუ, სპათა წინამძლოლი!“
ამგვარად ეტყვის ნუდიმშულ ანშარს:
„არ ძალმიცს ქინგუს წინაღდგომად!“

მაშინ ანშარი რისხვით იყვირებს,
ანუს მოუხმობს, ძეს თვისას:
„მოვედ, მძლეთამძლეო გმირო!
ძალი ვისიც აღზევებულა, კვეთება — უსწორო!
წადი, თიამათის წინაშე წარდექი
დამშვიდდეს ღვიძლი მისი, განელდეს გული მისი.
უკეთუ არ ისმინა სიტყვა შენი,
სიტყვა ჩვენი მოახსენე, ვინძლო დამშვიდდეს!“
რა ისმინა ანშარის ნათქვამი, მამამისის,
კვალს მისას მიბჰყვა, გზად გაემართა.
მიუახლოვდა, მიხვდა თიამათის ზრახვას,
ვერ შეძლო წინაღდგომა, უკან დაბრუნდა.
წარუდგა შემკრთალი თვის მშობელს ანშარს,
ასე მოახსენა თიამათის შესახებ:
„მკლავი მომერღვა თიამათის მკვერეტელს“.
გაშეშდა ანშარი, მიწას დააშტერდა,
შეკრებილიყო ყოველი ანუნაქი,
ბაგენი მოეყუმათ, მღუმარედ ისხდნენ.
„ვერა ღმერთი ვერ წავა საბრძოლველად,
თიამათის წინაშე სიცოცხლეს ვერ იხსნის!“
მაშინ ანშარი, ღმერთთა მამა, დიდებულად აღდგა,
გულს ედვა თხრობად ანუნაქთა მიმართ:
„მძლეთამძლე, მამის შურისმგებელი,
გმირი მარდუქია, მცოდნე ბრძოლისა!“
ცამ მარდუქს იღუმალ უხმო,
აუწყა ზრახვა თვისი გულისა:
„მარდუქ, გულისხმაჰყავ მამაშენის რჩევა,
მის გულს შენ დააცხრობ, ძეო ჩემო!
ბრძოლად გამზადილი წარუდექ ანშარს,
სიტყვას ეტყვი, ვინძლო დამშვიდდეს!“
მამის ნათქვამმა გაახარა უფალი,
მიეახლა, წარდგა ანშარის წინაშე.
შეხედა ანშარმა, გული სიტკბოებით აღევსო,
პირზე აკოცა, შიში განეშორა.
„ანშარ, ნუ ღუმხარ, გახსენ ბაგე შენი

წავალ, აღგისრულებ გულის საწადელს.
 რომელი კაცი გაგიხედავს ბრძოლას?
 თიამათი — ღიაცო გიმხედრდება!
 მამავ, შემომქმედო, იხარებდე და ნეტარებდი
 თიამათის ქედს მალე დათრგუნავ!
 მამავ, შემომქმედო, იხარებდე და ნეტარებდი!“
 თიამათის მკერდს მალე დათრგუნავ!“
 „ძეო ჩემო, რომელმა ყოველი სიბრძნე უწყო,
 თიამათი დააცხრე წმიდა შელოცვით“.
 გაახარა უფალი წინაპრის ნათქვამმა,
 გახალისდა, მამამისს ეტყვის:
 „ღმერთო უფალო, ბედისწერავ დიდი ღმერთებისა!
 უკეთო თქვენი შურისმგებელი ვარ,
 შევბორკავ თიამათს და გადაგარჩენთი
 შეპყარე კრებული. წილი განმივრცე.
 უფმუქინაში მხიარულად სხედხართ, —
 ჩემი სიტყვა თქვენ ნაცულად ბედს წყვეტდეს!
 არ შეიცვალოს რასაც კი შევქმნის
 არ უკუიქცეს სიტყვა ბაგეთა ჩემთა!“

ანშარმა აღაღო პირი თვისი,
 გაგას, თანამზრახველს, ეტყვის:
 „გაგა, მატკობოლო ჩემი ღვიძლისა!
 ლახმუ-ლახამუსკენ წარგავლენ,
 გონიერ ხარ, ძალგიდევს თხრობად,
 ღმერთები, წინაპრები ჩემი, მომიყვანე,
 ყველა ღმერთი ჩემთან მოვიდეს.
 შეიკრიბონ, ნადიმად დასხდნენ,
 პური ჭამონ, სასმელი შესვან.
 მარდუქს, შურისმგებელს, ბედი განუსაზღვრონ.
 დაიძარ, გაგა, მათ წინაშე წარდექი
 რაც გითხრა, ყოველი განუმეორე:
 ანშარმა, თქვენმა ძემ, მომავლინა,
 თვისი განზრახვის თხრობა დამავალა:
 თიამათმა, დამბადებელმა, შეგვიძულა,
 კრებული შეპყარა, ავად მძვინვარებს,
 ყოველი ღმერთი გარსშემოკრებია,
 თვით შენგან შექმნილნი მის მხარეს ვლენან,
 შეიკრიბნენ და თიამათს შეუდგნენ.
 გავგზავნე ანუ, ვერ შეძლო წინაღდგომა,
 ნუღიმშულიც შეშინდა, უკუიქცა,
 შემდგომ მარდუქი აღიძრა, ძე თქვენი ბრძენთაბრძენი,
 გულმა მისმა თიამათთან წასვლა განიზრახა,
 ე:

აღაღო პირი თვისი, ასე მეტყვის:
უკეთუ თქვენი შურისმგებელი ვარ,
რათა შევბორკო თიამათი, გიხსნათ,
შეპყარე კრებული, წილი განმივრცი
უფშუქინაში, სად შვებით სხედხართ,
ჩემი სიტყვა თქვენ ნაცვლად ბედს წყვეტდეს!
არ შეიცვალოს, რასაც კი შევქმნი
არ უკუიქცეს სიტყვა ბაგეთა ჩემთა!
სწრაფლ შემოიქეც, ბედი დავუსაზღვროთ,
რათა წავიდეს წინაღღგომად თქვენი მტერისა“.

წავიდა გაგა, გზას გაუდგა,
ლახმუ-ლახამუსკენ, თვისთა წინაპართა.
მიეახლა, მიწას ემთხვია მათ ფერხთა ქვეშე,
კვლა მოიხარა, წამოდგა, ეტყვის:
„ანშარმა, თქვენმა ძემ, მომავლინა,
თვისი განწრახვის თხრობა დამავალა;
თიამათმა, დამბადებელმა, შეგვიძულა,
კრებული შეპყარა, აჲად მძვინვარებს,
ყოველი ღმერთი გარსშემოკრებია,
თვით შენგან შექმნილნი მის მხარეს ვლენან,
შეიკრიბნენ და თიამათს შეუდგნენ.
გავგზავნე ანუ, ვერ შეძლო წინაღღგომა,
ნუდიმშუდიც შეშინდა, უკუიქცა,
შემდგომ მარდუქი აღიძრა, ძე თქვენი ბრძენთაბრძენი,
გულმა მისმა თიამათთან წასვლა განიწრახა,
აღაღო პირი თვისი, ასე მეტყვის:
„უკეთუ თქვენი შურისმგებელი ვარ,
რათა შევბორკო თიამათი, გიხსნათ,
შეპყარე კრებული, წილი განმივრცი
უფშუქინაში, სად შვებით სხედხართ,
ჩემი სიტყვა თქვენ ნაცვლად ბედს წყვეტდეს!
არ შეიცვალოს, რასაც კი შევქმნი
არ უკუიქცეს სიტყვა ბაგეთა ჩემთა!“
სწრაფლ შემოიქეც, ბედი დავუსაზღვრეთ,
რათა წავიდეს წინაღღგომად თქვენი მტერისა“.

რა ესმათ ლახმუს და ლახამუს, ხმამაღლა იყვირეს,
მწარედ მოთქვამდა ყოველი იგიგი.
„უცხო რამ წრახვა განუწრახავს,
ვერ შევიცნეთ თიამათის საქმე“.
შეიყარნენ და წავიდნენ
დიდ-დიდნი ღმერთნი ბედის დამსაზღვრავნი.
შევიდნენ ანშართან, უფშუქინა აავსეს,

რა შეხვდნენ ერთურთს, გადაკოცნეს.
 შეიკრიბნენ, ნაღმად დასხდნენ,
 პური ჭამეს, სასმელი შესვეს.
 ტკბილმა სასმელმა შიში გაუქარწყლა,
 ღვინით გაიჟღინთა სხეული მათი,
 განიშვეს, ღვიძლი მოეღხინათ,
 მარდუქს, შურისმგებელს, ბედს უსაზღვრავენ.
 დაუდგეს დიდებული საყდარი,
 წინაპართა წინაშე ბელადად დამკვიდრდა.
 „ღირსეული ხარ დიდ ღმერთებს შორის,
 ხვედრი შენი უსწოროა, სიტყვა შენი ან უი
 მარდუქ, ღირსეულ ხარ დიდ ღმერთებს შორის,
 ხვედრი შენი უსწოროა, სიტყვა შენი — ან უი
 ამიერიდან არ წარბდება ნათქვამი შენი,
 აღდგინება და დამხოება შენს ხელთაა.
 მტკიცე გექმნეს ბაგეთნაშობი, სიტყვა არ გეცროუს,
 ვერა ღმერთმა ვერ გადალახოს საზღვარი შენი
 მარდუქ, შურისმგებელი ხარ ჩვენი,
 მოგეცით მეფობა სამყაროთა ზედა.
 ზიხარ საკრებულოს, სიტყვა აგიმალღდეს!
 არ მოგეცაროს ლახვარი შენი,
 დაილახვროს მტერი შენი
 უფალო, იხსენ მოსავენი შენნი,
 ავს შეუღლებულნი ღმერთნი დააკციე!“
 დაჟინეს მის წინაშე კვართი ერთი,
 მარდუქს, პირმშოს, ასე ეტყვიან:
 „უფალო, ხვედრით ღმერთებს აღემატე:
 მოსპობა-შექმნა ბრძანე, აღსრულდება
 აღაღე პირი, კვართი მოისპობა!
 კვლავ ბრძანე, კვართი განმრთელდება!“
 ბრძანა, და კვართი განადგურდა,
 კვლავ ბრძანა, კვართი ხელახლა შეიქმნა.
 რა ნახეს საქმე მისთა ბაგეთა,
 აკურთხეს ღმერთებმა: „მეფეა მარდუქ!“
 მიართვეს კვერთხი, ტახტი და ფაღა,
 მიართვეს ლახვარი, მტერთა შემმუსვრიელი.
 „წადი, თიამათს სული ამოჰხადე,
 ხისხლი მისი უკვალოდ გაქრეს!“
 რა დაუსაზღვრეს ბედი წინაპარებმა,
 მშვიდობის გზაზე დააყენეს ლაშქრობად.
 შექმნა შვილდ-ისარი, საქურვლად იჩინა,
 ისარი წამახა, ლარი დაჭიმა,
 აიღო კომბალი, მარჯვენით იპურა,

შვილდი და კაპარკი გვერდზე გადიკიდა.
 წარმოშვა ელვა წინაშე თვისსა,
 მგზნებარე ალმა ტანი დაუფარა.
 მოქსელა ბადე თიამათის შეპყრობად,
 შეტყარა ქარნი ოთხივე კიღისა,
 რათა თიამათი არსად გაქცეოდა.
 გამორეკა შვიდი ქარი, თვისი ქმნილებანი, —
 თიამათისკენ ამხედრებულს უკან დაედევნენ.
 ხელთ იპყრა უფალმა ა ბ უ ბ უ — დიდი საქურველი,
 ქარიშხლის ეტლზე, შემწარავზე, ამხედრდა.
 სხივოსანი მოსასხამი მოსავს,
 შემწარავი ელვა თავს ადგას.
 ასე გაემართა უფალი, გზას გაუდგა,
 ავი თიამათის მიმართ სახე მიმართა,
 მაშინ გაედევნენ ღმერთები, გაედევნენ,
 მისი წინაპრები გაედევნენ, ღმერთები გაედევნენ.
 მიეახლა, უკვერეტს თიამათის წიაღს,
 და ქინგუს, მისი ქმრის, განწრახვას ზეერავს.
 აღმართა უფალმა ა ბ უ ბ უ, საქურველი,
 მძვინვარე თიამათს ამგვარად შესძახა:
 „დიდებული ხარ, მალლა ავლენილი,
 შენს გულს განუწრახავს ქმნა სასტიკებისა,
 ღმერთნი, რომელნი მამებს აწუხებდნენ,
 შეიძულე, დასაღუპად გაწირე.
 საქმაროდ ქინგუ აღგიზევებია,
 ნება მისი უზენაეს ნებად გიქცევია,
 ღმერთების მიმართ, ჩემთა მამათა, ბოროტს იწრახავ.
 შეტყურვილა მხედრობა შენი, იარალი შენი აუსხამს.
 აღდეგ, სასტიკებით შევებათ ერთმანეთს!“
 რა ესმა თიამათს ესე ყოველი,
 ძალი მოიკრიბა, ცნობა გაიფხიწლა.
 იყვირა თიამათმა მძვინვარედ, ხმამალლა,
 ფუძემდღე შეიძრნენ მისინი კიღურნი.
 წართქვა შელოცვა, გრძნება მოიხმარა,
 ბრძოლის ღმერთებმა მახვილნი წამახეს.
 შეიბნეს თიამათ და ბელადი მარდუქ:
 ისროლა ბადე: თიამათი გააბა,
 ქარი უკანმქროლი მის სახეს მიჰბერა,
 დაალო ხახა თიამათმა შთახანთქმელად,
 ქარი შეუშვა, ველარ შეძლო პირის მოკუმვა,
 მძვინვარე ქარებმა შიგანი აუვსეს.
 გასივდა წიაღი მისი, ხახა დაეფჩინა,
 მარდუქმა ისრით შიგანი გაუპო,

გაკვეთა წიაღი მისი, გული ამოგლიჯა,
დათრგუნა, სუნთქვა შეუნწყვიტა,
განართხა გვამი მისი, ზედ შედგა.
რა თიამათი, წინამძღოლი, მოკლა,—
მხედრობა დაუშო, კრებული გაუფანტა.
ხოლო ღმერთნი, თიამათის შემწენი,
შეძრწუნებულნი უკუიქცეოდნენ,
განილტოდნენ სიცოცხლის სახსნელად,
მაგრამ გარემოცულთ ვერ შეძლეს გაქცევა.
დაატყვევა მარდუქმა. საჭურველი დაუღუნა,
ბადეში შთაცვიცლან. მახეში გაებნენ,
ბნელში ეყარნენ გლოვით აღსავსენი.
ხოლო ქინგუ, რომელი აღაზევებს, მათ კრებულში,
დათრგუნა, დაღუპულ ღმერთებში შერაცხა.
წართვა დაფა ბედისწერისა, მისი არალირსი,
ბექდით დაბეჭდა, მკერდზე მიიმაგრა.
რა მოსპო ყოველი მტერი ანშარისა,
ნუღიმშუღის ნება რა სრულპყო მარდუქმა,
დაცემულ თიამათის მიმართ უკუიქცა.
დაჭედა უფალმა თიამათის ფუძე,
უწყალო კომბლით ქალა ჩაუმტვრია,
ამოუძირკვა სისხლის ძარღვები,
ქარს გაატანა დასაკარგავში.
იხილეს მამებმა, იშვეს, განიხარეს,
ძღვენი და სალაში მიართვეს მარდუქს.

განქვრიტა უფალმა თიამათის გვამი,
გაქრა ურჩხული, ნივთნი მშვენიერნი შეტქმნა,
გაკვეთა ორწილად ვითარცა თევზი,
ერთი ნახევრით ზეცა გადახურა,
მოკიმა კიღენი, მცველები დაუსხა,
უბრძანა თვალყური: მის წყლებს არ ედინათ.
ცანი მოიარა, ადგილები მიმოიხილა:
ნუღიმშუღის სადგომი აბზუს გაუსწორა.
გაზომა უფალმა აბზუს სივრცენი,
აბზუს ორანი — ეშარა — დაამყარა,
დიდ ტაძრად, ეშარად, რომელი ცად შეტქმნა,
ანუ, ინლილი და ეა შეიყვანა.
დასახა სადგომი დიდი ღმერთებისთვის,
მათი ვარსკვლავები ეტლად დაუდგინა,
წელი განაჩინა, საზღვრები დაუსაზღვრა,
თორმეტ თვეს სამი ვარსკვლავედი მიუჩინა.
რა წელიწადის დღენი მოხაზა,

დაამყარა კომკომელის სადგური,
 მის გვერდით ენლილის და ეას სადგურნი.
 გახსნა კარიბჭენი ცის ორთავ კიდეს,
 მარცხნივ და მარჯვნივ კარედნი მიუბა.
 ზეცის შუაგულში აზიდა ზენადი.*
 მთვარე ამოანთო, მფლობელად ღამისა,
 ღამის ქმნილება დღეთა აღსარიცხად განსაზღვრა.
 „თვე ყოველ შეუწყვეტლივ გვირგვინით იარე,
 თვის დასაწყისში ქვეყნად გამოჩენისას,
 რქა აახშიანე ნიშნად ღლისა ექვისისა,
 მიშვიდე დღეზე ნახევარი გვირგვინი გქონდეს.
 მოვანებისას მზეს გაუსწორდო თვის შუაძალში,
 ოდეს მზე ცის კიდეზე მოგისწრებს,
 შარავანდის სხივი მოიკლე, უკან მოიქციე,
 დაბნელების დღეს მზის გზას მიეხლე,
 ოცდამეცხრე დღეს მზეს კვლავ გაუსწორდი“.

• •

რა ესმა მარდუქს ღმერთების სიტყვა,
 მშვენიერ ნივთთა შექმნა განიზრახა.
 აღაღო პირი თვისი, ეას ეუბნება,
 ზრახვას, გულის პასუხს, აუწყებს:
 „სისხლს შევადიდებ, ძვალს წარმოვექმნი,
 დავსვამ ლულულუს, კაცი იქნება სახელი მისი,
 დაეკისროთ ღმერთთა სამსახური,
 ხოლო ღმერთებმა, დაე განისვენონ
 ღმერთთა ზნეს შეცვლი, სახიერ ვაჟოვ,
 თანაბრად ღირსნი ორად განიყენენ!“
 ეუბნა ეა, ამგვარად მიუგო,
 ღმერთების შეებაზე სხვა ზრახვას აუწყებს:
 „ერთი გაიცეს ღმერთი ძმათა შორის,
 იგი დაილუპოს და ხალხი შეიქმნას
 შეიყარონ დიდ-დიდი ღმერთები,
 ცოდვილი გაიცეს, სხვანი გადარჩენენ!“
 შეპყარა მარდუქმა დიდ-დიდი ღმერთები,
 კეთილად ბრძანებს, განაჩენს იძლევა,
 მის სიტყვას ღმერთები ყურს მიაპყრობენ.

* ზენიტი.

მეფე ანუნაქებს სიტყვას ეუბნება:
„ვაგიმართლდათ წინანდელი ნაზრახი,
სიმართლე. რაც გითქვამთ, აწ მეუწყა.
ვინ იყო იგი, სასტიკების ამტეხი?
ვინ აამხედრა თიამათი, ბრძოლა ვინ განაწყო?
გაიცეს იგი, სასტიკების ამტეხი!
შათი ცოდვისაებრ მიეზღვებათ, მშვილად ისხედით!“
ამჯვარად მიუგეს იგიგებმა, ღიღმა ღმერთებმა,
ლუვალ-ღიმმერ-ანქის, ღმერთების მრჩეველს:
„ქინგუ იყო სასტიკების ამტეხი,
ვინც აამხედრა თიამათი, ბრძოლა ვინც განაწყო!“
შებორკეს ქინგუ, ტას მიუყვანეს,
ცოდვილად შერაცხეს, სისხლი ამოართვის,
მისი ხისხლისგან კაცთა მოდგმა შექმნეს,
ღმერთების სამსახური შიანდეს,
მაშინ განისვენეს ღიღმა ღმერთებმა.
საქმე ესე შეუძლოა შეცნობად.

იშთარის ჩასვლა ქვესკნელად

ანა მათ და თათართი კაკარი რაფში
იშთარ მართ სინ უზუნშა იშქუნ

მოუსაველეთისკენ, ვრცელ მიწის წიაღად,
იშთარმა, სინის ასულმა, მიმართა ზრახვა.
მიმართა ზრახვა სინის ასულმა ქვესკნელად,
წყვდიადის სახლად, ირქალას ბინად,
სახლად, სად შემსვლელი უკან ვერ გამოდის,
გზად, რომლის ბილიკნი უკან არ ბრუნდება,
სახლად, სად შემსვლელთ სინათლე წაერთვათ,
მტვერი აქვთ სასმელად, ტალახი — საზრდოდ,
ნათლის ვერმქვრეტელნი წყვდიადში სხედან,
მოსავეთ ფრინველებრ ნაკრტენის სამოსი,
კარებს და ურდულს მტვერი აფენია.
ოდეს მიაღვა იშთარი კარს მოუსაველეთისას,
მეკარეს სიტყვას ეუბნება:

„მეკარევ, გახსენ კარი შენი!

გახსენ კარი შენი, შემოვიდე!

უკეთუ არ გახსენ კარი და ვერ შემოვიდე,
კარელს შეგილეწავ, შეგიმტვრევ ურდულს,
ზღურბლს შეგილეწავ, კარედებს შეგიმტვრევ
მკვდრებს ამოვიყვან ცოცხლების შემქმელთ,
და მკვდრები ცოცხლებს აღემატებიან!“

აღალო მეკარემ პირი, ამეტყველდა,

ახე ეუბნება დიდებულ იშთარს:

„შესდექ, ქალბატონო, კარს ნუ ჩამოაგდებ!
წავალ, შენს სახელს მოვახსენებ დედოფალ
ერეშქიგალს“.

შევიდა მეკარე, ერეშქიგალს ეტყვის:

„შენე, კარს უკან იცდის დაჟ შენი იშთარ,
იგო, დიდებულ ზეიმთა გამრიგე“.

რა მოისმინა ეს ერეშქიგალმა

მოკრიდ ფინიკივით სახე გაუფიფრდა,

დაუეუილ ლერწამივით ბაგე გაულურჯდა.

„რა განუზრახავს მის გულს ჩემდამო?“

რა ჩაუთქვამს ჩემ წინააღმდეგ?

შებედე, ვით ვზი ანუნაქთა შორის,

პურის წილ ტალახს ვკვამ,

ლუღის წილ წუმბეს ვსვამ!

ვიგლოვო ყრმანი შეყვარებულთ განშორებულნი?

ვიგლოვო ქალწულნი შეყვარებულთ წიალს მოწყვეტილნი?

ვითირო ჩვილნი უდროოდ წაგვრილნი?

წადი, მეკარევ, გახსენ კარი შენი!

იშთარს ძველისძველნი წესნი აღუსრულე“.

წავიდა მეკარე, გახსნა კარი თვისი.

„შემოდი, ქალბატონო, ქუთუ-ქალაქმა შენით იხაროს!

სასახლე მოუსავლეთისა იშვებდეს შენ წინაშე!“

პირველ კარში შეიყვანა, მოჰხადა გვირგვინი დიდი.

„რატომ მომხადე, მეკარევ, გვირგვინი დიდი?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მეორე კარში შეიყვანა, აართვა საყურენი.

„რატომ ამართვი, მეკარევ, საყურენი?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მესამე კარში შეიყვანა, შეხსნა უელსაბამი.

„რატომ შემხსენი, მეკარევ, უელსაბამი?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მეოთხე კარში შეიყვანა, აართვა მკერდის სამკაულნი.

„რატომ ამართვი, მეკარევ, მკერდის სამკაულნი?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მეხუთე კარში შეიყვანა, წელიდან ხარტყელი შეხსნა.

„რატომ შემხსენი, მეკარევ, წელიდან ხარტყელი?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მექვსე კარში შეიყვანა, შეხსნა ხალტენი ხელთა და ფერხთა.

„რატომ შემხსენი, მეკარევ, ხალტენი ხელთა და ფერხთა?“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

მეშვიდე კარში შეიყვანა, მოჰხადა ხარცხვინელთა სამოსი.

„რატომ მომხადე, მეკარევ, ხარცხვინელთა სამოსი.“

„შედი, ქალბატონო, ასეთია წესი ქვესკნელის დედოფლისა!“

ოდეს იშთარი მოუსავლეთს შთახდა,
ერეშქიგალი იხილა, წარდგა მის წინაშე,
არ დაფიქრდა იშთარი, მის წინაშე დაჯდა.
აღაღო პირი ერეშქიგალმა, ამეტყველდა,
თავის ვეზირს, ნამთარს, სიტყვას ეუბნება:
„ნამთარ, წაიყვანე, ჩემს სასახლეში ჩაკეტე იგი!
შეპყარე იშთარს სამოცი სენი:
სენი თვალისა — თვალთა მისთა,
სენი მხარისა — მხართა მისთა,
სენი ფერხისა — ფერხთა მისთა,
სენი გულისა — გულსა მისსა,
შეპყარე სენი მთელ სხეულს მისას“.
რა შთახდა მოუსავლეთს ქალბატონი იშთარი,
ხარ-ფურნი აღარ ხურაობენ,
ქალწულს ყრმაწული აღარ ეუღლება,
სძინავს ყრმაწულს თვისად საწოლში,
სძინავს ქალწულს საქალბოში.

დიდი ღმერთების პაპა-სუქალს სახე დაუბნელდა,
ძაძა შეიმოსა, ფლანგები მოისხა.
მიდის პაპა-სუქალი მამამისთან, სინთან, მტირალი,
მეუფე ეას წინაშე იღვრება ცრემლი მისი:
„იშთარი ქვესკნელად შთახდა, ველარ ამოდის.
რა შთახდა მოუსავლეთს იშთარი,
ხარ-ფურნი აღარ ხურაობენ,
ქალწულს ყრმაწული აღარ ეუღლება,
სძინავს ყრმაწულს თვისად საწოლში,
სძინავს ქალწულს თვისად საქალბოში“.
ეამ ბრძენ გულში აზრი ჩაისახა,
შექმნა აცუშუნამირ, ცვედანი.
„წარვედ, აცუშუნამირ, ქვესკნელის კარს მიაპყარ სახე,
ქვესკნელის შვიდი კარი შენ წინაშე განიხვნება.
გიხილავს ერეშქიგალი, გაუხარდები.
რა დაცხრება გული მისი,
რა მოილხენს ღვიძლი მისი,
თავი აღმართე, ვაშრაპებს გახედე.
„ქალბატონო, ვაშრაპი მომცენ, წყალი შევსვა!“

რა მოისმინა ეს ერეშქიგალმა,
თქმობებზე ხელი შემოირტყა, თითზე იკბინა.
„აუსრულდებელ სათხოვარს მოითხოვ!“

განვედ. აცუშუნამირ, წყუელიმცა ხარი
ქალაქის არხში ეძებდე საზრდელს
ქალაქის ჭურჭლიდან სვამდე სახმელს
ზღუდის ჩრდილი სადგომად გეკმნეს
ზღურბლი სამყოფელად გეკმნეს
მთვრალი და ფხიზელი ლოყაზე გცემდეს!“
ალალო კვლავ პირი ერეშქიგალმა, ამეტყველდა,
ნამთარს, თავის ვეზირს, სიტყვას ეუბნება:
წადი, ნამთარ, ეგალგინას კარზე დარეკე,
ზღურბლი ძვირფასი თვლებით შეამკო,
ანუნაქები გამოიყვანი, ოქროს ტახტზე დასხი,
იშთარს ასხურე წყალი ცხოველი, აქ მომგვარე!“
წავიდა ნამთარი, ეგალგინას კარზე დარეკა,
ზღურბლი ძვირფასი თვლებით შეამკო,
ანუნაქები გამოიყვანა, ოქროს ტახტზე დასხა,
იშთარს ასხურა წყალი ცხოველი, წაიყვანა.
პირველ კარში გაიყვანა. დაუბრუნა სარცხვინელთა სამოსი.
მეორე კარში გაიყვანა, დაუბრუნა სალტენი ხელთა და ფერხთა.
მესამე კარში გაიყვანა, დაუბრუნა წელის სარტყელი.
მეოთხე კარში გაიყვანა, დაუბრუნა მკერდის სამკაულნი.
მესუთე კარში გაიყვანა, დაუბრუნა ყელსაბამი.
მეექვსე კარში გაიყვანა, დაუბრუნა საუურენი.
მეშვიდე კარში გაიყვანა, დაუბრუნა დიდი გვირგვინი.

„თამუზი, სატრფო მისი სიყრმისა,
წმიდა წულით განბანე, სცხე ზეთი სურნელი.
მეწამული სამოსით შემოსე,
ლილაქვის სტვირი დაუბრუნე.
შამხათებმა მოალხინონ სული მისი!“

ოდეს ბელილი აახხამდა თავის ყელსაბამს,
თვლებით სავსე იყო მისი კალთა.
და რა შემოესმა ძმის გამო გოდება
გაწყვიტა ბელილიმ ყელსაბამი,
და თვლებმა მიწის პირი დაუფარეს.
„ნუ შემაქირვებ, ძმაო ჩემო, ერთადერთო!“

ოდეს თამუზი ამოვა ქვესენელიდან,
ლილაქვის სტვირიც თან ამოჰყვება,
თან ამოჰყვებიან მოტირალნი კაცნი და დიაცნი,
მკედრებიც ამოვლენ, საკმევილის სურნელებას იყნოსენ!

თაშიმთუმ ირშა უ....
კიბისსუ ქიმა კიბით ანიმ

ბედის გამრიგემ და სიბრძნის უფალმა,
ვისი ბრძანებაც ანუს ბრძანებაა,
საქვერეტად ქვეყნის ბედისწერათა
ვრცელი გონებით სრულჰყო ადაჰა.
მაგრამ მარტოოდენ სიბრძნე მიანიჭა,
მარადი სიცოცხლე არ მიანიჭა.

მრავალთა დღეთა და წელთა წინათ
ბრძენთაბრძენი, კაცი ერიდული
ემ კაცთა მოდგმის ბელადად შექმნა,
მოდღვრად, ვის სიტყვას ვერვინ შერყვნიდა.
ვრცელაწროვანი შორის ანუნაქთა,
უბიწო, წმიდახელიანი, მცხებელი ქურუმი,
ღვთაებრივ წესთა გამრიგე იყო.
მცხობლებთან ერთად პურს აცხობდა,
ერიდუს მცხობლებთან ერთად პურს აცხობდა.
საწარდელს და სასმელს ერიდუსთვის მარად აშაადებდა,
წმიდა ხელებით ტაბლას განაწყობდა,
გარეშე მისა ტაბლა არ ალაგდებოდა.
ტაძრის ხომალდის საქეს მართავდა,
ერიდუსთვის ხათევწაოდ გადიოდა.

ურთხელ ადაპამ, ერიღუელმა,
რა დაღვა უამი განსვენებისა,
რა დაიგმანა ერიღუს ჰიშკრები,
წმიდა უურეში, ნანარის უურეში,
შეაგდო ხომალდი თვისი.
ოდეს დაპბერა კეთილმა ქარმა
გზას შეუდგა ხომალდი მისი.
ნიჩბით მართავდა ხომალდს ადაპა
და ასე შეცურდა ვრცელ ოკეანეში.
ზღვა კრიალებდა, ვითარცა სარკე...
მოულოდნელად ატყდა ქარიშხალი,
ხამხრეთის ქარმა ხომალდს დაუბერა
და ჩაძირა თევზთა სამყოფელში.
გული აღევსო წყრომით ადაპას,
სასტიკად დაწუველა ხამხრეთის ქარი:
„ხამხრეთის ქარო, საშველად შენდა,
მოიხმე ძმები, ვინც კი გისხენანი
უნდა დავლენო მე ფრთენი შენნი“.
რაწამს წარმოთქვა სიტყვები ესე,
ფრთენი დაიღუწა ქარს ხამხრეთისას.
შვიდ დღეს არ ქროდა ხამხრეთის ქარი.

ანუშ მოუხმო თვის მსახურს, ილაბრათხ:
„შვიდ დღეს რად არ ქრის ხამხრეთის ქარი?“
ასე მიუგებხ მსახური ილაბრათ:
„უფალო, ადაპამ, ერიღუელმა,
ქარს ხამხრეთისას ფრთენი დაუღუწა“.
რა ესმა ანუხ სიტყვები ესე,
შესძახა: „მშველილი“ ტახტიდან წამოდგა:
„აქ მოგვარეთ ადაპა, კაცი იგი“

აწ ეამ, ვინც უწყის ზეცის საქმენი,
მზრუნველი ხელი მოჰკიდა ადაპას,
ადაპას თმები მოაზრდევინა,
სამგლოვიარო ძაძა შემოსა,
და შთააგონა სიტყვები ესე:
„ადაპა, მეუფე ანუხთან მიდიხარ,
ნათქვაში ჩემი შეიგონე:
ოდეს ცად ახვალ, ანუხ კარიბჭეს მიაღგები,
ანუხ კარიბჭესთან თამუში და გიშვიდა დაგხვდებიან,
დაგინახავენ, შეგეკითხებიან:
კაცო, ვის გამო შექმნილხარ ასე?
ადაპა, ვის გამო შემოსილხარ ძაძით?

მიუგებ:

ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა...

მათ გამო შევქმნილვარ ასე,

მათ გამო შეემოსილვარ ძაძით.

შეგეკითხებიან:

ვინ ორი ღმერთი დაიკარგა ქვეყნიდან?

მიუგებ:

თამუზი და გიშზიდა.

ერთურთს შეხედავენ, გაიღიმებენ,

და კეთილ სიტყვას ეტყვიან ანუს,

ანუს მწყალობელ სახეს გიჩვენებენ.

ოდეს წარდგები ანუს წინაშე,

სიკვდილის საქმელს მოგიტანენ, არ ჰამო!

სიკვდილის ხასმელს მოგიტანენ, არ შესვა!

სამოსელს მოგიტანენ, შეიმოსე!

ნელსაცხებელს მოგიტანენ, ტანს იცხე!

რჩევა, რაც გირჩიე, არ დაივიწყო,

სიტყვა, რაც გითხარ, შეიგონე!"

მაშინ მოვიდა ანუსგან მაცნე,

ანუს ბრძანება მოიტანა:

„აქ მომგვარეთ ადაპა, კაცი იგი,

ვინც ქარს სამხრეთისას ფრთენი დაულეწა!“

ზეცის გზად დააყენა, ზეცად აიყვანა.

ზეცად ასვლისას,

ანუს კარიბჭესთან მიღვამისას,

თამუზი და გიშზიდა ანუს კარიბჭესთან დახვდნენ.

ოდეს დაინახეს ადაპა, შესძახეს:

„კაცო, ვის გამო შექმნილხარ ასე?

„ადაპა, ვის გამო შეემოსილხარ ძაძით?“

„ჩვენი ქვეყნიდან ორი ღმერთი დაიკარგა.

მათ გამო შევქმნილვარ ასე,

მათ გამო შეემოსილვარ ძაძით“.

„ვინ ორი ღმერთი დაიკარგა ქვეყნიდან?“

„თამუზი და გიშზიდა“.

ერთურთს გადახედეს და გაიღიმეს.

ოდეს ადაპა მეთუფე ანუს წინაშე წარდგა,

შეხედა ანუმ და შესძახა:

„რად დაულეწე, ადაპა, სამხრეთის ქარს ფრთენი?“

ასე მიუგებს ადაპა ანუს:

„შუაგულ ზღვაში, უფალო ჩემო,

ეას ტაძრისათვის თევზს ვიჭერდი.

ზღვა ხარკესავით კრიალებდა,
მაგრამ უეცრად ატყდა ქარიშხალი,
სამხრეთის ქარმა ხომალდს დაუბერა
და ჩაძირა თევზთა სამყოფელში.
ამად დაწყველე სამხრეთის ქარი“.
დადგნენ მის მეოხად თამუზი და გიშვიდა,
კეთილი ხიტყვები მიუთხრეს ანუს.
დადუმდა ანუ. გული დაუცხრა.
„რად გაუმჟღავნა უღირს კაცისშვილს
ეამ წიაღი ცათა და მიწისა?
რად განაღდა, სახელი რად მისცა?
აწ რაი ვუყოთ ჩვენ კაცსა ამას?
სიცოცხლის საკმელი მიუტანეთ, შექამოს!“
სიცოცხლის საკმელი მიუტანეს, არ შექამა.
სიცოცხლის სასმელი მიუტანეს, არ შესვა..
სამოსელი მიუტანეს, შეიმოსა.
ნელსაცხებელი მიუტანეს, ტანს იცხო.
შეხედა ანუმ, გაუკვირდა:
„ეჰა, ადაჰა, რად არ შექამე, რად არ შესვი?
ამიერიდან ველარ იცოცხლებ...“
„ეამ, უფალმა ჩემმა შთამაგონა:
არ შემეკამა, არც შემესვა“.

აღალო ანუმ პირი და წარმოთქვა:
„წაიყვანეთ, უკან დააბრუნეთ,
მის მიწიერ სადგომზე დასვით!..“

(ეშგარ ეტანა შა ფი ლუ-ნანნა)

გ ვ ე ლ ი დ ა ა რ წ ი ვ ი

გველი და არწივი ერთმანეთს შეხედნენ.
აღაღო არწივმა პირი, გველს ეუბნება:
„გული მიწევს შენთან მეგობრობად“.
აღაღო გველმა პირი, არწივს ეუბნება:
„დაუნდობელი ხარ შენ, არწივო!
ძლიერ ავსულებს და ეშმათ ანადგურებ.
მოდო, მე და შენ მთად ავიდეთ,
ბარი დავტოვოთ, ურთიერთს შეეფიცოთ“.
ასე მოიქცნენ გველი და არწივი,
შამაშის წინაშე წარმოთქვეს ფიცი:
„რომელმა გადუხვიოს შამაშის გზისგან,
დაე, შეეკრას მთის გადასასვლელი,
ბილიკი დაეკარგოს, გზა ვეღარ გაიგნოს,
შუბი განმგმირავი მისკენ მიიმართოს!
ვრცელია ბადე გმირი შამაშისა.
უვრცელეს ხმელეთს ეფინება იგი,
შორეულ ზეცას მოიცავს იგი.
შამაშის ბადეს თავს ვინ დააღწევს?
თვით ავი ანზუ მას ვერ გაექცა!“
ასე შეჭფიცეს გველმა და არწივმა,
ქმნეს მეგობრობა ურთიერთს შორის
და წადილი თავიანთი გულისა
ურთიერთს განუცხადეს.

ხის ჩრდილქვეშ შობა გველმა,
ხის მწვერვალზე იბარტყა არწივმა.
გველი გადიოდა სანადიროდ...

ოდეს გველი შეიპყრობდა ძროხას ან ცხვარს,
არწივი კვებავდა თავის მართვეს.
ოდეს გველი შეიპყრობდა თხას ანუ ქურციკს,
არწივი კვებავდა თავის მართვეს.
და ოდეს მართვე არწივისა
სრულიქმნა ასაკით და ტანით,
და ოდეს მომძლავრდნენ ფრთენი მისნი,
არწივმა თვის გულში ბოროტი იზრახა,
ბოროტი იზრახა არწივის გულმა,
მოუვასის შვილთა შექმა განიზრახა:
„სრულიქმნა მართვე ჩემი ასაკით და ტანით,
მომძლავრდნენ ფრთენი მისნი,
აწ შორს გაფრინდება საზრდოს საძებრად.
ხოლო მე შევკამ გველის წიწილებს,
აფრინდები და ზეცად ავალ,
ქ დავიმკვიდრებ სამყოფელს ჩემსახ,
ვინლა იქნება მხოვნელი ჩემი?
გული გველისა ვერას მიხვდება“.
მცირე მართვე მისი, ვრცელაზროვანი,
არწივს, მამამისს, სიტყვას ეუბნება:
„ნუ შეკამ, მამავ, გველის წიწილებს,
შამაშის ბაღეში გაიხვევი,
შევიპყრობს ბაღე შამაშის ფიცისა.
შამაშის მცნებათაგან გარდამხდლომი
შამაშის ხელითვე ბოროტად ისჯება!“
არ შეისმინა სიტყვები იგი,
არ შეისმინა მართვეს ნათქვამი,
დაეშვა, შეკამა გველის წიწილები.

ამ ამბის შემდგომ შუადღის უამსა
გველი ბრუნდებოდა თავის წიწილებთან,
მოქონდა ტვირთად საზრდელი მათი.
და რა იხილა ბუდე ანგრეული,
რომ აღარ იყვნენ მისი წიწილები,
მუის მიხვდა გველი არწივის საქმეს.
შამაშის წინაშე დაღვარა ცრემლები,
და ასე იტყოდა შამაშის მიმართ:
„შენ შეგივრდები, ჰოი, გმირო შამაში
ამბავი მომაქვს არწივის საქმისა,
არწივის მზაკვრობა უნდა განგიცხადო:
მარადლე ფიცის ერთგული ვიყავ,
ავი არ მიზრახავს ჩემი მეგობრისთვის.
მრთელია ბუდე მისი, ჩემი — დანგრეული,

მართელია მართვე მისი,
წიწილნი ჩემნი კი აღარ მისხენან.
მან ბუდე ჩემი იღუმალ მოძებნა...
ოღეს მე არ ვიყავ ჩემს წიწილებთან,
დაეშვა, შექამა ჩემი წიწილები.
ჩემდამო ბოროტი მიუზღე, შამაში
შამაშ, ვრცელია ბადე შენი,
უვრცელეს ხმელეთს ეფინება იგი.
შამაშ, ვრცელია ბადე შენი,
შორეულ ზეცას მოიცავს იგი.
მაგა ბადისგან თავს ვინ დააღწევს?
თვით ავი ანჭუ მას ვერ გაექცა!
ნუ გაექცევა შენს ბადეს არწივიც,
ბოროტის მქნელი და მწყკარი,
ვინც ავი იზრახა თვისი მოყვასისთვის!''

შეიწყნარა შამაშმა გველის ვედრება,
აღაღო პირი, გველს ეუბნება:
„გაბჰვი გზასა და მთა გაღიარე,
გზაზე ხარის ლემს დაგახვედრებ.
მუცელი გაუფატრე, ფაშეში შეუძვერ,
და მის შიგანში მოიწყვე ბინა.
ცის ყველა ფრინველი ქვე დაეშება
გემოსხილვად ხარის ლემისა.
არწივიც მათთან ერთად დაეშება,
რადგან ვერ მიხვდება შენს სამყოფელს,
გვამში შესასვლელს დაუწყებს ძებნას.
ოღეს შეაღწევს იგი მის შიგანში,
არ დააყოვნო, ფრთებზე მოეკიდე,
დაუგლიჭე ფრთენი, და ნაკრტენი,
მხარი მოსტეხე, ორმოში ჩააგდე.
დაე, კვდებოდეს მშიერ-მწყურვალი“.

რა ესმა გმირი შამაშის სიტყვები,
გველი გზას გაბჰეა და მთა გაღიარა.
ლემს ხარისას მიადგა გველი,
მუცელი გაუფატრა და ფაშეში შეუძვრა,
და მის შიგანში მოიწყუ ბინა.
ცის ყველა ფრინველი ქვე დაეშვა.
ნუთუ ვერ მიხვდება არწივი მახეს, —
ნუთუ ფრინველებთან ერთად ხარის ლემს შექამს?
აღაღო არწივმა პირი, მართვეს ეუბნება:
„დავფრინდეთ, ვქამოთ ამ ხარის ზორცო“.

მცირე მართვე, ვრცელაზროვანი,
არწივს, მამამისს, სიტყვას ეუბნება:
„ნუ ჩახვალ, მამაჩემო, ვინძლო იმ ხარში
გველი არ იყოს მოკალათებული!“
არ შეისმინა სიტყვები იგი,
არ შეისმინა მართვეს ნათქვამი.
ქვე დაეშვა და ხარს დააფრინდა.
წვერავს არწივი ლემს ხარისას,
და წინ და უკან იმწირება.
და რა მიაგნო ფაშვში შესასვლელს,
ხარის შიგანში შევიდა არწივი.
სწრაფ გველი ფრთებზე მოეჭიდა.
აღალო არწივმა პირი, გველს ეუბნება:
„ოღონდ შემინწყალე, რასაც მთხოვ, მოგცემ“.
აღალო გველმა პირი, არწივს ეტყვის:
„უკეთუ გაგიშვი, რა ვუთხრა უწენაეს შამაშს?
სასქელი შენი ჩემდა მოიქცევა,
სასქელი, რაიც უნდა დაგაკისრო“.
დაუგლიჯა ფრთენი და ნაკრტენი,
მხარი მოსტება, ორმოში ჩააგდო,
რათა მომკვდარიყო მშიერ-მწყურვალნი.

მას შემდეგ არწივი შამაშს ევედრება:
„ნუთუ ორმოში უნდა დავიღუპო?
ვინ უწყის სასქელის ჩემის სიმძიმე?
იხსენ სიცოცხლე ჩემი, არწივისა,
და სახელს შენსას მარად მოვიხსენებ!“
აღალო შამაშმა ბაგე, არწივს ეუბნება:
„ბოროტ ხარ, მძიმედ მაწყენინე,
ღმერთებისგან ნაკრძალი გიჭამია.
თუნდაც შემომფიცო, არ მოგივალ!
ბა კაცი ერთი, მას მოგივლენ,
იგი გექნება ხელისმპყრობელად“.

მ ბ ა ნ ა

ეტანა მარადღე ევედრება შამაშს:
„შენ შეგეწირა ჩემი პოხილი ცხვარი,
ჩემ კრავთა სისხლი მიწაში უონავს.
ხომ ვცემდი თაყვანს მე ღიად ღმერთებს,
ღემონებს ხომ პატის ვცემდი“

ქალქურუმები მსხვერპლს მიწირავდნენ.
აღმოხდეს კურთხევა შენთა ბაგეთი
მომანიქე მე ბალახი შობისა
მიჩვენე მე ბალახი შობისა
სიბერწე აღმომიფხარ, სახელი განმიმტკიცე!“
აღალო შამაშმა პირი, ეტყვის ეტანას:
„გზას გაპყევ, მთა გადაიარე,
გზად ორმო შეგხვდება, შიგ ჩაიხედღე:
ორმოში გღია არწივი ერთი,
იგი გაპოვნინებს ბალახს შობისას“.
რა ესმა გმირი შამაშის სიტყვა,
გზას გაპყვა ეტანა, მთა გადაიარა,
გზად ორმო შეხვდა, შიგ ჩაიხედა,
შიგ ეგდო არწივი ფრთებდაღეწილი,
შაშას განეჩინა მისთვის იქ ლოდინი.
და რა იხილა არწივმა ეტანა,
აღალო პირი, ეტყვის ეტანას:
„რად მოსულხარ, ეტანა, რა გაგპირებები?“
აღალო ეტანამ პირი, არწივს ეუბნება:
„ძმობილო, მომეც ბალახი შობისა,
მიჩვენე ბალახი შობისა!
სიბერწე აღმომიფხარ, სახელი განმიმტკიცე!“
შეხედა არწივმა და ეტყვის ეტანას:
„თუ ჰეშმარიტად ეტანა ხარ, ცხოვართა მეუფე!
თუ ჰეშმარიტად ეტანა ხარ, ცხოვართა მწყემსი!
ამომიყვანე ამ ორმოს სიღრმიდან,
მომეც ბალახი ვანკურნებისა,
დაღეწილი ფრთენი გამიმრთელე.
მაშინ მოგანიქებ შთამომავლობას“.

ამგვარად ეტყვის არწივი ეტანას:
„წამო, აგიყვანო უმაღლეს ცაზე.
ჩემს მკერდს მოაყრდენ ზურგი შენი,
ჩემს ფრთებს მოაყრდენ მკლავები შენი,
ჩემს მხრებს მოაყრდენ მხრები შენი!“
ისმინა ეტანამ არწივის სიტყვები:
მის მკერდს მოაყრდენო ზურგი თვისი,
მის ფრთებს მოაყრდენო მკლავები თვისი,
მის მხრებს მოაყრდენო მხრები თვისი.
მძიმე შეიქნა არწივის ტვირთი.
ოდეს ამაღლდნენ ერთ ბერუს მანძილზე,
ამგვარად ეტყვის არწივი ეტანას:

„ჩახედე, ძმობილო, ვითარ ჩანს ხმელეთი,
ზღვას გადახედე, ექურის ნაპირთი“
„ხმელეთი მოჩანს უმცირეს ბორცვად,
ზღვა გარეუვლის ვითარცა გუბე“.
ოღეს ამაღლდნენ ორ ბერუს მანძილზე,
ამგვარად ეტყვის არწივი ეტანას:
„ჩახედე, ძმობილო, ვითარ ჩანს ხმელეთი“
„ხმელეთი, ძმობილო, თვალს ეფარება“
ოღეს ამაღლდნენ სამ ბერუს მანძილზე,
ამგვარად ეტყვის არწივი ეტანას:
„ჩახედე, ძმობილო, ვითარ ჩანს ხმელეთი“
„ირგვლივ ვიხედები, ხმელეთი არ ჩანს,
ვრცელი ზღვის კვალსაც ვერ მოვკარ თვალთი
ძმობილო, ზესვლა აღარ შემიძლია,
ქვემოთ დამართე აწ ფრენა შენი“
ისმინა არწივმა ეტანას ვედრება...
ერთ ბერუს მანძილზე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთად ეშვება ეტანა.
ორ ბერუს მანძილზე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთად ეშვება ეტანა.
სამ ბერუს მანძილზე დაეშვა არწივი,
და მასთან ერთად ეშვება ეტანა.
ბოლოს მიაღწიეს ზურგს ხმელეთისას,
მიწას დაენარცბა ეტანა,
კვლავ ზეცად აფრინდა არწივი...

.

უსაღლიქი ბელით ბელეთი ილათ ილათი
იშთარ შარრათი ქულლათ დადმე

შენ გესავ, ქალბატონთა ქალბატონო, ქალღმერთთა ქალღმერთო
იშთარ, დედოფალ ხარ ყოველთა საყოფელთა,
წარმმართველი კაცთა მოდგმისა
ირინინი, ძლევამოსილ ხარ, იგივთა შორის უზრუნველნი
მნათობი ცათა და ხმელისა, სინის გულოვანი ასული
ვარსკვლავი საბრძოლო შეძახილთა,
წამყიდებელი შეთანხმებულ ძმათა,
მოყვასთა მტრებად შემცვალებელი
ქალბატონი ბრძოლის ველისა, ქვესენელის მრქენელი!
გუშეა, ომით შემოსილი, შიშით შებურვილი.
ხალოცავნი, საკურთხეველნი შენ გელიან.
სად არა ჰგიეს სახელი შენი, სად არა ჰგიეს სჭული შენი?
სად არ დახატულა ხატი შენი, სად არ დადგმულა
საყდარი შენი?

მოხედავ განძარცულთა, დაცემულთა დღენიდავ წყალობს
შენგან არს წყალობა, ქალბატონო ცათა და ხმელისა,
ქალღმერთო, მწყემსო დანისლულ ხალხთა
შენგან არს წყალობა, წმიდა ენახ დედოფალო,
ქალბატონო ბრწყინვალე ბედელთა
ბრწყინვალე ლომო იგიგებისავ,
დამარცხებულო მძვინვარე ღმერთთა!

ელვარე ხანთელო ცათა და ხმელისა,
 სხვიო უოველთა სამკვიდრებელთა
 ამხდელი პირბადისა ქალწულთაგანი
 შამაკათა ქალღმერთო, დიაცთა იშთარი
 შემოგლალადე დამაშვრალმა, სნეულმა მონამ.
 მომხედე, ქალბატონო ჩემო, შეიწყნარე ვედრება ჩემი.
 სიწრფობით მომხედე, ბრძანე წყალობა ჩემი
 წყალობა შეძრული სხეულისა ჩემის,
 რომელი სავსეა შფოთით და აღრევით!
 წყალობა სნეული გულისა ჩემის,
 რომელი სავსეა ცრემლით და ვაებით
 წყალობა დამწუხრებული სახლისა ჩემის,
 რომელი შეაქირვა გოდებამი
 ირინითუ, მძვინვარე ძუ ლომო, გული დაიცხერი
 მრისხანე ფურო, გუნება გაიხხენი
 განდევნე უკეთურებანი ჩემი ტანიდან
 ქალბატონო ჩემო, ვიდრემდის უნდა იზაკვიდნენ ჩემ მომართ?
 ვიდრემდის უნდა უხაროდეს მღევარსა ჩემსა?
 ფარფატებს სული ჩემი, ვითარცა ფრინველი ცათა,
 ჰკენისი, ვითარცა ტრედი ღამით და დღისით.
 რა შეეცოდე, ღმერთო ჩემო, ქალბატონო ჩემო?
 ვითარცა უშიში ჩემი ღმრთისა და ქალღმერთისა შევიქენი
 უხედავ შავ დღეებს, ქალბატონო ჩემო,
 ბნელითმოცულ თვეებსა და წლებს გულისწყრომათა
 დუმს სალოცავი ჩემი, დუმს საყდარი ჩემი.
 დუმილი დაღვრილა ჩემს სახლზე და კარშიდამოწე.
 განადგურდა გვარი ჩემი, კერა ჩემი დაივსო.
 ღვთაებამ ჩემმა უცხო ადგილად მიაბრუნა პირი.
 შენ გესავ, ქალბატონო ჩემო, შენკენ მიიქცევა სული ჩემი,
 შენ გევედრები, დამხსენ განკიცხვას,
 დამხსენ ცოდვას, დანაშაულს და შეცოდებას
 ბრძანე ბრძანებითა შენითა, განრისხებული ღმერთი შემირიგე!
 გამწყრალი ქალღმერთი დამიბრუნე!
 დაშრეტილი, მხრჩოლავი კერა კვლავ ამინთე!
 ჩამქრალი ჩირაღდანი კვლავ გამიჩაღე!
 განთესილი მოდგმა ჩემი შემიკრიბე!
 ფარეხი განმვივრე, გაღავანი გაშიფართოვე!
 ვიდრემდის იქნები ქალბატონო ჩემო, მრისხანე და
 სახემიქცეული?
 ვიდრემდის იქნები, ქალბატონო ჩემო, მკსინვარე და
 გულგამწყრალი?
 მოაბრუნე ქედი შენი უკუმიქცეული,
 ჩემდა სასიკეთოდ მომართე პირი შენი!

ლოცვა-ვედრებანი ჩემნი მოგდიოდნენ დაუბრკოლებლივ
დიდნი წყალობანი შენნი მომეფინოს
ჩემმა მკვრეტელმა სახელი შენი განადიდოს
ხოლო მე შავთავიანთ შენს სიკველეს გამოვეუცხადებ
მაღალ არს იშთარ, დედუფალ არს იშთარი
მაღალ არს ქალბატონი, დედუფალ არს ქალბატონი
ირინის, კველ ასულს სინისას, არ უვის ტოლი

(ლოცვა ხელაპყრობით იშთარისადმი)

ე ა შ ა მ ა შ მ ა რ დ უ ჯ მ ი ნ ა ა რ ნ ი

ე ა, შ ა მ ა შ ღ ა მ ა რ დ უ ჯ, რ ა შ ი გ ა ნ ა რ ს ც ო დ ვ ა ჩ ი მ ა ?
უ ლ ზ ო რ ი რ ა მ ე შ ე მ ე მ თ ხ ვ ი ა, მ ა ვ ნ ე მ შ ე მ ბ ო რ კ ა.
მ ა მ ა ჩ ი მ ს შ ე ვ ე უ ჯ მ ნ ი ვ ა რ, დ ე დ ა ჩ ი მ ს ვ უ შ ო ბ ი ვ ა რ, —
ჩ ი მ გ ა მ ო ე ლ მ ო დ ნ ე ნ, ხ ო ლ ო მ ე გ ვ ე ლ ი ს ა ე ბ რ მ ტ რ ა დ ვ ე ქ ი ც ი.
ბ ნ ე ლ ე თ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ე ლ ღ ა გ ი ხ ი ლ ე შ ე ნ, ო შ ა მ ა შ !
ა ვ მ ა ქ ა რ მ ა დ ა მ ი გ ლ ი ჭ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ო ბ ე ლ ი,
ქ ა რ ა შ ო ტ მ ა თ ა ვ ი დ ა მ ი დ რ ი კ ა,
ვ ი თ ა რ ც ა ფ რ ი ნ ე ლ ს მ ხ რ ე ბ ი დ ა მ ი ლ ე წ ა,
ფ რ თ ე ნ ი ა მ ო მ გ ლ ი ჭ ა დ ა ვ ე ლ ა რ გ ა ვ ფ რ ი ნ დ ი.
ს ი ძ ა ბ უ ნ ე მ შ ე მ ბ ო რ კ ა მ ე კ ლ ა ვ ე ბ ი,
უ ჯ ლ უ რ ე ბ ა დ ა ე ც ა ჩ ი მ ს მ უ ხ ლ ე ბ ს.
დ ლ ე დ ა ღ ა მ მ ო ვ თ ე ქ ე მ ა, ვ ი თ ა რ ც ა ტ რ ე ლ ი,
ვ ე ვ ნ ე ს ი დ ა ვ ტ ი რ ი ს ა წ უ ა ლ ო ბ ლ ა დ,
ც რ ე მ ლ ი ა რ შ ე ა შ რ ა ჩ ი მ ს თ ვ ა ლ ე ბ ს.
შ ა მ ა შ, შ ო რ ს გ ა ნ ა გ დ ე მ შ ო ბ ე ლ თ ა ც ო დ ვ ა ნ ი
დ ა მ ხ ს ე ნ ქ ა დ ო ს ა გ ა ნ, ე ა ვ, უ ფ ა ლ ო წ ყ ლ ი ს ს ი ღ რ მ ე თ ა
ა ხ ა რ ი ლ უ ხ ი, შ ე ლ ო ც ვ ა თ ა მ ე უ ფ ე ო,
მ რ ა ვ ა ლ ბ ე რ უ თ ა მ ი ღ მ ა გ ა ნ ა გ დ ე ც ო დ ვ ა ნ ი
მ ღ ი ნ ა რ ე მ წ ა რ მ ი ხ ო ც ო ს ც ო დ ვ ა ნ ი, თ ა ნ წ ა ი ღ ო ს |
ე ა, შ ა მ ა შ ღ ა მ ა რ დ უ ჯ, შ ე მ ე წ ი ე თ, შ ე მ ე წ ი ე თ |
გ ა ნ ვ ს ბ ე ტ ა კ დ ე შ ე წ ი ვ ნ ი თ ა თ ე ქ ე ნ ი თ ა,
გ ა ნ ვ ი წ მ ი დ ო შ ე წ ი ვ ნ ი თ ა თ ე ქ ე ნ ი თ ა |

ბულღულუ რუბუ უაზრუ ზიქქურუ
შირითუმ შაქნათ

წვანან დიდებულნი, დამშვიდდენ მოყმენი.

ბინდი ჩამოწვა

დუმს მშფოთვარე მოდგმა კაცისა,

დაიგმანენ განხმულნი კარნი.

სამყაროს ღმერთნი და ქალღმერთნი, —

შამაში, სინი, ადადი და იშთარი

შედიან ციურ სავანეში.

სამართალს აღარ გარდაწყვეტენ,

საქმეთ აღარ განიკითხვენ.

ღამე იბადება ბნელი საშოდან.

სასახლე მიყუჩდა, სადგომნი დადუმდნენ,

განისვენებენ ურიცხვნი დაბანი.

უკანასკნელად იყვირა ნერგალმა

და ძილს მიეცა სამართლის მძებნელი,

მართალთა მეოხი, ობოლთა შამა,

შესულა შამაში თავის სადგომში.

დიდი ღმერთები ღამეულ ჟამისა:

ელვარე გიბილ და გმირი ერა,

მშვილდი და უღელი,

გველი და ურჩხული,

ეტილი და ვაცი,

ვერძი და ვეშაპი,

დაე აღმობრწყინდნენ!

ნარკუ შაქინ შა მიმმა შემშუ

მდინარევ, შემქმნელო ყოველთა ნივთთა,
ოდეს დიდმა ღმერთებმა ამოგთხარეს,
მშვენიერნი ნივთნი მიდამოგისხეს!
შენს წიაღში ეამ, სიღრმის უფალმა, ბინა დაიდო,
წინაღუდგომელი ნიაღვარი ნიქად გიბოძა,
ცეცხლი და რისხვა, ელვა და შიში
ეამ და მარლუქმა გიწყალობეს.
შენ განიკითხავ კაცთა სამართალს.
დიდო მდინარეო, უწესთაესო მდინარეო,
მდინარეო წმიდა საუდართა!
განმწმედელი წულები შენი ცოდვათაგან გვიხსნის.
ყოველი ბილწება ჩემი სხეულისა გარიყე!
ანუ ხილრმეთაკე ჩაძირე!

ბარსიბა ანა შამამი ქი მაშილ
შინნათ შა ეშარრა შაკუ ეზიდა

ზეცას ვით შეჰგავს ბარსიბა ქალაქი,
ეშარას ორანია მაღალი ეზიდა,
ღვთაების ყოვლად საწადელი.
ქალაქის მშვენება — შორთული მტილი,
მწვერვალი მისი — ღრუბელთა მიმწვდომი,
ფუძე მისი — ქვესკნელს ჩაწიდული,
აგური მისი — ძვირფასი სპეკალი,
ქონგური მისი — ოქრო რჩეული,
ზღუდე მისი — სპეტაკი ალბასტრო,
საფირონია ეზიდას სამოსი
ვინც მასში მკვიდრობს, ღმერთთა მწერელია,
ნაბუ, ესაგილას წული,
ატარებს დაფებს ბედისწერათა,
ღმერთებს აღუსრულებს ყოველთა წესთა,
ხელთუპყრავ სამართლის საწერელი,
მარადღე უჭვრეტს შავთავიანებს.
დამკვიდრდი საყდრად, უფლისა წულთ
ტაძარი შენი, მაღალი ეზიდა,
დაე, აღივსოს შენგამო ლხენით!

ტაბთუ შა აშრი ელლი თაბბანუ

ჰე, მარილო, წმიდა ადგილზე ჩასახულო,
ენლილმა ღმერთების საკვებად განგაწესა.
გარეშე შენსა არ სერობს ექური,
გარეშე შენსა არ იუნოსენ საკმეველს ღმერთნი და მეფენი.
მე, შაენი ძე შაენისა, ჯადოსაგან შეკრულვარ,
უფურმა ცხრო და ცხელება შემყარა.
განშაშორე ჯადო, დახსენ კრულება ჩემი. —
უფური განშიდენე ტანიდანს
ხოლო მე, ვითარცა ღმერთს, რომელმა შემქმნა,
სამარადისო ქებას შეგასხამ.

შარუჟ-ქინუ შარუ დანნუ შარ აქადე ანაქუ

მე ვარ შარუჟინი, მეფე მძლავრი, მეფე აქადისა.
 დედაჩემი ღვთისმხევალი იყო, მამა არ ვუწყუო.
 ძმა მამაჩემისა მთიანეთში სახლობდა.
 ხოლო ქალაქი ჩემი — აზუფირანი.
 ევფრატის ნაპირზე გაშენებულა.
 მუცლადმიღო დედამ ღვთისმხევალმა, იღუმალ მშობა.
 ლერწმის კიდობანში ჩამსვა, კარი ფისით ამომიქოლა.
 მდინარეს მიმცა, წყალმა არ დამფარა.
 წამიღო მდინარემ, აქისთან, მერწყულთან მიმიტანა.
 აქიმ, მერწყულმა, წყლიდან სარწყულათ ამომიტანა.
 აქიმ, მერწყულმა, შევილად ამიყვანა.
 აქიმ, მერწყულმა, თავის მებაღედ დამადგინა.
 ოდეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემიყვარა.
 ორმოცდახუთმეტი წელი მეფობას ვიქმოდი.
 შავთავიან ხალხზე ვბატონობდი, ვმართავდი.
 ძლიერ მთაგრებილებს ბრინჯაოს ცულებით ვანგრევდი.
 ზემოურ მთებზე ავდიოდი,
 ქვემოურ მთებს გადავლახავდი.
 ზღვის ქვეყანას სამგჯის შემოვადექ.
 დიღმუნის დაიპყრო ხელმა ჩემმა.
 მეფე ვინმე, ჩემ შემდგომად აღწევებულო,
 შავთავიან ხალხზე ბატონობდეს, მართავდეს.
 ძლიერ მთაგრებილებს ბრინჯაოს ცულებით ანგრევდეს.
 ზემოურ მთებზე ადიოდეს,
 ქვემოურ მთებს გადალახავდეს.
 ზღვის ქვეყანას სამგჯის შემოადგეს.
 დიღმუნის დაიპყროს ხელმა მისმა.

.

(ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი)

კურადუ ერა შა რუბე მარდუქ ზიქირშუ ლა თაშხუთ

გმირო ერა, დიდებული მარდუქის სიტყვას არ ეკრძალე:
ღმერთების სამეუფო ქალაქი, კავშირი ქვეყანათა, დაგირღვევია:
ღვთაებობა შენი შეგიცვლია, კაცად ქცეულხარ,
საკურველი აგისხამს და შესულხარ მის წიაღში,
ბაბილონის გულში ქალაქთა დამპყრობელის მსგავსად იქცეოდი.
ბაბილონის მკვიდრნი ვითარცა უპატრონო ლერწამნი
შემოგეკრბენ,

საკურველის უმეტარმა მახვილი მოიღო,
ისრის უმეტარმა მშვილდი მოზიდა,
ბრძოლის უმეტარი სასტიკებას იქმოდა,
მდინარის უმეტარი ფრთოსანნივით წიაღვიდოდა,
საპყარი მუხლმტკიცედ ისწრაფოდა,
უძლური ძლევამოსილს ძლევდა,
თვისი ქალაქის მთავართა მიმართ ილაღვიდნენ,
„უხვების მდინარე“, ბჭე ბაბილონისა, დახშეს,
ბაბილონის საყდრები, ვითარცა მოლაფეთ, ცეცხლს მისცეს.
შენ იყავ წინამძღოლი მათი, წინამდგომელი მათი.
იმგურ-ენლილს განურისხდი, „ვაი, გულო ჩემო!“ — იტყოდა.
მუხრა, მცველი მისი კარიბჭისა, ყრმათა და ქალწულთა სისხლში
დაბინავდა,

ბაბილონის ძენი — ფრთოსანნი, ხოლო შენ —
მომნადირებელი მათი,
ქსელში გაახვიე, შეიპყრე და მოსრე, გმირო ერა.

შემდგომ დააგდე ქალაქი იგი და გარემოიქცე,
სახედ ლომისად შეიცვალე და სასახლეში შეხვედ.
მაშინ ერისთავი, ბაბილონის შურისმგებელი,

გულისწყრომად აღძრა,

თითქოს ნადავლის სააღფოდ მოასხა ლაშქარი,
სპათა წინამძღოლს ბოროტი საქმე შთააგონა:

„იმ ქალაქში, სადაც წარგავლენ, ჰოი, კაცო,
ღმერთის ნუ გეკრძალვის, კაცის ნუ გეშინის,
მცირე და დიდი თანაბრად მოაკვდინე!
ძუღუმწოვარა, ჩვილი ბავშვიც, არ დატოვო!
ბაბილონის უხვი საკურქლე იალაფი!“

შემოკრბა ლაშქარი მეფისა და ქალაქად შევიდა.

ისართა წივილი, მახვილთა ამოწვდენა!

ანუსა და დაგანის სპათა მახვილი აღმართეს,

სისხლი მათი, ვითარცა ღვარი არხებისა, ქალაქის

ქუჩებს მიუღვარე,

განაჲ ძარღვნი მათნი და სისხლი მათი მდინარეს გაატანე.

იხილა ესე დიდებულმა მარდუქმა, ვაის იტყოდა გულშემძრული.

დაუხსნელი წყევა აღმოხდა მისთა ბაგეთ,

დაიფიცა, აღარ შესვამდა წყალს მდინარისას,

სისხლი მათი რაღაი იხილა, ესაგილად აღარ შესულა.

„ვთა შენდა ბაბილონი ვითარცა თინიქს გამოგაღებინე

დიდებული ნაყოფი,

გარნა ქარმა გამოაშრო იგი!

ვთა შენდა ბაბილონი ვითარცა ნაძვი გირჩებით აგავსე,

გარნა ვერ დაეტკბი მისი სიუხვით!

ვთა შენდა ბაბილონი ვითარცა მტილი სიუხვისა დაგნერგე,

გარნა ნაყოფი მისი ვერ მოვისთვლე!

ვთა შენდა ბაბილონი ვითარცა ბეჭედი ქარვისა ცის ქედზე

დაგვიდე,

გარნა შვებით ველარ გიმზირე!

ვთა შენდა ბაბილონი ვითარცა დაფა ბედისწერთა ხელთგაყარ,

გარნა ველარავის ჩავაბარე!“

სიპარს, მარადიულ ქალაქს, რომლის კედლები ხამუაროს უფალს არ
წარურღვნია,

კიდევან შამაშის ნებისა ზღუდე მოურღვინე, გაღავანი მოუშალე.

ხოლო ურუქი, ანუსა და იშთარის ვანი, ქალაქი ღვთის მხევალთა,

რომელთაც იშთარმა კუროები მოუნადირა და ხელთ ჩააბარა,

სუთელთა კაცთა და ღიაცთა ცეცხლს მისცეს.

დაეცნენ ენას, ტაძრის მსახურებსა და მგალობელთ,

რომელთაც იშთარმა ხალხის დაშინებლად მამაკაცობა

ღიაცობად შეუცვალა.

მყრობელნი მახვილისა და ცეცხლის ქვათა,
რომელნიც იშთარის გულის გასახარად მწიკულებანს ჰამდენს,
ხასტიკსა და უმოწყალო მთავარს დაუმორჩილე,
აღაშფოთნა ისინი და სჭულდებანი მათი შეურაცხვეს,
განრისხდა იშთარი და მძვინვარებდა ურუქსა ზედა.
ფარსუას მკვიდრნი დაქცეული ეუდგალის გამო
უსვენებლივ მოთქვამდენს,

დიდი ღმერთი მათი ეტყოდა ერას:

„ქალაქი დერი უდაბნოდ გარდაგიქცევია,
ხალხი მის წიაღში ლერწამივით გაგითელავს,
მათი სიშრავლე წყლის ქაფივით აღგიხოცავს.
მეც არ დამინდე, სუთილებს მიმეცი,
და მე აქამომდე ჩემს ქალაქ დერისათვის
კემშარიტ ხამართალს ველარ განვიკითხავ,
სჭულს ქვეყანისას ველარა ვსჭი,
ბრძანებანი ველარ გავეცი, სასმენელნი ველარ განვახვენ.
ხალხმა სამართალი მიატოვა და მოძალადეობს,
სიკეთე დაივიწყა და ბოროტებას შეუდგა“.

ერთი ქვეყნის მიმართ ქარი აღძარი.

ვინც ბრძოლაში არ მოკვდა, სასჭელით მოკვდა,
ვინც სასჭელით არ მოკვდა, მტერმა დაატყვევა,
ვინც მტერმა არ დაატყვევა, მპარავმა მოიპარა,
ვინც მპარავმა არ მოიპარა, მეფის საკურველმა შეიპყრო,
ვინც მეფის საკურველმა არ შეიპყრო, ლომმა დასცა.
ვინც იშთარმა არ წარწყმიდა, ადადმა წარხოცა,
ვინც ადადმა არ წარხოცა, შამაშმა გამოაშრო,
ვინც ველად გავიდა, ქარმა გახვეტა,
ვინც ბინად შევიდა, ავსულმა ჰგვემა.
ვინც მთად ავიდა, შიმშილით მოკვდა,
ვინც ბარად ჩავიდა, წყალში დაიღრჩო.
მთა-ბარი თანაბრად მოგისრულებია.

ქალაქის ერისმთავარი თავის მშობელს ამგვარად ეტყოდა:

„ფდროო დროს გიშობივარ, მშობელო ჩემო!
ჭეშმარიტად წარვწყმდებით ამ ქალაქში,
რადგან მიმეცი ქალაქს, რომლის ღმერთი უსახბია,
ხოლო ხალხი მისი საწვარაკო ნახირი“.

ერა იტყვის:

„შვილის მშობელი თუ იტყვის: „აბა შვილი ჩემი!
აბა გავწარდე, მისაგებელს მომაგებს“.

შვილს მოვკლავ, მამა დამარხავს,
ხალხის ამგებელი თუ იტყვის: „აბა სამყოფელი ჩემი

ამა ავაგე ჩემდა განსვენებად,
რა ბედი დამლლის, იქ დავწვები".
მას მოვკლავ და სადგომს მისას გავაპარტახებ.
რა გაპარტახდება, სხვას მივცემ".

გმირო ერა! სამართლიანს მოაკვლინებ,
უსამართლოს მოაკვლინებ,
რომელმა შეგცოდა, მოაკვლინებ;
რომელმა არ შეგცოდა, მოაკვლინებ.
ქურუმს, ხალმართო ბურის მცხობელს, მოაკვლინებ,
მსახურს, მეფეთა შემწეს, მოაკვლინებ,
მოხუცს სამყოფელში მოაკვლინებ,
მოალერს მხევალთ სარეცლებზე მოაკვლინებ!
მოსვენებით ველარ ისვენებ
და კვლავ ეტყვი შენს გულს, გმირო ერა:
„ძღვეთა მოხილთ ვგვემ, უძღურებს მოვხპობ,
ხალხის წინამძღოლებს დავხოცავ, ხალხს შევამცირებ!
საყდრის კოშკს, გალანის ქონგურებს ჩამოვაქცევ,
სიუხვეს ქალაქისას დავავსებ,
ღუზას ამოვგლეჩ, ხომალდს ქარს გავატან,
საქებს დავუმტვრევ, ნაპირს ვერ მიადგებ,
ანძას მოვტებავ, აფრებს დავუფხრეწი
ძუძუთ გამოვაშრობ, ბავშვები ველარ იცოცხლებენი
წყაროს დავბეჭდავ, ნაკადულები სიუხვის წყლებს
ველარ მოღვრიან.

ხეთა ფესვებს ამოვძირკვავ, კვირტებს აღარ გამოიღებენ
მუშთარის ელვას ჩამოვაგდებ, ვარსკვლავებს ჩავაქრობ,
ქვესკენელი შეინძრევა, ზეცა შეირუევა.
ქალაქებს დავამხობ, გავაუდაბურებ,
მთებს დავაქცევ, ჭოვს მისას დავცემ,
ღერწმოვანს გადავწვავ ვით ცეცხლის ღმერთი,
ნახირს გამოვრეკავ და მიწად ვაქცევ".
რა ისმინა ყოველი გმირმა ერამ
სიტყვა იშუმის ნათქვამი, ზეთივით ეტკბო.
და ამგვარად თქვა გმირმა ერამ:
„ზღვა ზღვას, სუბართუ სუბართუს, აშური აშურს,
ელამელი ელამელს, ქაშელი ქაშელს,
სუთელი სუთელს, გუთელი გუთელს,
ღულუბელი ღულუბელს, ქვეყანა ქვეყანას,
სახლი სახლს, კაცი კაცს,
ძმა ძმას არ დაინდობს, ერთურთს დახოცავენ.
შემდგომ აქალი აღდგება, მათი დამცემი, მწყესად მათდა".

რა ერა დაწყნარდა, დაივანა,
ყოველი ღმერთი უპყვრეტდა მის სახეს,
ყოველი იგიგი და ანუნაქი მორჩილად ედგა.
ალაღო ერამ პირი თვისი, ღმერთებს ეუციცება-
„ყველანი დადუმდით! სიტყვა ჩემი შეიგონეთ!
ქვეშაირიტად ცოდვა ჩავიდინე,
გული განვირისხე ხალხის მოსასპობად,
ვითარცა უღირსმა მწყემსმა ვერძი ფარეხიდან გამოვამძე;
ვითარცა ხის არდამწერგავი გაჩეხვას არ მოვერიდე,
ვითარცა ქვეუნის დამრბევმა კეთილი და ბოროტი არ გავარჩიე,
ვითარცა მძვინვარე ლომს მსხვერპლი ვერ გამოშტაცეს, —
სად ერთი შმაგობს, მეორის რჩევა ამაოა.
სად იყო იშუმბი, წინამძღოლი ჩემი?
სად იყო მთავარი თქვენი, ქურუში თქვენი?
სად იყო ჴვარაკი თქვენი, საკმეველი თქვენი?“
ალაღო იშუმბა პირი თვისი,
გმირ ერას სიტყვას ეუბნება:
„გმირო, დადუმდი, ისმინე სიტყვა ჩემი
აწ დაცხერ, შენს წინაშე ვდგავართ!
ჟამს შენი რისხვისას სად იყო მეტოქე შენი?“
რა ესმა ერას, სახე გაუბრწყინდა,
ვითარცა ხალისიან დღეს ნაკვთები გაუნათდა,
შევიდა ემესლაშში, დაივანა.
მოუხმო იშუმს სასწაულის განცხადებად,
აქადის გაფანტული ხალხის ბედის მოქცევად:

ხალხი ქვეყნად შემცირებული კვლავ განმრავლდეს!
უაზნომ და წარჩინებულმა იარონ მის გზებზე!
დაე, აქადელმა საპყარამ ძლიერი სუთელი დასცეს!
დაე, ერთმა შვიდი ფარასავით წაასხას!
ქალაქები მათი ნანგრევებად, მთები მათი უდაბნოდ აქციე!
მათი მძიმე ნადავლი ბაბილონს წამოასხი!
ქვეყნის ღმერთები, მრისხანენი, თავიანთ საყდრებში
დაამშვიდე!

სუმუკანი და ნისაბა კვლავ ქვეყნად შეიყვანე!
მთებმა სიუხვე, ჴლევებმა მოსავალი თვისი მოიტანოს!
ველები, რომელნი გაუდაბურდნენ, კვლავ პოხიერ ჰყავ!
ერისმთავრებმა ყველა ქალაქიდან ბაბილონში ხარკი შეიტანონ!
ტაძრებმა, რომელნი დაიქცნენ, თავი კვლავ აღმართონ
დილის მწესავით!

ტიგროსმა და ეფფრატმა სიუხვის წყალი მოადვაროს!“

ყოველი მოისმინა ერამ და მოიწონა,
სათნო ეყო ღვაწლი იშუმისა, მისი წინამძღოლის,
ყველა ღმერთი ადიდებდა მასთან ერთად.

და ამგვარად წარმოთქვა გმირმა ერამ:

„რომელი ღმერთიც ამ სიმღერას აკურთხებს,

მის საყდარში სიუხვე დაგროვდება;

ხოლო რომელი შეურაცხყოფს, საქმეელის სურნელს
ვერ იყნოსავს.

მეფე, რომელი ჩემს სახელს განადიდებს, სამყაროზე იბატონებს.

მთავარს, რომელი ჩემს გმირობას ქებას შეასხამს,

მეტოქე არ იგება.

მომღერალი, რომელი მას იმღერს, სასჯელით არ მოკვდება.

მთავართა და მეფეთათვის სათნო იქნება ხმა მისი.

მწერალი, რომელი ამასა შეისწავლის,

მტრის ქვეყანას თავს დააღწევს, მშობლიურ ქვეყნად

დაფასდება.

ხალხს, რომელნი საყდრებში ჩემს სახელს მიწყვი

მოიხსენებენ,

თვალთ ავუხელ და ხასმენელთ განვუხვამ.

სახლში, სად ეს დაფა დაიდება,

თუნდ ერა განრისხდეს, შეიდი ღვთაება გაანადგუროს,

მახვილი სასჯელისა არ შეაღწევს, მშვიდობა იმკვიდრებს.

სიმღერა ეს მარადიულად მკვიდრობდეს, საუკუნოდ იგოს!

ყოველმა ქვეყანამ მოისმინოს, ძალი ჩემი განადიდოს!

ხალხმა წაიკითხოს და სახელი ჩემი განადიდოს!“

რა ერა განრისხდა, სოფლის დაქცევა და ხალხის მოსპობა განიზრახა, იშუმმა, მისმა მრჩეველმა, დააწყენარა და დანარჩენნი იხსენა. ამ ქებათა შემკრებს, ქაბთი-ილანი მარდუქს, დაბიბის ძეს, ესე ყოველი შუალამისას სიზმრად გამოეცხადა, და ოდეს განთიად განიმეორა, არაფერი გამოუყლია, არც ზედმეტი სიტყვა მიუმატებია.

უბრალოდ ტანჯულნი აღსარება

(ლოდლოლ ბელ ნემეკი)

დაცემა

იღდანნი ილი წადაშუ იმიდ
იფფარქუ იშთარი იბეშ

დამაგლო ღვთაებამ ჩემმა, გაუჩინარდა,
დამტოვა ქალღმერთმა ჩემმა, გარემიიქცა,
განმეშორა კეთილი სული ჩემს გვერდით მავალი,
გაფრინდა ლამარი, სხვის ძებნად წარვიდა.
ღირსება ჩემი წარხდა, სასოება ჩემი წარიკვეთა,
საშიში ნიშები დამიშვეიდრდა.

ნათელმხედველი ჩემს საქმეთ ვერ ცხადჰყოფს
გავალ სახლიდან კიდევან მოარული, —
გარეთ ნათქვამი ავს მომისწავებს.

დავწვები ღამით: საშიშია სიზმარი ჩემი.

მეფე — ღვთის ბორცი, მზე თვისი ხალხისა,

გამწყრომია, აღარ მშვიდდება;

დიღებულნი ბორცს მიწრაბავენ.

ერთი ამბობს: „სიცოცხლეს მოვუსპობი“

მეორე იტყვის: „განსაგებელს მოვაშორებ!“

მესამე: „მის განსაგებელს მე დავიჭერ!“

„შევალ მის სახლში“ — ამბობს მეოთხე.

მეხუთე იტყვის: „მონაგებს წავართმევ!“

მეექვსე და მეშვიდე მათ ზრახვას მიჰყვებიან.

შვიდთა კავშირი ძალებს ამტკიცებს:

ავსულეობით უწყალონი, მსგავსნი ეშმათა,

ერთხორც და ერთზრახვა არიან.

კეთილშობილ ბაგეთა ჩემთა ლაგამი ამოსდეს, —
 და დამუნჯდნენ მეტყველნი ბაგენი ჩემნი.
 მკექარე ძახილი ჩემი დადუმდა,
 ზეღმართული თავი ჩემი მიწად დაიდრია,
 მამაცი გული ჩემი შიშით დაითრგუნა,
 ფართე მკერდი ჩემი უაზნომ შედრია,
 ძლიერი მხრები ჩემი ორთავე მომერღვა,
 ოდესღაც ზვიადად მავალმა კნინად სვლა ვიწყე-
 დიდებული ვიყავ, მონად გარდავიქეც!
 ნათესავთა შორის განდევნილად ვიქეც!
 უცხოოდ შემრაცხა ნათესავმა ჩემმა.
 ქუჩად მივდივარ, — მიუურადებენ,
 სასახლეში შევდივარ, — მასტერდებიან.
 ქალაქი ჩემი უცხოსავით მიბღვერს,
 სასტიკი და მტრულია ქვეყანა ჩემი,
 მტრად გარდამექცა მოყვანი ჩემი,
 ვერაგი მოძმე ჩემი ილაღვის ჩემს მომართ,
 იარაღს ღესავს თანამდგომი ჩემი,
 ხმამაღლა მწყევლის ქვეშევრდომი ჩემი,
 სახლს ჩემსას გარეაწყდებიან.
 მოკეთეს ჩემსას ხარო გაეთხარა,
 ხოლო აღზევდა მაჭირვებელი ჩემი.
 სიცრუვის მოწამეთ ღმერთი მფარველობს,
 ხოლო შემწყალებელს სიკვდილი უწერია.
 ხუნდები და ბორკილი ადევს ჩემს სახლეულს,
 ჩემი უანებიდან განდევნეს პოპუნა.
 დუმს ჩემი ქალაქი უცხო ქალაქივით.
 საქმე ჩემი სხვას დააკისრეს,
 ჩემს განსაგებელში სხვა განაწესეს.
 დღისით — ოხვრა, ღამით გოდება,
 თვეობით მოთქმა, წლობით სიმძიმეილი.
 ტრედივით მოვთქვამ დღენი ჩემნი.
 სიმღერის ნაცვლად კენესა აღმომხდების,
 მარადღე ტირილით თვალნი დამევენენ.

წ რ ფ ე ლ ი ც ხ ო მ ვ რ ა ბ ა

აქშუდმა ანა ბალატ ადანნა ითუჯ
 ასახხურმა ლემუნ ლემუნმა

კვლავ ცოცხალ ვარ, განხდა დათქმული უაში.
 მიმოვიხედები: ბოი, ბოროტებავ ბოროტებათა!
 გრძელდება უბედობა ჩემი, სამართალი ვერ ვპოვე.

ღვთაებას ვუხმობ, სახეს არ მიჩვენებს,
ქალღმერთს ვევედრები, თავს მაღლა არ სწევს.
რა უკულმართობა ტრიალებს ირგვლივ!
მსგავსად იმისა, ვინც ღვთაებას მსხვერპლს არ სწირავდა,
ინახად მჭდარი ქალღმერთს არ უხმობდა,
ქედს არ იხრიდა, თაყვანისცემას არად მიიჩნევდა,
ვის ბაგეებში შემწყდარიყო ლოცვა და ვედრება,
ვინც ღვთის დღე შეურაცხვეუ, შეიძულა შაბათი,
ვინც მცონარებდა, ივიწყებდა ღვთაებრივ მცნებებს,
ღვთისადმი მოწიწებას ხალხს არ შთააგონებდა,
თვისი ღვთაების უხსენებლად ჰამდა საკმეღს,
დაივიწყა ქალღმერთი, იფქლი არ მიაჩთვა,
ვინც უღებ იქმნა, აღარ გაახსენდა უფალი თვისი,
ვინც საწეიმო ფიცი ღვთისა ფუჰად დაიფიცა, —
მათივე მსგავსად მომეგო მე.

ხოლო მე მახსოვდა ლოცვა და ვედრება,
ლოცვა იყო სიბრძნე ჩემი, მსხვერპლშეწირვა — სჭული ჩემი,
დღე ღვთისადმი თაყვანისცემისა — სიხარული ჩემი გულისა,
დღე ქალღმერთის სასწაულისა — სარგებელი და მოგება,
ლოცვა მეფისა მიმართ — ლხენა ჩემი,
და მისდამი გალობანი — სიკეთე ჩემი.
ქვეყანა ჩემი გამოვწვართე ღვთის წესთა მარხვაში,
ქალღმერთის ძვირფასი სახელი ჩემს ხალხს ვახსენებინე,
ქებანი მეფის მიმართ ღვთაებრივად ვაქციე,
და მოწიწება სასახლისადმი ხალხს შთავაგონე, —
მეგონა, სათნო იქნებოდა ესე ღვთისადმი.
თურმე კაცებრივი სიკეთე ღვთისათვის ბოროტება ყოფილა,
კაცის საძულველი რამ ღვთისათვის სიკეთე ყოფილა.
ვინ მიხვდეს ცათა წიაღში ღმერთების ნებას?
ვინ შეიცნოს ქვესკნელის ღმერთების ზრახვა?
ვით გაიგნოს მოკვდავმა კაცმა გზა ღმერთებისა?
გუშინ ცოცხალი დღეს უკვე მკვდარი!
წამის წინ მკმუნვარე აწ შევებით ილხენს.
ერთ წამს უზრუნველად მღერალი
მეორე წამს მოტირალივით მოთქვამს.
ანაზღად იცვლება მოკვდავის გუნება:
მოშეიბული გვამს ემსგავსება,
გამაძლარი ღმერთს ეტოქება.
სიტკბოების ჟამს ცადასვლად ისწრაფვის,
უბედობის ჟამს ქვესკნელსა ნატრობს.
მაკვირვებს საკმენი ესე,
ვერ შევიცან აზრი მათი.

მურკუ მუნნიშუ ელიია ინნეშრა
იმხული იშთუ იშიდ შამე იზიკა

სნებანი აღიძრენ ჩემ წინააღმდეგ:
ავმა ქარმა დაუბერა ცის კილიდან,
ქვესკნელის მკერდიდან აღმოხდა უშმური,
უღრეკმა ავსულმა დატოვა ექური,
ლამაშთუ ამოძვრა მთის ნაპარალიდან,
ბალახივით ამოძვრა უძლურება,
გარემოადგნენ თავისქალას ჩემსას.
სახე დამიბნელეს, თვალნი წყლად მიქციეს,
კისრის ძარღვები დამიწყვიტეს, ქელი დამიდრიკეს,
მკერდი მიგვემეს, გულ-მკერდი ჩამილევს,
გულღვიძლში სახმილი გამიჩაღეს,
შიგნეული აღმიშფოთეს,
ასოთა ჩემთა ციებ-ცხელება შეჰყარეს,
მალალი ტანი ზღუდესავით მოშირღვიეს,
ძლიერი სხეული ღერწამივით დამიხარეს.
ალუ-ემამ ჩემი სხეული სამოსელივით მოიხსა,
ვითარცა ბადემ მომიცვა ძილქუშმა.
ავალ მასხენ, — ვერ ხედვენ თვალნი ჩემნი,
ყურ მასხენ, — ვერ ესმით ყურთა ჩემთა.
განმერღვენენ მკლავნი ჩემნი,
მოუძლურდნენ მუხლნი ჩემნი,
სვლა გადაავიწყდათ ფერხთა ჩემთა.
ბნედიანივით შემეკრა სუნთქვა,
კარი ჩემი დაიგმანა, აუზი ჩემი დაიბეჭდა,
სიყმილი გამიგრძელდა, უელი დამეხშო,
ხორბალს მანვედიან, ანწლივით ვულაავ,
ლუდი, — სიცოცხლე კაცთა მოდგმისა გამიმწარდა,
სიყმილისგან სახე შემეცვალა,
ძვლებზე აეჭვა ტყავი ჩემი.
საპურობილედ მექცა სახლი ჩემი,
განრღვეულნი მკლავნი სხეულის ბორკილად მექცა,
დავარდნილი ფეხები ხუნდებად მექცა.
მთელი დღე მღვენის მე მღვენელი,
ლამით არ მასვენებს ერთი წამითაც.
საქონელივით მძინავს ჩემსავ სიპილწეში,
ცხვარივით ვგორაობ ჩემსავე სკორეში.
მარჩიელს აფრთხოვს ნიშები ჩემი,
შემლოცველი ვერ არკვევს სენის ბუნებას,

და ვადას ჩემი ავადობისას ვერ საზღვრავენ.
არ მშველის ღმერთი, ხელს არ მჭიდებს,
ქალღმერთი არ მწყულობს, ჩემ გვერდით არ ვალს.
ლია სამარე ჩემი და დატირებაც მზადაა უკვე,
ვიდრე მოვკვდებოდე, გლოვა დამისრულეს.
ქვეყანა ამბობს: „როგორ განადგურდა!“
რა ესმა ჩემთა ჳირთა მოხარულს, სახე გაუბრწყინდა.
მაგრამ მე ვუწყე დღე. ოდეს მოდგმა ჩემი,
უველა ნაცნობი ჩემი მზის ნათელს მოშორდება.

გ ა ნ ა კ უ რ ნ ე ბ ა

შუთთა ანატალ
ინა შუთთი ატტულუ მუშითიია

მაშინ ვიხილე მე სიზმარი,
და ღამეულ სიზმარში, რაიცი მეზმანა:
კაცი რჩეული და ახოვანი,
სახედიდებული, სპეტაკით მოსილი,
ელვით დაფარული, საშინელი,
დაადგრა წინაშე ჩემსა.
და გამიშეშდა მე გვამი სრულად.
„ქალბატონმა გამომგზავნა მე
საღმობათაგან შენდა განრინებად“.
და მეორედ ვიხილე მე სიზმარი.
და ღამეულ სიზმარში, რაიცი მეზმანა,
კაცი რჩეული, ბრწყინვალე ანაგების ვიხილე.
ხელთ ეპურა კვერთხი თამარისკისა, განმწმედელი:
„ლაღურაღიმამ, ნიპურის მკვიდრმა,
გამომგზავნა შენდა განსაწმედად“.
მაპკურა წყალი, თან რომ მოიტანა,
წარმოთქვა ლოცვა განკურნებისა,
და განწმიდა სხეული ჩემი.
და მესამედ ვიხილე მე სიზმარი,
და ღამეულ სიზმარში, რაიცი მეზმანა:
ქალწული ერთი ბრწყინვალე სახისა,
ვითარცა ცათა დედოფალი, ღვთაების სწორი,
შემოვიდა და დაქდა წინაშე ჩემსა.
ვხადე: „ბრძანე განკურნება ჩემი“.
ბრძანა: „ნუ გეშინისი შენდა განკურნებად მოვიღლ.“
კმა იყოს შენთვის ეგვომი საღმობა,

ვინაც ღაშეულ ჟამს ხილვა იხილუ“.
 ჩემს ხანგრძლივ საღმრთობაში ხსნა მომეცლინა, —
 და მუის დასრულდა სნეულება ჩემი,
 და დაიმხხვრა ბორკილები ჩემი.
 მაშინ დაცხრა გული ჩემი უფლისა.
 მაშინ დაუტევა გულისწყრომა მოწყალე მარდუქმა,
 მაშინ შეიწყნარა მან ღოცვანი ჩემნი,
 მაშინ გამობრწყინდა კეთილი ღიმილი მისი,
 მაშინ მრქვა: „განრინებულ იქმენ საღმრთობაში მყოფოლ“
 არად ჩათვალა შეცოდებანი ჩემნი,
 განაქარვა ცოდვანი ჩემნი,
 განდევნა ავი ქარი ცათა კიდისაკენ,
 ექურს მიაქცია უძლეველი ეშმა,
 ქვესკნელის მკერდში ჩააბრუნა უემური,
 ზღვის ტალღებს გაატანა კრუნჩხვა,
 ბალახივით აღმოფხვრა უძღურების ძირი,
 ძილი უკეთური, დაწოლისას ღვარად მოდენილი,
 ვითარცა ნისლი, ცის აღმვსები, შორს გაფანტა.
 სიკვდილის ლიბრი, თვალთა დამნისლავი.
 უამრავ ბერუზე გაგზავნა, ხედვა განმინაოლა.
 ყურნი ჩემნი, ყრუსებრ დაგმანულნი,
 ზინთისაგან განწმიდა, გახსნა სასმენელი ჩემი.
 ნესტონი ჩემნი, სურდოსაგან უსუნთქველნი,
 ხუთვინაგან დახსნა, და აწ ვსუნთქავ.
 ბაგენი ჩემნი მბოდვარნი და ბრკობილნი,
 შეამსუბუქა, ბრკოლისაგან იხსნა.
 პირი ჩემი მოკუმული და ძნელმეტყველი
 ქმნა ვითარცა ბრინჯაო და წვირისაგან განწმინდა.
 კბილები ჩემი დაღრჰენილი, ერთმანეთს მიბჭენილი,
 დახსნა ბორკილთაგან და ფესვები მათი მოახვენა.
 ენა ჩემი სასას აქმული, ვერმოძრავი,
 აამოძრავა და აწ დიან სიტყვანი ჩემნი.
 ზორხი ჩემი დაკომული, ხულთმობრძავივით ხრჩობადი,
 განკურნა და სტვირივით აახშანა.
 სასულე ჩემი გაბერილი, ჰაერის ვერმიძღები,
 დაფუშა და გახსნა სარქველი მისი.
 ქედი ჩემი დადრეკილი და მორღვეული
 მთასავით აღამალლა და აღმართა ვითარცა სვეტი.
 მუხლნი ჩემნი შებორკილნი და უძრავნი
 დახსნა ბრკოლისაგან და სვლად მოძრავყო.
 სახე ჩემი მოღრუბლული განაბრწყინა.
 და მე, განრინებული, ვვალ ქუჩად ქუნუშ-ქულდრისა.
 ვინაც ესანგილა დაივიწყა, იხილოს ხასწაული ჩემი!

უფალმა ხელი ჩამჭიდა,
უფალმა ფეხზე დამადგინა,
უფალმა სიცოცხლე დამიბრუნა,
უფალმა მიხსნა ბნელი სენელიდან,
ხუბურის წულებიდან ამომიყვანა!

მე. საფლავად ჩამავალი, „მზის აღმოსავლის ბქიდან“
შემოვბრუნდი.

„ბქეში სიუხვისა“ სიუხვე მომენიქა.

„ბქეში ლამარისა“ მომეახლა მფარველი ლამარი.

„ბქეში სვებედისა“ ვპოვე სვებედი.

„ბქეში სიცოცხლისა“ მოვიპოვე სიცოცხლე.

„ბქეში მზის აღმოსავლისა“ ცოცხალთა შორის შევირაცხე:

„ბქეში ნათელ საოცრებათა“ ცხადიქმნა ნიშები ჩემი.

„ბქეში ცოდვათაგან დახსნისა“ დაიხსნა ბორკილები ჩემი.

„ბქეში თაყვანისცემისა“ ამეტყველდა ბაგე ჩემი.

„ბქეში ოხვრათაგან დახსნისა“ განქარდნენ ოხვრანი ჩემნი:

„ბქეში წმიდა წყლისა“ მესხურა წყალი განწმედისა.

„ბქეში მშვიდობისა“ მუხლი მოვიყარე მარდუქის წინაშე.

„ბქეში უხვებისა“ ვემთხვიე ცარფანითუს ფერხთა.

იხილეს ბაბილონის ძეთა, თუ ვით განაცოცხლებს მარდუქი-
და ყოველი მხარე ახსენებდა დიდებას მისას.

„ვინ იტყოდა, უკეთუ კვლავ შეძლებდა იგი თვისი მზის-
ქვრეტას?

ვინ იფიქრებდა, უკეთუ კვლავ ივლიდა ქუჩად?

მკვდრეთით ვინ აღადგენს მარდუქის თვინიერ?

ცარფანითუს თვინიერ რომელი ქალღმერთი ანიჭებს
სუნთქვას?

მარდუქს საფლავთაგან აღდგინება ძალუძს!

ცარფანითუმ წარწყმედისგან განრინება უწყის!

სადაც კი მყარ არს მიწა და ცა განფენილ,

სადაც მზე ბრწყინავს და ცეცხლი ვიზგიზებს.

სადაც დის წყალი და ქარი უბერავს,

არსებანი, არურუს თითებით მოშეღიღნი,

სულდგმულნი, ცისა და ხმელეთის იძვრისნი,

ყოველი მოკვდავი მარდუქს აღიდებს“.

ბედუქუღმართისა და ბრძენკაცის დიალოგი

აშიშ იბრი განა ლუკბიქა

„ბრძენო, მახლობელო ჩემო, ყური მიგდე,
იქვეები ჩემი მსურს გაგანდო.
ყოველი დამაშვრალი შენს ქებაშია;
სად ვპოვო ბრძენი საფერი შენი?
სად ვპოვო მოძღვარი მსგავსი შენი?
სად ვპოვო მრჩეველი, გამგები ჩემი?
გავთავდი! ნაღველმა გული ამომღვრია:
ნაბოლარას ბედმა ჩამსახავი წამართვა,
დედა წამივიდა მოუსავლეთში,
დედ-მამამ დამტოვა ბედის ანაბარა.“

„ღირსო მოყვასო, ნაღველიანად უბნობი
ძვირფასო, შავ ფიქრებს აყოლიხარ,
ვითარცა უგუნური ვინმე იზრახავ,
მომღიშარი სახე შავად შეგიცვლია.
მართლაც მიგვატოვეს ჩვენმა მამებმა,
განვლეს გზანი სიკვდილისანი.
ხუბურის წიაღსვლა ძველთაგან თქმულა.
მაგრამ დააკვირდი კაცთა მოღვმას:
ვინ ამდიდრებს არასმქონე პირმშოს?

დოვლათის პატრონს ვინ წყალობდა?
ღვთისმოსავი ლამარს შეიძენს,
ხიმლიდრებს იხვევს ქალღმერთის მოშიშია.
„წყაროა, მოყვასო, გული შენი, სათავეუშრეტო,
ხავსება ზღვათა, დაუვსებელი.
შეგეკითხები, მიმიხვდი კითხვას:
წარმატება ჩემი წარხდა, სიუხვე ჩემი დაივსო,
ძალი ჩემი მოუძღურდა, სვე ჩემი განქარდა.
პური ჩემი ყანისა აღარ გამაძღებს,
ღვინო, სიცოცხლე კაცთა, წყურვილს აღარ მიკლავს.
განა მტკიცეა დღე ლხენისა? მაცოდინე!
რა მარგო ღვთისადმი მოწიწებამ?
კანჯარი სტომაქს რომ ივსებს და ივსებს,
განა ინიშნებს ღვთაებრივ ნიშებს?
მჭინვარე ლომი, უკეთესი ხორცის მჭამელი,
განა ფქვილს შესწირავს განრისხებულ ქალღმერთს?
მდიდარი მხვექელი, მზრდელი ქონებისა,
განა ღვთის წინაშე ოქრო-ვერცხლს წონის?
როდის ყოფილა, რომ დამეკლოს საზოგადოელი,
შეუსვენებლივ ვლოცულობდი ღვთაების მიმართ“.

„ფინიკის ხეო, ხეო სიუხვისავ, ძვირფასო ძმაო!
ყოველი სიბრძნით მონიჭებულო, ოქროს სამკაულო!
რად გშურს კანჯარისა, მოთარეშის?
განა არ უწყვი, ბედი რას უმზადებს?
იხარი ეწევა ველად განლაღებულს.
იხილე ლომი, ნახირის მტერი, —
ჩადენილ ცოდვისთვის მთხრებელი ეთხრება.
გამომძალველი, სიმლიდრის მომხვეპი,
ბედისწერის დღემდე სარზე აიგება.
ნუთუ შენ გინდა მათ გზას დაადგი?
მუღმივი სიკეთე ისურვე ღვთისგანი!“

„გრილი ნიავია განსჯა შენი, ამოდმქროლი,
ღირსო მოყვასო, კეთილად მირჩევ.
მაგრამ მსურს გითხრა კვლავ სიტყვა ერთი:
სვიანი გზით ვალს ღმერთის არ მძებნელი,
ხოლო გლახაკდება ქალღმერთს შევრდომილი.
სიყრმიდანვე ღმერთის ნებისად მივიქცეოდი,
ლოცვა-ვედრებით მივსდევდი ქალღმერთს.
უსარგებლო ტვირთი უღლად მიტვირთავს:
ღმერთმა სიმლიდრის წილ გაჭირვება მომაგო.

ღმერთი არ აბრკოლებს გზას ბოროტისას.
უფროსი ძმა გზას ლომივით მიხუცება,
უმცროსს ახარებს მეჭორის ხვედრიც.
მემკვიდრე ქუჩად ამაყად დავალს,
ნაბოლარა ძე კარდაკარ დადის“.

„წრფელო, გონიერო, არასწორად განსჯი,
გააუბუღებარ, ღვთისადმი მკრეხელო.
ღრმაა ღვთის ზრახვა ცათა წიაღივით,
ვინ შეიცნობს ქალღმერთის ნებას?
არურუს მიერ შექმნილთა შორის
პირველი ნაშობი ნაკლულევანია,
ძროხის პირველი ხბო მომცროა,
ორჭერ მეთია მომღვენო ნაყოფი.
პირველად სუსტი ბავშვი იბადება,
მხოლოდ მეორე იწოდება გმირად.
ღვთის ნება ერთ ვინმეს გამოეცხადება,
ხოლო დანარჩენი უმეცარია“.

„მისმინე, მოყვასო, განსაჯე აზრი ჩემი:
ადიდებენ ძლიერს, თუნდ მკვლელი იყოს,
ამღაბლებენ უძლურს, ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია.
ამართლებენ მძიმე დამნაშავეს,
ღვენიან მართალს, ღვთის ნების მიმღევარს.
ძალმომარის საღარო ოქროთი ივსება,
აცალიერებენ მათხოვრის გულას.
მხარს უჭერენ ძლიერს, დამნაშავეთ კრებულს,
ხოლო სუსტს სპობენ, უმწევოს ღვენიან.
ღე, გაღატაკებულს, უაზრო მავიწროებს“.

„ნარუს, ღმერთთა მეუფეს, კაცთა შემოქმედს,
დიდებულ ზულუმარს, მათი თიხის მომზელს,
ღედოფალ მამის, მათ გამომსახველს,
კაცთა მოდგმა უკულმართად შეუქმნიათ:
უკეთური აზრები ჩაუნერგავთ მათთვის:
მჭერმეტყველებენ შესახებ მდიდრისა:
„მეფეო, შეძლებულნი მის გვერდით ვლენანო“.
ხოლო საწყალ კაცს ქურდად მიიჩნევენ,
ცილს სწამებენ, მოკვლად ესწრაფიან,
მას აკისრებენ ყველა დანაშაულს,
აზინებენ, ცეცხლივით აქრობენ“.

„მოწყალეო მოუყვასო ჩემო, მიხვდი ჩემს სატკივარს,
შემეწიე, მომხედე, ნუ დამტოვებ!
მე, მორჩილმა, გონიერმა, ღვთისმოსავმა,
შველა და შეწიენა ვერასოდეს ვპოვე.
ქალაქის მოედანზე ქედმაღლად არ მივლია,
თავს მაღლა არ ვწევდი, მიწას დავცქეროდი.
შემეწიოს ღვთაება ჩემი, რომელმა მიმაგდო,
შემიწყალოს ქალღმერთმა, რომელმა უკუმაგდო!
მწყემსი შამაში კაცთა მოღვმას ღვთაებრივად მწყესავს“.

ბ ა ტ ო ნ ი დ ა მ ო ნ ა

არად მითანგურანნი
ანნუ ბელი ანნუ

- ბ ა ტ ო ნ ი. მონავ, მისმინე!
მ ო ნ ა. მიბრძანე, ბატონო!
- ბ ა ტ ო ნ ი. ეტლი შემოკაშმე, სასახლეში წავალ.
მ ო ნ ა. წადი, ბატონო ჩემო, წადი!
ვინძლო იქ ჭილღო მოგელოდეს,
მეფემ კეთილი თვალით შემოგხედოს.
- ბ ა ტ ო ნ ი. არა, მონავ, სასახლეში არ წავალ!
მ ო ნ ა. არ წახვიდე, ბატონო ჩემო, არ წახვიდე!
შორეულ მხარეს წარგავლენს მეფე,
შეუცნობ გზაზე გაგამგზავრებს,
დღითა და ღამით სიმწარეს განახვებს.
- ბ ა ტ ო ნ ი. მონავ, მისმინე!
მ ო ნ ა. მიბრძანე, ბატონო!
- ბ ა ტ ო ნ ი. სწრაფად მომიტანე წყალი,
ხელეებს დავიბან, ვინადიმებ.
მ ო ნ ა. ინადიმე, ბატონო ჩემო, ინადიმე!
დროდადრო ნადიმი სულს შევბას ანიკებს,
მფარველი ღმერთის ნადიმზე მომლხენს
ხელდაბანილი ეწვევა შამაში.
- ბ ა ტ ო ნ ი. არა, მონავ, არ ვინადიმებ!

- მონა. ნუ ინადიმებ, ბატონო ჩემო, ნუ ინადიმებ!
სიუშილი და ჭამა, წყურვილი და სმა,
კვლავ კაცის წინააღმდეგ მიდის.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
- მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. ეტლი შემიკაშმე, ველად გავიჭრები.
- მონა. გაიჭერ, ბატონო ჩემო, გაიჭერ!
მოთარეშე კაცის სტომაქი სავსეა,
მონადირე ძალლი სახრავს შოულღობს,
ონავარი ფრინველიც იკეთებს ბუდეს,
მონავარღე კანჭარი . . .
- ბატონი. არა, მონავ. ველად არ გავიჭრები.
- მონა. ნუ გაიჭრები, ბატონო ჩემო, ნუ გაიჭრები!
ბედის ამარაა მოთარეშის საქმე,
მონადირე ძალლი კბილებს დაიმტვრევს,
ონავარი ფრინველი გალიაში მოხვდება,
უდაბნოა კანჭარის სადგომი.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
- მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. ბრალმდებელს ჩემსას დავუღუმდები.
- მონა. დაუღუმდი, ბატონო ჩემო, დაუღუმდი!
ბრალდებას ბრალდება მოჰყვება,
ამაო საქმეში გაეხვევი.
- ბატონი. არა, მონავ, ბრალმდებელს არ დავუღუმდები!
- მონა. არ დაუღუმდე, ბატონო ჩემო, არ დაუღუმდე!
ბრალმდებლის მიმართ თუ სიტყვას არ იტყვი,
ალარ დაგინდობს, გაგითამამდება.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
- მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. ამბოხების მოწყობა მინდა.
- მონა. ასე ჰქმენ, ბატონო ჩემო, ასე ჰქმენ!
ამბოხებას თუკი არ მოაწყობ,
სამოსელს ვინ მოგცემს, სტომაქს ვინ აგვისებ?
- ბატონი. არა, მონავ, ამბოხებას არ მოვაწყობ.
- მონა. არ მოაწყობ, ბატონო ჩემო, არ მოაწყობ!
კაცს მემამოხეს ან მოაკვდინებენ,
ან ტყავს გააძრობენ, ან თვალებს დათხრიან,
ანდა შეიპყრობენ. დილეგში ჩასვამენ.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
- მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. ქალი მინდა შევიყვარო.

- მონა. შეიყვარე, ბატონო ჩემო, შეიყვარე
კაცს უკეთეს ქალი შეუყვარდა,
დაავიწყდება დარდი და სევდა.
- ბატონი. არა, მონავ, ქალს არ შეიყვარებში
მონა. არ შეიყვარო, ბატონო ჩემო, არ შეიყვარო!
ქალი ორმოა, თხრილი და ხარო,
ქალი ორღესული ხატევარია
ვაჟკაცის კისრის გარდამკვეთელი.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. წყალი მომართვი, ხელთ განვიბან.
ღმერთს ჩემსას მსხვერპლი მსურს შევწირო.
მონა. შესწირე, ბატონო ჩემო, შესწირე!
პირადი ღვთისადმი მსხვერპლის შემწირველი
კმაყოფილია: სესხს სესხზე გასცემს.
- ბატონი. არა, მონავ, ღმერთს მსხვერპლს არ შევწირავ!
მონა. ნუ შესწირავ, ბატონო ჩემო, ნუ შესწირავ!
ძალღვივით შენ უკან დევნას შეაჩვევ,
წესთა აღსრულებას, ან ხშირად თაყვანს,
ანუ სხვას რასმე შენ კვალად მოგთხოვს.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. სესხს გაცემ, ვითარცა შევახშე.
მონა. გაეცო, ბატონო ჩემო, გაეცო!
მევახშის მარცვალი მარცვალდევ რჩება,
სარგებელი კი იზრდება მისი.
- ბატონი. არა, მონავ, სესხს არ გაცემში
მონა. არ გასცი, ბატონო ჩემო, არ გასცი!
გაცემა ქალის სიყვარულსა ჰგავს,
სარგებლის მოღება შვილების შეძენას.
შენს ხორბალს შეკამენ და თან დაგწუველიან,
ხორბლის სარგებელსაც წაგართმევენ.
- ბატონი. მონავ, მისმინე!
მონა. მიბრძანე, ბატონო!
- ბატონი. სიკეთეს ვიქმ ჩემი ქვეყნისთვის.
მონა. კმენ, ბატონო ჩემო, კმენ სიკეთე!
მარღუქის წრეშია იმ კაცის საქმენი,
რომელიც ქვეყნისთვის სიკეთეს სჩადის.
- ბატონი. არა, მონავ, არ ვიქმ ქვეყნისთვის სიკეთეს.
მონა. არა კმნა, ბატონო ჩემო, არა კმნა სიკეთე!
შედექ ძველ ბორცვებზე, გაიარე!
იხილე ჩონჩხები ჩინებულთა და უჩინოთა, —
ვინ უკეთურია, ვინ ქველმოქმედი?

.ბ ა ტ ო ნ ი. მონავ, მისმინე!
მ ო ნ ა. მიბრძანე, ბატონო!
ბ ა ტ ო ნ ი. მითხარ, აწ რაღაა სიკეთე?
მ ო ნ ა. ჩემი და შენი კისრების დამტვრევა,
და მათი წყალში გადაყრაა სიკეთე.
რომელი მაღალი მისწვდება ზეცას?
რომელი ვრცელი მოიცავს ქვესკნელს?
ბ ა ტ ო ნ ი. არა, მონავ, ჭერ მდ შენ მოგკლავ,
ჩემ უწინარეს შენ გაგაგზავნი.
.მ ო ნ ა. სამ ღლეს თუ იცოცხლებს ჩემ შემდგომ
ბატონი ჩემი!

ა შ უ რ ბ ა ნ ი კ ა ლ ი ს ლ ო ც ვ ა ნ ა ბ უ ს ა დ მ ი

(ბიბლიოთეკის გახსნისას ნინევიაში)

ანა ნაბუ მარუ გითმალუ
ფაკიდ ქიშშათ შამე უ ერკეთიმ

ნაბუსათვის, სრულყოფილი ძისა, ცათა და ხმელზე
მზრუნველისა,
მპყრობელისა სიბრძნის დაფათა, ბედისწერათა
საწერელისა,
დღეთა განმგრძობისა, მკვდართა მაცხოვრისა,
ნათლის მფენელისა დანისლულ ხალხზე, —
მეუფემ დიდმა, დიდებულმა აშურბანიპალმა,
აშურის, ბელის და ნაბუს სათნო ბელადმა,
მწყემსმა, ღმერთების საკურთხეველთ გამრიგემ,
საზორველის მათის დამდგენელმა,
ქემ ასარხადონისამ, სამყაროს მეფისა,
აშურის მეფისა,
შვილიშვილმა სინახერიბისამ, სამყაროს მეფისა,
აშურის მეფისა, —

რათა ცოცხლობდეს სული მისი,
რათა გაგრძელდნენ დღენი მისნი,
რათა მრთელ იყოს ხორცი მისი,
რათა მყარ იყოს ტახტი მისი,
შესმენილ იქნან ლოცვანი მისნი,
შეპყრობილ იქნან მტერნი მისნი, —

ეას ხიბრძნე, გალობანი, ცოდნის საუნჯე,
ღმერთთა გულების შეებად მოხვეჭილი,
აშურსა და აქადში დაცულ დაფებიდან
ახალ დაფებზე გადმოვწერი, გამოვარჩიე,
ნინევში ეზიდას დაფათსაცავს შევძინე.

ნაბუ, მეუფეო ცათა და ხმელისა,

დაფათსაცავს ამას წრფელად მოჰხედე,

აშურბანიპალს, შენი ღვთიურობის მოშიშს,

ღღენიადაგ წყალობდე!

ბრძანე სიცოცხლე მისი ღვთიურობის

შენის სადიდებლად!

შპს "საქსტელკომ"

თარგმანების წინ ეპიგრაფად წამძღვარებული სტრიქონები წარმოადგენენ ორიგინალის დასაწყისის სტრიქონების ქართულ ტრანსკრიპციას, რომელთა ფდერადობა, ბუნებრივია, მხოლოდ პირობითად გადმოსცემს შუმერული ან აქადური დედნის რეალურ გამოთქმას.

სამოთხის მითი

ეს მცირე ნაწყვეტი ამოღებულია ვრცელი ეპიური პოემიდან, რომელაც მოგვითხრობს IV ათასწლეულის ამბებს (ურუქის ქურუმის ენმერქარისა და არათას ბატონის ურთიერთობას). იგი პოემაში ჩართულია როგორც შელოცვა („ნუდიმმუდის შელოცვა“) და აღწერს კაცთა მოდგმის ნეტარ და უშფოთველ ყოფას უნივერსალური მშვიდობის ერაში, ვიდრე კაცი შეიცნობდა შიშსა და მტრობას, ვიდრე მოხდებოდა ენათა აღრევა (შდრ. დაბადება 11, 1). აქ პირველად არის შექებული „ტკბილი“ ანუ პარმონიული შუმერული ენა.

ტექსტი: Энмеркар и верховный жрец Аратты (Вестник Древней Истории, 4, 1964, გვ. 191-220).

დილჟუნის მითი

ასე იწყება მითოლოგიური პოემა „ენქი და ნინხურსაგი“. დილჟუნში ძველი შუმერები ათავსებდნენ ამქვეყნიურ სამოთხეს, სადაც არ იყო მტრობა და ცოდვა, სნეულება და სიკვდილი. ეს იგივე ყოფიდა, რაც წარმოდგენილია ბიბლიაში: „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისევენებდეს, და ზვარაკი და ლომი და კურო ერთად ძოვდენ“ (ისაია 11, 6).

ტექსტი: M. Witzel, Ninchursag und Enki' (Orientalia, vol. 15, fasc. 3, 1946).

წარღვნის ეპილოგი

ამოღებულია ფრაგმენტულად შემორჩენილი მითიდან წარღვნის შესახებ. ეს არის უძველესი ვერსია წარღვნის მითისა (ე. წ. ნამურის ვერსია), რომელიც შემდგომ დამუშავდა აქადურ (იხ. გილგამეშის ეპოსის XI დაფა) ლიტერატურაში.

ტექსტი: A. Poebel, *Historical Texts*, Philadelphia, 1914, გვ. 9-70.

ინანა, გილგამეში და ტირამში

ტექსტს ორიგინალში წინ უძღვის ვრცელი ამბავი ცისა და მიწის ერთმანეთისგან გამოყოფის, კოსმოსის დანაწილებისა ღმერთებს შორის და სხვა. „ოდეს ზესკნელი ხმელეთს განეშორა, ხმელეთი ზესკნელისგან განიწვალა, ოდეს კაცთა მოდგმის თესლი დამკვიდრდა, ოდეს ანმა ზესკნელი მიიკუთვნა, ენლილმა ხმელეთი მიიკუთვნა, ერეშქიგალი ქვესკნელმა მოიტაცა...“ განსხვავებით აქადური „გილგამეშის ეპოსისა“, ამ პოემაში ინანა და გილგამეში დაძმად არიან დასახლნი. ინანას სიტყვები ემესალის დიალექტზეა დაწერილი, რითაც ჩვეულებრივ გადმოიკვმოდა ქალთა მეტყველება. ენკი დუ ქვესკნელში. ეს ნაწილი პოემისა აქადელმა პოეტმა აქადურად თარგმნა და დაურთო „გილგამეშის ეპოსს“ XII დაფად.

ტექსტი: S. N. Kramer, *Gilgamesh and the huluppu-tree*, 1938, Chicago.

ინანას სიმღერა

ემესალის კილო. ამ ჰიმნში განსაკუთრებით ჩანს ინანას რამდენიმე ასპექტი: სიყვარულის ქალღმერთისა („მამაკაცის დიაცთან მიმყვანი“), ნაყოფიერების („სახნისი, მხვენელი მიწის პირისა...“), იგი გლოვის ქალღმერთი, ვითარცა სასძლო სვეუბედური ღუმუზისა („ვისაც გლოვის სამოსელი მოსაეს, მასთან მივდივარ“) და სიხარულის ქალღმერთი, ვითარცა მხილველი დაბრუნებული ღუმუზისა („ვინაც სიხარულით ბრწყინავს, მასთან მივდივარ“). ინანა ენლილას სახელს ემესალის კილოზე გამოთქვამს: მულილ.

ტექსტი: P. Haupt, *Akkadische und Sumerische Keilschrifttexte*, გვ. 126-131.

ქება ინანას

ინანა, ძლევაშოსილი ასული მთვარის ღვთაებისა, აქ შეიქება დაგალ-უშუმ-გალანასთან ერთად (ღუმუზის მეტსახელი). თავისებურია, რომ ამ სიმღერაში ღუმუზი, რომლის ეპითეტი „მწყემსია“, ინანას მსგავსად ასტრალურ ღვთაებად არის წარმოდგენილი. ღუმუზი ინანას ვარსკვლავის შუქითაა განათებული.

ტექსტი: A. Falkenstein: Zeitschrift für Assyriologie XIV, 1944, გვ. 105-113.

ინანას ლიბურგია

შემოკლებული თარგმანი კრკელი ჰიმნიდან, რომელიც დაწერილია ისინის გაღმერთებული მეფის, იდინ-დაგანის (მეფობის წლ. 1974—1954 წ. ძვ. წ.) კულტისათვის. სინამდვილეში პოემა წარმოადგენს ოდას ინანასადმი ვითარცა ასპიროზისა, სადაც ჩართულია ღვთაებრივი ქორწინების ეპიზოდი ქალღმერთსა და იდინ-დაგანს შორის, რომელიც ინანას ღვთაებრივი სატრფოს, ღუმუზის, აპქვენიური შემტეულია. ქურუმებს საქორწინო სახლისაყენ „მიპყავთ“ ინანა და გზადაგზა უმღერიან მას.

ტექსტი: M. Witzel. Perlen Sumerischer Poesie, Jerusalem, 1929, გვ. 1—27.

ინანას ქორწინება

ინანა უარყოფს მწყემსს და არჩევს მიწათმოქმედს, ისევე როგორც ქალი ერთ ხალხურ ლექსში:

ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხუებ დედაო,
ნუ მიმცემ მეცხვარე კაცსა,
თორღ მაიზრობს ფეხსაო...
თუ მიმცემ, იხეთ კაცს მიმეც,
ოა იყოს გუთნისდედაო,
მოვიდეს გუთანზეთა,
დამიჭდეს ლოგინზედაო.

შეგრამ, როგორც ჩანს, მწყემსი იმარჯვებს; თითქოს ინანას ძალით ათხოვებს მისი ძმა უთუ, მზის ღმერთი. ინანას „პარტია“ ემესალის კილოზება შეთხზული.

ტექსტი: J. J. Van Dijk, La sagesse suméro-accadienne, Leiden, 1953, გვ. 65—85.

ინანა და ღუმუზი

შემორჩენილი ნაწყვეტი უფრო ვრცელი ნაწარმოებიდან. ინანა აქ ვეღარ გამოიყურება ძლევამოსილ ქალღმერთად. იგი მხოლოდ შეყვარებული ქალია, რომელიც მზადაა ყოველი სურვილი შეუსრულოს თავის სატრფოს, ღუმუზის. ინანა ემესალის კილოზე თავის თავს „გაშანს“ უწოდებს, რაც ქალბატონს ნიშნავს (ძირითად დიალექტზე „ნინ“). „ცის გაშანი“ იგივე ინანაა (ნინ-ანა „ცის ქალბატონი“).

ტექსტი: S. N. Kramer und Y. Bernhardt, *Sumerische Literarische Texte aus Nippur*, 1. B., 1961; № 25, Taf. LX—LXI.

ინანას ჩასვლა ქვესენელად

ეს შიტი პროტოტიპია ანალოგიური აქადური შიტიისა იშთარის შესახებ. მასში ჩანს სახე სასტიკი ქალღმერთისა, რომელიც დაუნდობლად ღუპავს თავის სატრფოებს (შდრ. „გილგამეშის“ VI დაფა). „ღუმუზის სიზმარი“ ტექსტში ჩემს მიერ არის ჩართული; თუმცა იგი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მაგრამ, მე მგონი, მისი შინაარსი საესებით შეესაბამება ძირითად ტექსტს. ინანა ემესალის კილოზე შეტყველებს. ამიტომ უწოდებს საკუთარ თავს იგი „გაშანას“; „ნინ-შუბურს“ „გაშან-შუბურად“ იხსენიებს, ეწოდებს — „მულილად“, ეწეის — „ამანქი“-დ, ერეშქიგალს — „გაშანქიგალად“.

ტექსტი: S. N. Kramer, *Inanna's Descent to the Nether World* (*Journal of Cuneiform Studies*, vol. 5, 1951, გვ. 1-17).

გლოვა ღუმუზიზე

ემესალის კილო. მოთქვამს ურუქის ინანა ქვესენელში მყოფი ღუმუზის ხედრზე, თუმცა მანვე დაღუპა იგი. „გი-ერა“ — „სტვირი გლოვისა“, ზუსტად ნიშნავს „გლოვის ლერწამს“. „ედენ“ (ველი, უდაბნო) ქვესენელის მეტაფორული სახელია.

ტექსტი: A. Falkenstein: *ერნ.ლშა: Zeitschrift für Assyriologie* XIII, 1942, გვ. 206.

გილგამეში და ხუშავა

ეს ამბავი გამოყენებულია გილგამეშის აქადურ ეპოსში. სამწუხაროდ, ტექსტი ნაკლულია და ბევრ ადგილას გაუგებარი. მოტივი

კედარის ტყისკენ გალაშქრებისა უნდა იყოს სიკვდილის შიში და მისგან გამოწვეული სურვილი მარადიული სახელის მოპოვებისა. არ ჩანს, ვინ არის „ცოცხალი კაცი“ (ლუ-თილა): მარადმწვანე კედარის სული თუ მართლაც კაცი ვინმე. დასასრული ამგვარადაც ითარგმნება (წყევლა ხუეავას მოკვლისათვის):

„დაე, პირი თქვენი ცეცხლმა შეიპყრას,
პური, საზრდო თქვენი, ცეცხლმა ჭამოს,
წყალი, ხასმელი თქვენი, ცეცხლმა სვას.“

ტექსტი: S. N. Kramer, Gilgamesch² and the Land of Living (Journal of Cuneiform Studies, vol. 1, 1947, გვ. 3—46).

გილგამეში და აგა

ერთდერთი პოემა გილგამეშის ციკლიდან, სადაც იგი ისტორიულ გარემოცვაშია ნახსენები. აგა, ქიშის მთავარი, გილგამეშის თანამედროვეა (III ათასწლეულის პირველი მეოთხედი). ტექსტი უაღრესად ლაკონიურია და ბევრ ადგილას ბუნდოვანი; სახელდობრ, გილგამეშის სიტყვები დამარცხებული აგასადმი, რითაც მთავრდება ეს პოემა.

ტექსტი: S. N. Kramer, Gilgamesh and Agga (American Journal of Archaeology, VIII).

ურნამუს სიკვდილი

ნაწყვეტი ამოღებულია ვრცელი ნაწარმოებიდან, რომელიც ეხება ურნამუს სნეულებას, სიკვდილს, დაკრძალვასა და ქვესკნელში ჩასვლას. ურნამუ (მეფობის წლ. 2112—2095 ძვ. წ.) განთქმული იყო როგორც დიდი კანონმდებელი და აღმაშენებელი. მთელს სამხრეთ მესოპოტამიაში გვხვდება მისი სახელით აღბეჭდილი აგურები. წარმოშობით ურუქელი, იგი ამაყობდა გილგამეშთან ნათესაობით. მის სახელთანაა დაკავშირებული ურის III დინასტიის დაწყება, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალმუშერულ რენესანსს.

ტექსტი: G. Castellino, Urnammu—Thre religious Texts (Zeitschrift für Assyriologie, XVII, 1957).

ვიმნი მევე უულგისა თვისდა მიმართ

შულგის (მეფობის წლ. 2094—2047), ისევე როგორც მამამისს ურნამუს, თავისი გენეალოგია მითიურ ნინსუნასაგან (გილგამეშის

დედა) გამოკყავს, რათა გაამართლოს გილგამეშთან ნათესაობა. ქვების მთავარი ფაბულაა მისი ძლევა მოსილი სელა ნიპურიდან იმპერიის სატახტო ქალაქ ურამდე. დასასრულ ნახსენებია ნიდაბა, ქიმნების ქალღმერთი.

ტექსტი: A. Falkenstein, Ein Sulgi-Lied (Zeitschrift für Assyriologie, XVI, 1955).

საბრწყინლო ჰიმნი შუზუნანსადმი I

შუზუნა (მეფობის წლ. 2037—2029), შულგის ძე, მონაწილეობას იღებს საღვთო ქორწინების რიტუალში. იგი დუმუზის როლში გამოდის, მას უმღერის ღვთისმხვეალი — ინანას ამქვეყნიური ნაცვალი. დაწერილია ემესალის (ქალთა) კილოზე. ებრაული „ქებათა ქება“ დიდ მსგავსებას იჩენს ზუმერულ ლექსთან, როგორც ენობრივად, ისე შინაარსობრივად: „გოლი მოსწუეტს ბაგეთა შენთა, სძალო! თაფლი და სძე ქვეშე ენასა შენსა!“ 4, 11; „შეგიპყრა შენ და შეგიყვანო ზენ სახლსა შინა დედისა ჩემისასა...“ 8, 2.

ტექსტი: S. N Kramer, Five Sumerian Literary Texts (Belleten XVI, 1952, n. 63, გვ. 355—366).

საბრწყინლო ჰიმნი მეფე შუზუნანსადმი II

იმევე ხასიათის ჰიმნია, რაც წინა, მაგრამ საგრძნობლად განსხვავდება მისგან კომპოზიციურად. თითქოს დიალოგი უნდა იყოს, მსგავსად „ქებათა ქებისა“. შდრ.: „თავი მისი ოქროისა რჩეულისა; თხზული თმათა მისთა ვითარცა ქედილი...“ 5, 11, „ბაგენი ზენნი და სიტყვა შენი შეენიერ“ 4, 3.

ტექსტი: A. Falkenstein Eine Hymne auf Susin von Ur (Die Welt des Orients II, 1947, გვ. 43—50).

გოდება მეფე იბიზუნანსაზე

იბიზუნანს მეფობით (2028—2004) დასრულდა ურის III დინასტია. გოდება, როგორც ჩანს, დაწერილია ამ მეფის ელამში წარტყვევებისა და შემდგომი ტრაგიული მოვლენების ცოცხალი წიაღე-ქვილების ქვეშ. სამწუხაროდ მხოლოდ დასაწყისია შემონახული. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით ტექსტი ისეთივე ვრცელი უნდა ყოფილიყო. როგორც „გოდება ურის დაქვეყნის გამო“.

ტექსტი: A. Falkenstein, Die Ibbisin-Klage (Die Welt des Orients, V, 1950 გვ. 377—384).

გოდება ურის დაჰყვინს ბაგო

საუცხოოდ შემონახული ტექსტი, ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილება შუმერული პოეზიის რენესანსისა, მაგრამ უკანასკნელიც, რადგან იგი გოდებაა არა მხოლოდ ურის დაღუპვისა, არამედ შუმერული კულტურის აღსასრულის გამოც. იმპერიის დამხობა გამოხატულია ტაძრების მიტოვებით ღმერთების მიერ, რომელნიც სულს უდგამდნენ ქვეყნის კულტურულ და სოციალურ ცხოვრებას. გოდების ავტორის რწმენით ური დაიღუპა ღმერთებისმიერი შკაცრი პრედესტინაციის გამოისობით, როგორც პომეროსთან ილიონი. „გოდება-ში“ მონაწილეობს შუმერის ხალხი და მთვარის ქალღმერთი ნინგალი.

ტექსტი: S. N. Kramer, Lamentation over the Destruction of Ur, Chicago, 1940.

ქება ღვინსა

შეთხზულია დაახლ. XVII ს. ძვ. წ., იმ ხანაში, როდესაც შუმერული ენა უკვე მკვდარი იყო, თუმცა ნიბური მაინც ინახავდა შუმერულ ტრადიციებს. ქალის აქადური სახელი შათ-ინთარ („იშთარისა“) მოწმობს აქადელი სემიტების მოწოლას შუმერული კულტურის წიაღში. შესაძლებელია, ღვინს აქადელიც კი იყო. მისი შვილის სახელი — ლუ-დინგირა — შუმერულია („ღვთის კაცი“, ღვთისო). ქალის მშვენება ფინიკს შედარებულია „ქებათა ქებაშიც“: „ესე დიდებულება შენი მივამსგავსე ფინიკსა“, 6,7; და „ოდისეაწი“ VI 162—167 (ნავსიკაეს შეხვედრა ოდისევსთან).

ტექსტი: M Civil, The Message of Lu-dingir-ra to his Mother (Journal of Near Eastern Studies, XXIII, 1964, № 1, გვ. 1—11).

ელუბას მოწაფის ნაამბობი

ელუბა („დაფის სახლი“) შუმერული სკოლაა. ეს ნაწარმოები ერთ-ერთი იმათაგანია, საიდანაც ჩვენ ვგებულობთ მცირე რამეს შუმერულთა ყოველდღიური ყოფის შესახებ. გულუბრყვილო სტი-

ლი სრულ თანხმობაშია მოწაფის ქცევასთან, რომელიც არ გასცი-
ლებია ბავშვობის ასაკს. იგი მოწაფის დღიურს უფრო მოგვაგონებს,
ვიდრე გააზრებულ მხატვრულ ნაწარმოებს.

ტექსტი: A. Falkenstein, Der „Sohn des Tafelhaus“ (Die
Welt des Orients I, 1946, გვ. 172—186).

ცეცხლის ლმერთისადმი

შუმერულ-აქადური ბილინგვა. შუმერული ორიგინალის სტრუქტო-
ნებს ქვეშე მიწერილია თითქმის ზედმიწევნითი თარგმანი. ცეცხლის
ლმერთს, გიბილს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯადოქართა საწინააღ-
მდეგო რიტუალში.

ტექსტი: M. Никольский, Сумерийский гимн божу Огня,
Москва, 1884.

ზუსაჰმის მითი

თარგმნილია შერჩევით. მთლიანი ეპოსი მოიცავს შვიდ დაფას.
წუამდინარული კოსმოგონიით, ყოველივე წყლისაგან წარმოიშვა
(ასევე მიაჩნდათ ჰომეროსსა და თალესს). მტკნარი (აბზუ) და მლაშე
(თიამათ) წყლების ქაოსმა წარმოშვა ღმერთების თაობები, რომელ-
თა შორის მხოლოდ მარდუქი აღმოჩნდა ძალმოსილი თიამათის (ქაო-
სის პრინციპის) დასათრგუნად.

ტექსტი: R. Labat, Le poème baylonien de la création,
Paris, 1935.

იშთარის ჩასვლა ქვესკნელად

მითის საფუძველია ახლო აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებ-
ული კულტი ნაყოფიერებისა. აქადურ ვერსიაში იშთარი თამუზის,
მისი სიყრმის მეგობრის, გამოსახსნელად ჩადის ქვესკნელში. თუმცა
დასასრული ბუნდოვანია, მაგრამ იქ მაინც ჩანს მინიშნება თამუზის
აღდგომისა იშთართან ერთად. მათთან ერთად აღდგება მიწის პირის
ნაყოფიერება, აყვავება როგორც მცენარეული, ისე ცხოველური
სამყაროსი. საგულისხმოა, რომ „სიცოცხლის წყლები“ ქვესკნელშია,
მკვდართა სამეფოში. მიწის გული ასაზრდოებს ყოველგვარ სიცოცხ-
ლეს...

ტექსტი: P. Jensen, Keilinsch ritfliche Bibliothek,
VI, გვ. 80 და 81.

იშთარისაღმი

შემერელი ინანას მსგავსად იშთარიც რამდენიმე სახით გვევლინება ამ ჰიმნში: იგია გულმონყალე ქალბატონი, სიყვარულის ქალღმერთი, აფროდიტე, რომელიც სიყვარულს აღვიძებს („ამხდელი პირბადისა ქალწულთაგან“), ბრძოლის ქალღმერთი („მოყვასთა მტრებად შემცვალებელი“). ამრიგად, აქ ეს ძღვეამოსილი ქალღმერთი თავისი სრული ბუნებით არის წარმოდგენილი.

ტექსტი: E. Ebeling, Die akkadische Gebetsserie „Handerhebung“, 1953, Berlin გვ. 130—136.

ადაპა

ადაპას უკავშირებენ ბიბლიური პირველკაცის, ადამის, სახელს. მართლაც არის რაღაც მსგავსება მათ შორის. ორივემ — ადაპამ და ადამმა — თუმცა სხვადასხვა მიზეზით, ხელიდან გაუშვეს მარადიული სიცოცხლე.

ტექსტი: P. Jensen, Keilinschriftliche Bibliothek, VI, 1 (1900) გვ. 92—101.

ეტანას მითი

ამ ნაწარმოებში გაერთიანებულია ორი ამბავი: არაკი არწივისადა გველის შესახებ და ამბავი ეტანას ცადასვლისა არწივის ფრთებზე. ზღაპარი არწივზე ამხედრებული კაცისა ცნობილია მრავალი ხალხის ფოლკლორში, მათ შორის ქართულშიც: „ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა“ („ხალხური სიბრძნე“, I, გვ. 110). ნაწარმოების დასასრული დაკარგულია, თუმცა ცხადი უნდა იყოს, რომ ეტანამ ვერ მოიპოვა შობის ბალახი, რაც ისევე ძნელი მოსაპოვებელი უნდა ყოფილიყო, როგორც სიცოცხლისა ან განკუთვების ბალახი. მთავარი აქ ისაა, რომ არწივმა გამოისყიდა თავისი ცოდვა იმ კეთილი სამსახურით, რაც მან ეტანას გაუწია.

ტექსტი: P. Jensen, Keilinschriftliche Bibliothek, VI, 1 (1900), გვ. 100—115.

ეას, უამაშსა და მარდუქს

ამ ლოცვაში ლაპარაკია შავი მაგიით წემთხვეული ცოდვის დახსნაზე. შუამდინარელთა წარმოდგენით არანაკლებ საშიში იყო მშობლების მიერ ჩადენილი ცოდვა, რომელიც შეილებზე გადადიოდა.

ტექსტი: S. Langdon, Proceedings of the Society of Biblical Archaeology, 34, გვ. 75 და შ.

ღამისაღმი

ეს მცირე ლოცვა ხამურაბის ხანისა (XVIII ს. ძვ. წ.) არის აშავე დროს ლაკონიური ლირიული ლექსი ღამის მყუდროებაზე. ის აზრი, რომ ღამით ღმერთებსაც სძინავთ, გულისხმობს მტკიცედ ჩამოყალიბებულ ანთროპომორფულ წარმოდგენებს ღმერთების შესახებ (გაიხსენეთ ოლიმპოზე ბინადარი ღმერთები). აი, ამ ვარსკვლავთა თანამედროვე სახელწოდებანი: დიდი ძალლი, არქტური, ორიონი, დრაკონი, დიდი დათვი, ღირა ვეგასთან ერთად, კასიოპეა (?) და ჰიდრა.

ტექსტი: В. К. Шнлейко, Таблетка с молитвы ночным богам (Извест. рос. Акад. ист. культуры Т. III, 1924 Ленинград).

მდინარისაღმი

მდინარე, მდინარის ღმერთი, შუამდინარეთში, ისევე როგორც ბევრგან ძველად, განმწმედელ სტიქიად ითვლებოდა. მის ტალღებში სრულდებოდა საღმრთო სამართალი, ე. წ. ორდელი. მდინარეს უნდა გამოეაშკარაებინა ბრალდებულის დანაშაული და მასვე უნდა განეწმიდა იგი.

ტექსტი: E. Ebeling, Keilschrifttexte aus Assur religiösen Inhalts, 1915 No. 294.

მარილისაღმი

ჰიმნი მიმართულია სამსხვერპლო მარილისაღმი, რაც თავისთავად ღვთაებრივად ითვლებოდა.

ტექსტი: G. Meier, Die assyrische Beschwörungssammlung Maqlu, გვ. 45. Taf. V', სტრ. 111—119.

ქება ბარსიას

ყოველი ტაძარი ცის ორანია. „სამყაროს შექმნის“ მითში მიწიერი ბაბილონი („ქარი ღვთისა“) ზეციური ბაბილონის ნიმუშის მიხედ-

დვით იგება. ასევე ეზიდა აგებულია ეშარას, კოსმოსის ციური ნაწილის, ანალოგიურად.

ტექსტი: F. Köcher, Ein spätbabylonischer Hymnus auf dem Tempel Ezida in Borsippa (Zeitschrift für Assyriologie, 53, 1959).

ლეგენდა შარუქინზე

ქველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული მითი გამოჩენილ პიროვნებათა დაბადებისა და აღზრდისა. შარუქინ აქადელმა, იგივე სარგონმა (2334—2279 ძვ. წ.) შექმნა პირველი შუამდინარული იმპერია. მის ღროს მიეწერება აქადელი სემიტების დაწინაურება შუამდინარეთში. „შემიყვარა იშთარმა“ — ამით მინიშნებულია შარუქინის მონაწილეობა წმიდა ქორწინების რიტუალში. ტექსტს დასასრული აქვია და ძნელია თქმა, რა მოცულობისა იყო იგი.

ტექსტი: L. W. King, Chronicles concerning early Babylonian Kings, II, 1907 გვ. 87—96.

ერას ეპოსი

ეპოსი შექმნილია გვიანბაბილონურ ხანაში (დაახ. VII ს. ძვ. წ.). ისტორიული ფაქტი ბაბილონისა და სხვა ქალაქების დაწიოკებისა უცხო ტომების მიერ გადმოცემულია მითიურ ასპექტში: სიკვდილისა და ქირის ღმერთი ერა მტრული ძალების პერსონიფიკაციაა. ეს ეპოსი სხვა მრავალთაგან განსხვავებით ანონიმური არ არის: მისი ავტორი ტექსტშივე ასახელებს თავის ვინაობას: ქაბთი-ილანი-მარ-დუქ, დაბიბის ძე.

ტექსტი: P. F. Gössmann, Das Era-Epos, Würzburg 1956

უბრალოდ ტანჯულის აღხარება

ორიგინალური ტექსტი იწყებოდა სიტყვებით: ლულულ ბელ ნემეკი — „განუადიდებ უფალს სიბრძნისას“, ე. ი. მარდუქს. მაგრამ დასაწყისი დაკარგულია. თავები გამოყოფილია და დასათურებული მთარგმნელის მიერ. ორიგინალის ტექსტი ოთხი დაფისაგან შედგება.

ტექსტი: W. G. Lambert, Babylonian Wisdom Literature, Oxford. 1960 გვ. 32—61.

ბედუკულმართისა და ბრძენაპის დიალოგი

დაწერილი უნდა იყოს ბაბილონში, არა უადრეს IX ს. ძვ. წ. ქურუმის მიერ, რომლის სახელი აკროსტიხულად იკითხება სტრიქონების დასაწყისი მარცვლებით: „მე, საეგილ-ქინამ-უბბიბ, ღმრთისა და მეფისადმი ლოცვების ქურუმი“. ნაწარმოები შედგება 27 თავისაგან, თვითული თავი 11 სტრიქონს მოიცავს. სრულად შემონახულია მხოლოდ 19 თავი.

ტექსტი: W. G. Lambert, *Babylonian Wisdom Literature*, Oxford, 1960 გვ. 63—89.

ბატონი და მონა

მკვლევარნი ვერ შეთანხმებულან: სერიოზული ფილოსოფიური „ტრაქტატია“ ეს თხზულება თუ ფარსი. ცხადი კია, რომ აქ მთელი სისასტიკითაა გააჩვენებული ამქვეყნიური ღირებულებანი. განსხვავებით წინა დიალოგისა, ამ საუბრის დასკვნა უკიდურესად პესიმისტურია.

ტექსტი: W. C. Lambert, *Babylonian Wisdom Literature*, Oxford, 1960, გვ. 144—149.

აშურბანიპალის ლოცვა

აშურბანიპალი (668—527 წწ. ძვ. წ.) ასურეთის სხვა მეფეთაგან გამოირჩეოდა მწიგნობრობის დიდი ტრფიალებით. ის იყო უდიდესი მოამაგე მეცნიერებისა და ხელოვნებისა, დამაარსებელი უმდიდრესი ბიბლიოთეკისა სამეფო ქალაქ ნინევეში. ლოცვა მიმართულია ნაბუსადმი, რომელიც სამწერლო ხელოვნების მფარველი ღვთაება იყო.

ტექსტი: S. Langdon, *Sumerian and Babylonian Psalms*, Paris, 1909 გვ. 176.

წ ე მ ს ი კ მ ნ ი

ა ბ ა ბ ა — ლავაშის ერთ-ერთი ღვინოა.

ა ბ ზ უ — შუმ. „წყლის მცოდნე“ ან „მცოდნე მამა“. 1) მამაკაციური პრინციპი ქაოტური წყლებისა. 2) ხმელეთისქვეშა ოკეანე, მტკნარი წყლები. 3) ეას, სიბრძნისა და წყალთა სიღრმეების სამყოფელი.

ა ბ ი ს ი მ თ ი — ურის 111 დინასტიის დედოფალი, მეუღლე მეფე შუზუენასი, ან როგორც ზოგიერთს მიაჩნია, მეფე შულგისა. სემიტური წარმოშობის სახელი: „მამაჩემი — ღირსება ჩემი“.

ა ბ უ ბ უ — 1) წარღვნა, წარღვნის ქარიშხალი. 2) ღმერთების საპურველი, კვერთხი.

ა გ ა — ქიშის I დინასტიის მეფე. ენებბარაგესის ძე. გილგამეშის თანამედროვე.

ა დ ა ბ ი — შუმერული ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთში.

ა დ ა დ ი — ქექა-ქუხილის ღმერთი აქადელთა პანთეონში.

ა ზ ა გ — სიკედლისა და უკურნებელი სენის დემონი.

ა ლ ა რ — რიტუალური სიმღერა.

ა ლ გ ა რ — დაფდაფისნაგვარი მუსიკალური ინსტრუმენტი.

ა ლ უ — სნეულების შემყრდღი ავი დემონი.

ა მ ა ნ ქ ი — იგივე ენქი (იხ.). შუმერული ენის ემესალურ კილოზე.

ა მ ა შ ქ ე გ ა — შუმ. „წმიდა ფარეზი“. ინანას ტაძარი ქ. დერში.

ა მ უ რ უ — ქვეყანა შუმერის დასავლეთით, ამორეველთა მხარე. ამ ქვეყნის სახელი „დასავლეთის“ სინონიმი იყო.

ა ნ დ უ რ უ ნ ა. — შუმ. „ზეციური სადგომი“. ღმერთების ბინა.

ა ნ ზ ა გ ა რ — ინანას ტაძარი ქ. აქშაქში.

ა ნ ზ უ — ქარიშხლის ფრინველი.

ა ნ თ ა ს უ რ ა — მაგიური დანიშნულების საგანი.

ა ნ — შუმ. „ცა“, ცის უზენაესი ღვთაება შუმერულ ღმერთების პანთეონში.

ანუ — აქადური ფორმა შუმერული სახელისა — ან. უზენაესობის ტიტული.

ანუნაკები — წარმოშობით კრებითი სახელი ცათა და ხმელის ყველა ღმერთისა. ასევე იწოდებიან მიწის ღმერთები, ქვესკნელის მსაჯულნი.

ანზან — იგივე ელამი, ქვეყანა შუმერის აღმოსავლეთით.

ანშარ — შუმ. „ზემო ყოვლადობა“, თავდაპირველი ღმერთი, კოსმოსის ერთი ნაწილის პერსონიფიკაცია (იხ. ქიშარ).

არალუ — ქვესკნელის ერთ-ერთი სახელწოდება.

არურუ — შუმ. „თელის მომნიჭებელი“, ქალღმერთი, ადამიანის შემქმნელი, მომზელი თინისაგან. გილგამეშის ეპოსში მას დაეკისრა ენიდუს გაჩენა.

ასარილუხი — ღვთაება მარდუქის ერთ-ერთი ეპითეტი.

აქად — ქალაქი შუამდინარეთში, რომელიც განადიდეს სარგონ დიდმა და ნარამსინმა. პირველი დიდი იმპერიის ცენტრი, შემდეგში შუამდინარეთის სემიტური სახელმწიფოს სახელწოდება.

აქშაკ — შუმერული ქალაქი.

აშურ — 1) ასურელ მეფეთა სატახტო ქალაქი ჩრდილოეთ შუამდინარეთში; 2) ასურელთა ეროვნული ღმერთი.

აცუშუ-ნამირ — აქად. „ამოსელა მისი ნათელ“.

ახუ — შუმერული ტაძრის რომელიღაც ნაწილი.

ბაბა — ნაყოფიერების ქალღმერთი ლაგაშში, შეუღლებული ამ ქალაქის მთავარ ღვთაება ნინგირსუსთან. მათი ღვთაებრივი ქორწინება ნაყოფიერი წლის საწინდრად მიიჩნეოდა.

ბაბილონ — (შუმ. ქა-დინგირა) „კარი ღვთისა“, სემიტური ქალაქი ევფრატზე. შემდგომში ბაბილონეთის იმპერიის სატახტო ქალაქი.

ბაგარა — ქალღმერთ ბაბას ტაძარი ლაგაშში.

ბათდიბირა — შუმერის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ხუთთაგან (ერიდუ, ბათდიბირა, ლარაქ, სიპპარ, შურუჰპაკ).

ბარათუშგარა — შუმ. „წმიდა ბინა-საყდარი“, ინანას ტაძარი ნიპურში.

ბარსიპა — ქალაქი ბაბილონის მახლობლად, ევფრატის მარჯვენა ნაპირზე (ახლანდელი ბირს).

ბელ — აქად. „უფალი“, ტექსტში: ენლილის სახელი.

ბერუ — მანძილის საზომი ერთეული, ორი საათის სავალი.

ბურანუნა — ევფრატის შუმერული სახელწოდება.

გათუმდუგ — ლაგაშის მფარველი ქალღმერთი, ლაგაშის დედად წოდებული.

გალათურა — ენქის მიერ ინანას საშველად შექმნილი არსება.

გ ა შ ა ნ — („ქალბატონი“) მხანას სახელი ქალთა ანუ ემესა-
ლურ კილოზე.

გ ა შ ა ნ ქ ი გ ა ლ — იგივე ერეშქიგალი (იხ.) ქალთა კილოზე.

გ ა შ ა ნ შ უ ბ უ რ — იგივე ნინ-შუბური (იხ.) ქალთა კილოზე.

გ ე შ თ ი ნ ა ნ ა — შუმ. „ციური ვაზი“, სახელი ღუმუზის
დისა, ნახევრადხთონური ღვთაება.

გ ი ბ ი ლ — შუმერელთა ცეცხლის ღმერთი და თვით „ცეც-
ხლი“.

გ ი გ უ ნ ა — შუმ. „საფლავი“, ტაძრის ნაწილი, სადაც იმარ-
ხებოდა მომკვდარი და კვლავ აღმდგარი ღვთაება.

გ ი რ ს უ — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი ლაგაშში.

გ ი პ ა რ — ტაძარი, სადაც სრულდებოდა ნაყოფიერების კულტ-
თან დაკავშირებული საკრალური ქორწინება ღვთაებასა და ქუ-
რუმს შორის. აქვე ცხოვრობდნენ, როგორც ჩანს, ქურუმები.

გ ი შ ბ ა ნ — მოსასხამი, უცნობი დანიშნულების სამოსი.

გ ი შ ზ ი დ ა — „ხე ქეშმარიტი“, ღუმუზის და.

გ უ — წონის ერთეული, დაახლ. 30 კგ.

გ უ ა ბ ა — დაბა ლაგაშის მახლობლად.

გ უ გ ა ლ ა ნ ა — შუმ. „ცის ზელადი“, ქვესკნელის ღვთაება.

გ უ თ ე ლ ე ბ ი — ზაგროსის მთიანეთის (:ზლ. ლურისტანი,
შუამდინარეთის ჩრდილო-აღმ.) ტომი, რომელთაც დაამხეს სარგონ
აქადელის დინასტია და 125 წლის განმავლობაში ბატონობდნენ
შუამდინარეთში.

გ უ შ ე ა — იშთარის სახელი ვითარცა „მოდმუილე“ ქალ-
ღმერთისა.

და გ ა ლ-უ შ უ მ გ ა ლ ა ნ ა — „ცის დიდი ურჩხული“, ღუმუ-
ზის ეპითეტი.

და გ ა ნ — დასავლეთ სემიტური (ამორეული) ღვთაება.

და მ ქ ი ნ ა — შუმ. „ქალი მიწისა და ცისა“, ღვთაება ეას მე-
ულლე.

დ ე რ — ქალაქი მდ. ტიგროსის წიად ელამის გზაზე.

დი ლ მ უ ნ — ეწოდებოდა სპარსეთის ურუქი მღებარე კუნ-
ძელებსა და აღმოსავლეთ არაბეთის სანაპიროს.

დ უ მ უ ზ ი — შუმ. „ქეშმარიტი ძე“, ღვთაებრივი მწყემსი,
ნაყოფიერების ღვთაება, ისევე როგორც აღონისი და ატისი
მკვდრადი და აღმდგარი ღვთაებანი. აქედან მოდის ბაბილონელ-
თა თამუზი.

დ უ მ უ ზ ი-ა ბ ზ უ — შუმ. „ქეშმარიტი ძე მიწისქვეშა წყლე-
ბისა“, ღუმუზის სრული სახელი, რომლითაც იგი იწოდება ვი-
თარცა ძე ენქისა.

დ უ რ ა ნ ქ ი — შუმ. „კავშირი ცისა და მიწისა“, დიდი ქალაქე-
ბის ეპითეტი, განსაკუთრებით ბაბილონისა.

ე ა — სიბრძნისა და წყლის სიღრმეთა ღვთაება ბაბილონურ პანთეონში.

ე ა ნ ა — ინანა-იშთარის ტაძარი ურუქში. შუმ. „ცის სახლი“.

ე ბ ა ბ ა რ ა — შუმ. „სახლი მზისა,“ მზის ტაძარი ქალაქ ლარსაში.

ე ბ გ ა ლ — ინანას ტაძარი ქ. უმაში.

ე გ ა ლ გ ი ნ ა — შუმ. „მტკიცე სასახლე“ (ქვესკნელში).

ე გ ა ლ მ ა ხ — შუმ. „უზენაესი სასახლე“, ტაძარი ქ. ისინში.

ე დ ი ლ მ უ ნ ა — შუმ. „დიღმუნის სახლი“, ინანას ტაძარი ქ. ურში.

ე დ ი ნ ა — შუმ. „ველი“, წმიდა ადგილი ურუქის წიაღ.

ე ზ ი დ ა — შუმ. „სახლი ქვეშარიტი“, ღვთაება ნაბუს ტაძარი ქ. ბარსიპასა და ნინევეში.

ე ლ ა მ ე ლ ი — ელამის, შუამდინარეთის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის მკვიდრი.

ე მ ა ხ — შუმ. „უზენაესი სახლი“, ტაძრის სახელი ადაბსა და უმაში.

ე მ ე ს ლ ა მ — შუმ. „სახლი მესლამისა“, სიკვდილისა და ჰერის ღმერთის ერას ანუ ნერგალის ტაძარი ქ. ქუთაში (მესლამ — ამ ღმერთის ერთ-ერთი სახელი).

ე მ უ შ ქ ა ლ ა მ ა — შუმ. „სახლი ქვეყნის (შუმერის) გველისა“, ინანას ტაძარი ბათდიბირაში.

ე ნ ლ ი ლ — შუმ. „ქარის უფალი,“ შუმერელთა ეროვნული ერთიანობის გამომხატველი ღმერთი, რომლის მთავარი ტაძარი ნიპურში იყო. შუამდინარული ღვთაებრივი სამების მეორე წევრი (ან, ენლილ, ენქი).

ე ნ უ ნ ქ ე გ — შუმ. „სახლი დიდებული და ბრწყინვალე“, ნინგალის ტაძარი ურში.

ე ნ ქ ი — შუმ. „უფალი-მიწა“, შუმერული ღმერთი სიბრძნისა და წყლის სიღრმეთა. იგივეა რაც ბაბილონელთა ეა.

ე ნ ქ ი მ დ უ — არხებისა და მიწადმოქმედების ღვთაება, ინანას ხელის მძიებელი.

ე რ ა — სიკვდილისა და ჰერის ღმერთი.

ე რ ე შ ქ ი გ ა ლ — შუმ. „დედოფალი დიდი მიწისა“, ქვესკნელის ქალბატონი, ემესალის კილოზე „გაწანჭიგალ“.

ე რ ი დ უ — შუმერელთა უძველესი ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთში, განთქმული რელიგიური ცენტრი. იქ იყო ენქის მთავარი ტაძარი.

ე ს ა გ ი ლ ა — შუმ. „თხემალმართული სახლი“, ტაძარი ბაბილონში.

ე ს ი ლ ს ი რ ა — ქალღმერთ ბაბას ტაძარი ლაგაშში.

ე უ დ გ ა ლ — შუმ. „სახლი დიდი ქარიშხლისა“, ღვთაება სატრანის ტაძარი ქ. დერში.

ნ ა ნ ა რ — მთვარის ღვთაება.

ნ ა მ თ ა რ — შუმ. „ბედისწერა“, ქვესკნელის დედოფლის, ერთ-ეშქიგალის მაცნე, ვეზირი.

ნ ა ნ შ ე — ლაგაშის ერთ-ერთი ღვთაება, ნინგირსუს და.

ნ ა რ უ — ენლილის სხვა სახელი.

ნ ე თ ი — ქვესკნელის კარიბჭეთა მცველი.

ნ ე რ გ ა ლ — წემ. „ძალა დიდი ქალაქისა“, ქვესკნელისა და მკვდრეთის ღმერთი. აგრეთვე მზის ღვთაების ერთ-ერთი გამოვლენა (როდესაც მზე — შამაში ღამით ქვესკნელში ჩადის, მას ნერგალი ეწოდება).

ნ ი ღ ა ბ ა — ყანების ქალღმერთი, ითვლება აგრეთვე დაფათა (ე. ი. დამწერლობის) და სიბრძნის ღვთაებად.

ნ ი ნ ა ზ უ — შუმ. „უფალი კურნებისა“, ქვესკნელის ღმერთი.

ნ ი ნ ა შ თ ე — ქ. ლარაქის ქალღმერთი.

ნ ი ნ გ ა ლ — შუმ. „დიდი ქალბატონი“, მთვარის ღმერთის ზუენას ანუ ნანარის ცალი; მზის ღმერთის, უთუს, დედა.

ნ ი ნ გ უ ლ ა — შუმ. „დიდი ქალბატონი“, სირარას (ლაგაშის ერთ-ერთი უბნის) ქალღმერთი.

ნ ი ნ ე გ ა ლ ა — შუმ. „ქალბატონი სასახლისა“, მთვარის ღმერთის, ზუენას ასული.

ნ ი ნ თ უ რ — შუმ. „ქალბატონი წობისა“, კაცობრიობის გამჩენი დედა.

ნ ი ნ ე ე — ნინეეია, ასურელ მეფეთა სატახტო ქალაქი უკანასკნელ ხანს, იმპერიის დაცემის წინ.

ნ ი ნ ლ ი ლ — შუმ. „ქარის ქალბატონი“, ქალღმერთი, ენლილი ღვთაებრივი ცალი.

ნ ი ნ მ ა რ — ლაგაშელი ქალღმერთი, „გუბას დედოფალი“.

ნ ი ნ მ ა ზ — შუმ. „უზენაესი ქალბატონი“, ქ. ქეშის ქალღმერთი.

ნ ი ნ ს უ ნ ა — დედა გილგამეშისა, ურის III დინასტიის მეფენი მას თავიანთ ღვთაებრივ დედად სთვლიდნენ.

ნ ი ნ ქ ა ს ი — შუმ. „ქალბატონი, პირის ამვსებში“, ზოგვან: ღვინის ღვთაება.

ნ ი ნ - შ ე ბ უ რ — ინანას მაცნე და მშველელი, რომელსაც იგი ქალთა კილოზე გაშან-წებურს ეწოდება.

ნ ი პ უ რ — შუმერელთა რელიგიური და ნაციონალური აქტივობის ქალაქი, ენლილის მთავარი საკულტო ცენტრი.

ნ უ დ ი მ მ უ დ — წემ. „შემოქმედი“, ენქის ანუ ეას სხვა სახელი.

ნ უ ნ ა მ ნ ი რ — ენლილის სხვა სახელი.

პ ა პ - ს უ ქ ქ ა ლ — 1) შუმ. „მრჩეველი პაპ“, ღმერთების მაცნე მითებში. 2) იშთარის მშველელი აქადურ მითში „იშთარის ჩასვლა ქვესკნელად“. შუმერულ ანალოგიურ მითში ამ პერსონაჟს გაშან-შებური ან ნინ-შებური ეწოდება.

ე უ ლ მ ა ჯ — ინანას ტაძარი აქადში.

ე ქ ი შ ნ უ გ ა ლ — მთვარის ღვთაების, ნანარის ანუ ზუენას ტაძარი ურში.

ე ქ უ რ — 1) შუმ. „სახლი-მთა“, ენლილის ტაძარი ნიპურში.
2) ქვესკნელის ერთ-ერთი სახელწოდება.

ე შ ა რ ა — შუმ. „სახლი ყოვლადობისა“, ცის სინონიმი.

ე შ დ ა მ ქ უ — ინანას ტაძარი გირსუში (იხ.).

ე შ ე შ — თვის მე-4, მე-8, მე-17 და 25-ე დღეების აღსანიშნავი დღესასწაული.

ზ ა ბ ა ლ ა მ — შუმერული დაბა ურუქის მახლობლად.

ზ ა ბ უ — მთიანი ქვეყანა შუამდინარეთის აღმოსავლეთით.

ზ ი უ ს უ დ რ ა — შუმ. „დღეგრძელი სიციცხლის კვალზე მავალი“, მითიური მეფე შურუფაქისა, წარღვნის გმირი, შემდგომში გაუკვდავებული.

ზ უ ე ნ ა — მთვარის ღვთაება, იგივე ნანარ.

ზ უ ლ უ მ ა რ — შუმ. „ფინიკის შემქმნელი“, ტექსტში: იგივე ეა.

თ ა მ უ ზ — იგივე დუმუზი (ბაბილონელებთან).

თ ი ა მ ა თ — აქად. „ზღვა“, პირველყოფილი ქაოტური წყლები დედამშობის სახით.

ი გ ი გ ე ბ ი — ცის მცირე ღვთაებანი.

ი ლ ა ბ რ ა თ — ღმერთ ანუს მრჩეველი „ადაპასა“ და სხვა მითებში.

ი მ გ უ რ - ე ნ ლ ი ლ — ბაბილონის ზიდაზლუდის სახელი (ერას ეპოსში).

ი მ დ უ გ უ დ — შუმ. „ზრქელი ღრუბელი“, ქარიშხლის ფრინველის სახელი.

ი ნ ა ნ ა — შუმერულთა ქალღმერთი, დუმუზის სატრფო, პერხონაჟი ბევრი მითისა და ეპოსისა. ბაბილონელთა იშთარი. ინანა ნიშნავს ცის ქალბატონს.

ი რ ნ ი ნ ი — იშთარის ერთ-ერთი სახელი. „გილგამეშის ეპოსის“ მიხედვით იშთარი ამ სახელით კედარის ტყეში მკვიდრობს.

ი რ ნ ი ნ ი თ უ — იგივე ირნინი (აქადური დაბოლოებით მდ. სქესისა).

ი რ ქ ა ლ ა — იგივე ერეშქიგალი, ქვესკნელის დედოფალი.

ი ს ი ნ — შუმერული ქალაქი.

ი შ თ ა რ — ქალღმერთ ინანას აქადური სახელი.

ი შ უ მ — აქად. „ცეცხლი“, ერას მრჩეველი, მისი ორეულს „ერას ეპოსში“.

ი შ ქ უ რ — შუმერულთა ღმერთი კეკა-ქუხილისა, ბაბილონური ადადი.

კ ა ზ ა ლ ი — ერთგვარი სასმელი.

ლაგაშ — შუმერული ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთში ტიგროსის ნაპირზე.

ლათარაქ — ქ. ბათღიბირას ლეთაება ინანას დასიდან.

ლამარ — ლაგაშის ქალღმერთი ბაბას დასიდან; შემდგომში ზოგადი სახელი მფარველი ლეთაებისა.

ლამაშთუ — ბოროტი სული, სნების შემყრელი.

ლარაქ — შუმერის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ხუთთაგან (ერიდუ, ბათღიბირა, ლარაქ, სიპარ, შურუპაკაქ), წარღვნამდელი კულტურის ცენტრი.

ლახამუ — რომელიღაც ურჩხულებრივი არსება.

ლახმუ და ლახამუ — ლეთაებრივი წყვილი „ეპოსში სამყაროს შექმნისა“. ტექსტის მიხედვით ლახმუ თითქოს ეას მეორე სახელი უნდა იყოს, ხოლო ლახამუ — მისი ცალის, დამქინასი.

ლილით — ქართ. აღის მსგავსი დემონი ქალი, მატუნებელი. ლილითი ცნობილია ებრაულ დემონოლოგიაში.

ლუგალბანდა — შუმ. „მეფე გონიერი“, გაღმერთებულ მფეე ურუქისა, გილგამეშის მამა. ურის III დინასტიის მეფეებს მისგან გამოჰყავდათ თავიანთი გენეალოგია. შუმერულ მეფეთა სიუბში მწყემსადაა ნახსენები.

ლუგალ-დიმერანქი — შუმ. „მეფე ცისა და მიწის ღმერთებისა“, მარდუქის ეპითეტი.

ლუდინგირა — შუმ. „კაცი ლეთისა“, მამაკაცის საკუთარი სახელი.

ლულუ — პირველგაჩენილი კაცის სახელი.

ლულუბელები — ზაგროსის მთიანეთის ტომი, რომელსაც შუამდინარეთთან ურთიერთობა ჰქონდა ძველი აქადური პერიოდიდან მოყოლებული.

მაგიშუა — ნინლილის ტაძარი ნიპურში.

მავეუნა — ტაძარი ლაგაშში.

მამი — ქალღმერთი, ტექსტებში იწოდება „კაცთა მშობელსაშოდ“.

მარდუქი — (შუმ. ამარ-უდ „მზიური ხბო“) ბაბილონის მთავარი ლეთაება. „ქვეყნის შექმნის მითის“ მიხედვით კოსმოსის შემოწყობი, ქაოსის ძალების დამორგუნველი.

მარხაშ — სამეფო ელამის მხარეში.

მინა — წონის ერთეული, დაახლ. 500 გრ.

მიქუ — უცნობი დანიშნულების მუსიკალური ინსტრუმენტი.

მულილ — იგივე ენლილი (იხ.) ქალთა კილოზე.

მუხრა — „ერას ეპოსში“ თვით ღმერთი ერა, ვითარცა ქვესკნელის მცველი.

ნაბუ — ქ. ბარსიპას მთავარი ლეთაება, მარდუქის ძე. თავიანთ სცემდნენ ვითარცა სიბრძნისა და მწერლობის ღმერთს.

ნანა — ინანას ერთ-ერთი სახელი.

ს ი გ ქ უ რ შ ა გ ა — შუმ. „ქურშაგის აგურები“, ინანას ტაძარო ქ. უმაში.

ს ი კ ი ლ ა — წონის უმცირესი ერთეული.

ს ი ნ — მთვარის ღვთაება სემიტურ პანთეონში, იგივე ზუენა-ლა ნანარ.

ს ი პ ა რ — ქალაქი ცენტრალურ შუამდინარეთში ევფრატის ნაპირას.

ს ი რ ა რ ა — უბანი ქ. ლაგაშში.

ს უ ბ ა რ თ უ — სუბარელთა ანუ ხურიელთა ქვეყანა შუამდინარეთის ჩრდილოეთით, სხვაგვარად მიტანი.

ს უ თ ე ლ ნ ი — შუმერის აღმოსავლეთით, ელამის მთებში მობინადრე ტომი.

ს უ მ შ უ კ ა ნ — ღმერთი და მფარველი გარეული ჯოგებისა, მათი გამანაყოფიერებელი.

უ თ უ — შუმერელთა მზის ღმერთი, აქად. შამაშ. მთვარის ქალღმერთის ნინგალის ძე.

უ მ ა — შუმერული ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთში.

უ რ — შუმერის განთქმული ქალაქი, უდიდესი კულტურული ცენტრი, რომელიც მრავალგზისი ნგრევის მიუხედავად ძველი წელთაღრიცხვის მიჯნამდე ინარჩუნებდა უდიდეს მნიშვნელობას შუამდინარეთის ცივილიზაციაში. აქ იყო მთვარის ღმერთის ზუენას მთავარი საკურთხეველი.

უ რ ი ს ქ ე ე ყ ა ნ ა — ეწოდებოდა ჩრდილო შუმერს, იმ ადგილს, სადაც ტიგროსი და ევფრატი ერთმანეთს უახლოვდება. „სამოთხის მითში“: ჩრდილოეთის სინონიმი.

უ რ უ ქ ე — (შუმ. უნუგ) შუმერული ქალაქი სამხრეთში ევფრატის ნაპირას. ინანას მთავარი საკულტო ცენტრი, გილგამეშის სამშობლო ქალაქი (აწინდ. ვარქა).

უ რ უ ქ ე უ გ — შუმ. „წმიდა ქალაქი“, ლაგაშის ეპითეტი.

უ ს ა ხ ა რ ა — ქალღმერთი ქ. უმაში.

უ ფ შ უ ქ ე ნ ა — ღმერთების საკრებულო დარბაზი.

უ შ უ მ გ ა ლ — შუმ. „დიდი უშუმი“, ურჩხული (არა ბორთი), ღმერთების ძალმოსილების სიმბოლო.

უ შ უ მ გ ა ლ ა ნ ა — „ცის ურჩხული“, დუმეზის ეპითეტი.

ფ ა ლ ა — სამეფო წამოსასხამი.

ფ ა რ ს უ ა — ქვეყანა ელამის მხარეში.

ფ უ ქ ე — უცნობი დანიშნულების მუსიკალური ინსტრუმენტი.

ქ ა შ ე ლ ი — მომთაბარე ტომი შუამდინარეთის ჩრდილოეთით.

ქ ე შ — ქალაქი ჩრდილო შუმერში.

ქ ი ნ გ უ — ქაოსის ძალების წინამძღოლი, თიამათის მიერ შეუღლებულ არჩეული აბზუს დალუპვის შემდეგ; მისი სისხლისგან მარლუქმა კაცთა მოდგმა შექმნა.

ქ ი ნ ი რ შ ა გ — ღუმუზი-აბზუს საკულტო ადგილი ლაგაშის შემოგარენში.

ქ ი ე რ — ნიბურში ექურის ტაძრის ერთ-ერთი ნაწილი.

ქ ი შ — ქალაქი ჩრდილო შუმერში.

ქ ი შ ა რ — შუმ. „ქვემო ყოვლადობა“, თავდაპირველი ღმერთი, კოსმოსის ზემო ნაწილის პერსონიფიკაცია. ქიშართან ერთად, რომლის ანტიპოდიც იგი არის, ქმნის სრულ სამყაროს.

ქ ი ჳ ე გ ა ლ — მთვარის ღმერთის, ზუენას, ტაძარი ურში.

ქ უ ბ ა თ უ — ქალის აქადური საკუთარი სახელი.

ქ უ თ უ — ქვესკნელის ქალაქის სახელი. ამ სახელწოდების ქალაქი არსებობდა ბაბილონეთში, იქ ქვესკნელის ღმერთის, ნერგალის, საკულტო ცენტრი იყო. ამიტომ ეწოდებოდა მკედართა ქალაქს ქუთუ.

ქ უ ლ ა ბ ა — დაბა ურუქის მახლობლად, სადაც გილგამეში იყო ქურუმად.

ქ უ ლ ი ა ნ ა — „ანის (ცის) მოყვასი“, ღუმუზის ერთ-ერთი სახელი.

ქ უ ლ ი - ე ნ ლ ი ლ — „ენლილის მოყვასი“, ღუმუზის ერთ-ერთი სახელი.

ქ უ ნ უ შ - ქ უ ლ რ ი — ქ. ბაბილონის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა.

ქ უ რ გ ა რ ა — ენქის მიერ ინანას საშველად შექმნილი არსება.

ქ უ ს ა რ ი კ უ — ურჩხულებრივი მითოური არსება.

შ ა მ ა შ — შის ღმერთი სემიტურ პანთეონში, შუმ. უთუ.

შ ა თ - ი ჳ თ ა რ — აქად. „იშთარისა“, ქალის საკუთარი სახელი.

შ ა მ ხ ა თ ე ბ ი — აქად. „მხიარულნი“, ღმერთისმხველები, ვანას ტაძრად იშთარისადმი შეწირულნი.

შ ა რ ა — ქ. უმას ღმერთი ინანას დასიდან (მითწი „ინანას ჩასვლა ქვესკნელად“).

შ ა ქ ა ნ — იგივე სუმუკანი, ჯოგების ღმერთი.

შ უ ბ უ რ — მთიანი ქვეყანა მდებარეობდა შუმერის აღმოსავლეთით. „სამოთხის მითში“ აღმოსავლეთის სანონიძია.

ც ა რ ფ ა ნ ი თ უ — აქად. „ვერცხლოვანი“, ბაბილონის ქალღმერთი, მარდუქის ღმერთბრივი ცალი.

ხ ა მ ა ჳ ი — ეს მხარე მდებარეობდა შუმერის აღმოსავლეთით, ზაგროსის მთიანეთში. „სამოთხის მითში“ აღმოსავლეთის სინონიძია.

ხ ი ნ ა რ — ქვესკნელის ღმერთთა სახელი.

ხ უ ბ უ რ — 1) პირველყოფილი ქაოტური წყლების, თიამითის, სხვა სახელი („ქვეყნის შექმნის მითში“). 2) ქვესკნელის მდინარე, იგივე როლი აქვს რაც აქერონს ან სტიგს.

ხ უ რ ს ა ნ ქ ა ლ ა მ ა — „ქვეყნის (შუმერის) მთა“, ინანას ტაძარი ქიშში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

შ უ მ ე რ ი

სამოთხის მითი	13
დიღმუნის მითი	14
წარღვნის ეპილოგი . . .	15
ინანა, ვილგამეში და ტირიფი	16
ინანას სიმღერა	22
ქება ინანას	25
ინანას ლიტურგია	27
ინანას ნიშნობა	30
ინანა და დუმუზი	34
ინანას ჩასვლა ქვესკნელად	36
გლოეა დუმუზიზე	46
ვილგამეში და ხუეაეა	47
ვილგამეში და აგა	52
ქება დედისა	56
ედუბას მოწაფის ნაამბობი	58
ურნამუს სიკვდილი	60
ჰიმნი მეფე შულგისა თვისდა მიმართ	61
სატრფიალო ჰიმნი მეფე შუზუენასადმი I	65
სატრფიალო ჰიმნი მეფე შუზუენასადმი II	67
გოდება მეფე იბიზუენაზე	69
გოდება ურის დაქცევის გამო	71
ცეცხლის ღმერთისადმი	84

ა ქ ა ლ ი

შესაქმის მითი	87
იშთარის ჩასვლა ქვესკნელად	99
ადაბა	103
ეტანას მითი	107
იშთარისადმი	113
ეას, შამაშსა და მარდუქს	116
ლამისადმი	117
მდინარისადმი	118
ქება ბარსიპას	119
მარილისადმი	120
ლეგენდა შარუქინ აქადელზე	121
ერას ეპოსი	122
უბრალოდ ტანჯულის აღსარება	128
ბედუქუღმართისა და ბრძენკაცის დიალოგი	135
ბატონი და მონა	139
აშურბანიპალის ლოცვა ნაბუსადმი	143
შენიშვნები	145
ლექსიკონი	159

С О Н Т А М М У З А

(Поэзия Междуречья)

(На грузинском языке)
Детгюиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1969

რედაქტორი შ. ამაშუკელი
მხატვარი თ. ჭაფარიძე
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ნ. ანთელავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-69 წ.
ქალაქის ზომა 84×108¹/₃₂
ნაბეჭდი თაბახი 5,375
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,7
ბეჭდვა 7,000 შეკვ. № 5921
ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“,
მარჯანიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули»
Марджанишвили, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის შთავარ-
პოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2,
„ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

Тип. № 2, «Накадули», Главполи-
графпрома Государственного
Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Пурцеладзе, 5